

K233.374
3

სსრ 803600608171 აკადემია
ნოველის 06161017700



გ. ნარარევე ვილე

ფიცი, 638360 მტკიცებულება,
ქართული სახართლის წიგნების
მიხედვით



ශ්‍රී ලංකා රජය සිංහල මධ්‍ය පොදු තොරතුරු ආකෘති අංශය

06 ගූනෑයෝදා මැයි 1962

ඩ. නාඛාරා පෙරේරා

ඉංග්‍රීසු, උග්‍රීසු විෂය විවෘත සාමාන්‍ය විෂය
ඇතුළත් සාමාන්‍ය විෂය විවෘත සාමාන්‍ය විෂය
විෂය විවෘත සාමාන්‍ය විෂය

ශ්‍රී ලංකා රජය සිංහල මධ්‍ය පොදු තොරතුරු ආකෘති අංශය

තිබුණුව්‍ය - 1962

51(09)
5 154.

34(479.22)(09)



නිර්මාණය කළේ යෙදා නැගරාකාශ සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල

සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල සංඝල සංඝල

සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල
සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල සංඝල
සාමාජිකතාව මූල්‍ය සංඝල සංඝල සංඝල සංඝල

කේප-2000
ඩීඩොෂුලුව

ශාරාන්ත වෘත්ත වූ
ජය අධ්‍යාපන හිමි
වෘත්ත වූ වූ
තිබු වූ වූ

ვახტანგის სამართლის წიგნის: მე-6 მუხლში ნათქვამია: „სა-
ქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის, რომელ ამითი თავი
იმართლების: პირველი — ფიცი, მეორე — შანთი, მესამე — მდუ-
ლარე, მეოთხე — ხმალი, მეხუთე — მოწამე, მეექვსე — ცოდვის მო-
კიდება“.

კანონმდებელი მეფე, როგორც ვხედავთ, დამამტკიცებელ სა-
ბუთთა რიგში პირველად ფიცი ასენებს.

უხადია, ფიცი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი ქართული
სამართლისათვის უძველესი დროიდან იქნებოდა ცნობილი.

თუ „რა ადგილი ეკავა ფიცი დამამტკიცებელ საბუთთა სისტე-
მაში ბეჭა-აღბუღის სამართლის წიგნის შედგენამდე, ამის შესახებ
საქაო ლეგალური და ღოკუმენტალური მასალის ჩეენამდე მოუ-
ლწევლობის ვაძლი, ძნელია რაიმეს გადაწყვეტილ მტკიცება. მაგრამ,
თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ფიცის მნიშვნე-
ლობის ხარისხი დამამტკიცებელ საბუთთა სისტემის შიგნით დამო-
კიდებულია საერთოდ საზოგადოების და კერძოდ სახელმწიფოებრი-
ობისა და სამართლის განვითარების ღონისაგან, უნდა ვიფიქროთ,
რომ XIV საუკუნემდე, აღრე და შუაფეოდალური ეპოქის საქართ-
ველში მას უნივერსალური დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელო-
ბა არ უნდა ქონიდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს
ოპიზის ცნობილი სიგელი (XII ს.), რომელიც აღნიშნავს წერილო-
ბით დამამტკიცებელ საბუთთა დიდ მნიშვნელობას სამოქალაქო ხა-
სიათის საქმეებში.

თვით აღბუღა ათაბაგ-ამირსაბასალარის სამართალიც ამაზე მიუ-
თოვებს. იგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში და არა
საერთოდ „ფიცი უღონიოდ წესია“, „ფიცი უღონიოდ უნდა“. (მუხ. 85).

¹ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენციკლიკის გამ., თბ., 1955.

საერთოდ კი ფიცისა და მოფიცართა ინსტიტუტს შექვე მართა ტუროსუსტულესისა და ოლბულა ათაბაგ-აშირეპასალარის სამართლის წიგნი ხშირად ასევნებს. იგი გათვალისწინებულია 27, 28, 29, 30, 31, 32, 62, 63, 65, 66, 85, 86, 91 მუხლებში. ფიცი გათვალისწინებულის აგრეთვე ბექა-ალბულას სამართლის წიგნზე დართულ ბაგრატ კურა-ბალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტშიაც. მუხლები — 113, 114, 119, 120, 140 და 145 ითვალისწინებენ ფიცის დამამტკიცებელ სა-ბუთად გამოყენებას.

მკვლევართა მიერ XI საუკუნით დათარიღებული ბაგრატის სა-ძართლის წიგნის ნაწყვეტის ერთ-ერთი მუხლი საეჭვო ბრალეულო-ბის შემთხვევაში დამამტკიცებელ საბუთად ფიცის გამოყენებას აწე-სებს. კანონმდებელი აღგენს: „თუ ეკლესია მეკობრეთა გატეხონ პატრიონისა უკითხავად; და ეს დასწამონ: „შენ იცოდიო“, პატრიო-ნან მის მეკობრისა უცოდნებობა ფიცის ოცდაოთხისა კაცითა, დაე-ჯერების. მეკობრე ხელთა მისცეს, რა გინდა უყონ, ნუ დაემდურე-ბის, ალაფიცა უკალებლად შეაქციონ, გინა მათ გამოიღონ“. (მუხლა 113). მაშესადამე, მეკობრეთა პატრიონს 24 თანამოფიცრის მემვეო-ბით დაფიცების შემთხვევაში ბრალი ეხსნება იმაში, რომ მან თით-ქოს ყმების დანაშაულებრივი ქმედობა იცოდა.

ეკლესის მძარცველი მეკობრები სწამებენ თავიანთ პატრიონს, რომ ჩვენი დანაშაულებრივი მოქმედება „შენ იცოდიო“, ე. ი. ბრალს დებენ მას დანაშაულში. კანონმდებელი მეკობრეებს არ უწე-სებს ფიცის მათი პატრიონის დანაშაულის დასამტკიცებლად, ალბათ იმიტომ, რომ არსებობდა გულვება, რომ მეკობრეთა ფიცის არ დაე-ჯერება.

იმ დროს, როდესაც როგორც მთელი აღმოსავლეთის ისე და-სავლეთის ქვეყნებში ფიცი დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა, არ შეიძლებოდა იგი ასეთად არ ყოფილიყო საქართველოშიაც. მით უმეტეს, რომ იგი (ფიცი) მტკიცებულებას წარმოადგენდა თა-ვისი ეპოქისათვის მაღალკულტურულ ბიზანტიაშიც.

ოპიზის სიგელი, საიდანაც წერილობითი დამამტკიცებელი სა-ბუთების დიდი მნიშვნელობა ჩანს, ამავე დროს უნდა ვიფიქროთ, რომ იცნობდა კანონით და ადაოებით განსაზღვრულ შემთხვევებში მხარისა და მათი მოწმეების ხატზე დაფიცებას. ამაზე უნდა მიუ-თითებდეს ის გარემოებაც, რომ სსენებული სიგელის ცნობით, სა-სამართლოში გამოცხადებულ მხარეებს თან „მოეყვანეს მიძნაძო-

როელთა ხატნი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნა-
წილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი².

ბაგრატის სამართლის წიგნის სხვა მუხლიც ისენიებს შემოზღვაუ;

როგორც დამამტკიცებელ საპუთს, უკლესის გაძარცვასთან შედა-
რებით უფრო მცირე მნიშვნელობის დანაშაულის შემთხვევაში და,
რასაკვირველია, თანამოფიცართა რიცხვს უფრო ნაკლებს იწესებს.
თუ მტერისა კაცმან გატეხოს პატრონისა უკითხავად, მცენბრე
სელთა შისცეს, რა გინდა უყონ, ნუ ემდურის. მცენბრისა პატრონისან
უცოდნელობა ფიცოს თორმეტითა კაცითა. (მ. 114).

საეჭვო ბრალეულობის შემთხვევაში, როგორც ჩანს, დანაშაუ-
ლის სიმძიმის მიხედვით ინიშნებოდა თანამოფიცართა რიცხვი.

როგორც ვხედავთ, ბაგრატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი იც-
ნობს თანამოფიცართა ინსტიტუტს.

ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის სსენებულ მუხლებ-
ში რომ მოფიცართა ინსტიტუტზეა ლაპარაკი, ცფიქრობთ, ეს უეჭ-
ველი უნდა იყოს. აქ რომ მოწმეებზე იყოს საუბარი, ჩვეულებრივი
მნიშვნელობით, ამა თუ იმ კერძო ფაქტის დამადასტურებელ პი-
რებზე, მაშინ გაუგებარი იქნებოდა კანონმდებლის მიერ 12 ან 24
მოწმის წარმოდგენის მოთხოვნა. ამა თუ იმ ფაქტის მოწმედ შეიძ-
ლებოდა ყოფილიყო, ვთქვათ, 3 ან 4 მოწმე და არა 12 ან 24, რო-
გორც ამის კანონმდებლი მოითხოვს.

როგორი იყო თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი. რომელსაც
ჩვეულებრივ იმის მიხედვით ანგარიშობენ, თუ რამდენი თანამო-
ფიცრის წარმოდგენას მოითხოვს კანონმდებელი მკელელობის შემ-
თხვევაში.

ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას სისუსტით ვიღაპარა-
კოთ მოფიცართა ამ ძირითადი რიცხვის შესახებ. რადგან კვლესის
“გატეხა” მეტისმეტად მძიმე დანაშაული იყო, ამიტომ ცფიქრობთ,
რომ თუ სსენებულ ქმედობაში კვემიტანილ პირს 24 თანამოფიცრით
უნდა ემართლებინა თავი, სხვა დანაშაულის შემთხვევაში თანამო-
ფიცართა რიცხვი ნაკლები უნდა ყოფილიყო. შესძლოა, რომ თა-
ნამოფიცართა ძირითადი რიცხვი სწორედ 12 იყო, როგორც ეს
ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის ერთ-ერთ მუხლშია მო-
სენებული. ცნობილია, რომ თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი არ.

² საქართველოს სიძველეზი, ტ. II, გვ. 2, ვ. თაყაშვილის რედ.

გი ევროპული ხალხების სამართლის წიგნის მიხედვით სუმორეფ 12 იუნ; თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი გერმანელებსა და ფრანგებსა და ვებში 12 იუნ. აქედან იუნ წარმოებული მათი როგორც გაღილებული (24, 48, 72), ასევე შემცირებულიც (6, 3) რიცხვიც. ამავე დროს მოფიცარი მოპასუხე არ ითვლებოდა თანამოფიცართა რიცხვში. როგორც ჩანს, რიცხვს 12-ს უპირატესობას აძლევდნენ სხვადასხვა მოსახრებით. შესაძლოა, რომ ეს ქრისტიანობის შემდეგი მოვლენა იყოს, როგორც ამას მ. კოვალევსკი ფიქრობს და დაკავშირებული იყოს სახარების გაღმოცემებთან, რომლის მიხედვითაც იყო ქრისტეს 12 მოწაფე ჰყავდა³.

კავკასიონი მთივლებიდან ოსების საადათო სამართლი იცნობდა მოფიცართა რიცხვს 12-ს, ისე რომ მოპასუხე თითონ 3-ე-12 ფიცულობდა.

ჩვენ აზრს იმის შესახებ, რომ ბაგრატის სამართლის წიგნის მიხედვით თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი 12 უნდა ყოფილიყო ამაგრებს ის გარემოებაც, რომ გურიაში XVIII საუკუნის დასახულსა და XIX საუკუნის დასაწყისშიც კი მკვლელობაში ბრალდებისაგან თავის გასამართლებლიდ 12 თანამოფიცარს თხოულობდნენ. კიბალაძემ ბრალი დასდო კობუარაძეს, რომ მან მისი კაცი მოპეკლა. სასამართლომ დაადგინა, რომ კობუარაძემ ბრალდებისაგან თავი იმართლოს 12 თანამოფიცრის მეშვეობით⁴.

იგვენ მოვლენა აღნიშნულია სვანეთშიც. მკვლელობაში ბრალეულ პირს თავი უნდა ემართლებინა ფიცოთ 12 თანამოფიცრის მეშვეობით. კერ ეპვემიტანილი პირი წარმოსთქვამდა ფიცის ფორმულას და „თუ ამის შემდეგ 12 არჩეული პირი დაიფიცებდა მკვლელის მიერ განცხადებულის სისწორეს ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ მკვლელის ნათქვამი ყველასთვის დამაჯერებელი გამხდარიყო“⁵.

³ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886, стр. 326.

⁴ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. Спб., 1878, стр. 351.

⁵ რ. ხარაჭევი, დიდი ოჯახის გარდონაშთები სვანეთში, 1939, გვ. 31. იგვენ მოვლენის ე. ი. თანამოფიცართა ძირითად რიცხვიდ 12-ის აღიარების გამოხატვილი უნდა იყოს იმპერია-სამეცნიეროში ექვსი თანამოფიცარის დანიშვნა.

. ჩვენიმდე მოლუეულია 1807 წ. განჩინების წიგნი ხონის კულტისისა და ფალავებს შორის დავის შესახებ, როგორიც ერთ კომლ გლეხს წირქვის შეეტყოფა. განჩინებაში ნათქვამია: „აწ ეს გავსინქცი მაგრამ სიგვლი არც ფალავს აქვს და 6

პაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის მიხედვით ფიცა და
გამტკიცებელ საბუთად გამოიყენებოდა საოჯახო ზნეობრივი ხსია-
თის საეჭვო ბრალეულობათა დადგენის მინითაც. „თუ ცოლი და კულტურული
ნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა ორას ემართლების, მისთვის რომელ
გისსა ხელსა შიგან დამართებია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა
რომე სიძულილითა არა გაყროდეს, და ნახევარი სისხლი დაუტე-
ვოს. და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შეიღი დარჩეს“ (მუხ-
ლი 140). კანონმდებელი სნეული ცოლის გაშორების უარყოფითად
უცხორის, მაგრამ თუ ქმარი გაეყრებოდა მეულლეს, საჭიროა ფიცით
დადასტურება იმისა, რომ იგი „სიძულილითა არა გაყროდეს“.

ამ მუხლში ჩვენს ყურადღებას იძყრობს გაუგებარი გამოთქმა:
„შეფიცოს ნაშენითა“. ხსენებული სამართლის წიგნის გამომცემე-
ლი ას იძლევა ამ სიტყვის განმარტებას სამართლის წიგნისადმი
დართულ ლექსიკონში. სიტყვა „ნაშენი“ გადატანითი მნიშვნელო-
ბით დღესაც ნიშნავს შთამომავლობას, მოღვამს. ასეთი მნიშვნელო-
ბით არის ნახმარი ეს სიტყვა ქართული ენის საუკეთესო მკოდნეს-
თან — ვ. ბარნოვთან.

ვვიტქობთ, რომ სამართლის წიგნის 140-ე მუხლში გამოთქმა
„შეფიცოს ნაშენითა“ გადამწერთა შეცდომაა. სინამდვილეში კი უნ-
და იყოს „შეფიცოს ნაბნითა“. ჩაც შეეხება ნაბნით ფიცს, იგი ცნო-
ბილია ქართული იურიდიული საბუთების მიხედვით. „ნაბნით ფი-
ცი“ წმიდა ჯვარისა და წმიდა ხატის ნაბან წყალზე ჩატარებული
დაფიცების რიტუალი უნდა ყოფილიყო.

XV ს. ერთ-ერთ იმერულ საბუთში იყიდობა: „ნახევარმან ნაბ-
ნით და ნახევარმან ხელშეხრით დაიფიცოსო“. „ხელშეხრით დაფი-
ცება“ გულზე ხელის დადებით დაფიცებას უნდა ნიშნავდეს. მოელი

არც ხატისა და ეკლესის კაცო და ეკრც სწორია და მომსწრე მოწმე ენახეთ და
ეს გლეხი დიდი ხნით ფაღავს ყოლია, დღესაც ფაღავს ყავს და სამიართალი ფა-
ღავს დარჩა და ასე გვაჩინეთ: ამ გლეხშიც რამდენიც კაცისული (sic) იყოს
იანგარიშონ და თთო კაცისულზედ ეჭეს ეჭესი კაცი დააფიცოს ფაღავაშ“. (ას.
ს. კავაბაძე, დასაცავეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II—). ტც., 1921,
გვ. 158.

თანამოფიცერთა ძრითად ჩიტვეად 12-ის ლიირების გამოძახილია ფრეთი
ის გარემოება, რომ სამეცნიერებლში XIX ს. I ნახევარში მდივანბევი როსტომ ჩო-
ქჩავანი 120 თანამოფიცერის წამოცენების გადაუწევების ერთ-ერთ მოდევე მხარეს
(იხ. საქართველოს სახელმწიფო მუსეუმის ხელნაწერი, A—1767, გვ. 24).

6 ხსენებული საბუთები ნაშოთვლილი აქვს მ. ქიქოძეს ნაშრომში: „დამატ-
ებიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანდეოდალურ საქართველოში“. საქართ-
ველის სახელმწიფო მუსეუმის მოამბე, XXB, თბ., 1959.

სასამართლო პროცესის დროს „ხელშეხრით“ აზნაურნი იფიციენოდნენ, ზოგჯერ გლეხნიც, ხოლო „ნაბნით“ კი მარტო გლეხშემართავას ან „ნაბნით ფიცი“ შეიძლება სვანური ეთნოგრაფიული ტანალური ცნობილი ხატის ნაბანი წყლის დაღუვას უკავშირდებოდეს.

ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის ერთ-ერთი მუხლი (145) ამბობს: „თუ კაცმან კაცა შეჰყივლოს: „ეს კაცი შენს ცოლს ასრე უზამსო“, ანუ ფიცოს, ანუ მართლა გატეხოს, არა ზედა აც-თუ არა დიაცის ქმარსა შეუყაზმოს“. ამ შემთხვევაში ფიცით უნდა გადაწყვეტილიყო საკრთხი, იყო თუ არა ცილისწამება ერთი პირის მიერ მეორესთვის ნათქვამი მხილება—შენს ცოლს სქესობრივი კავშირი აქვთ სხვა პირთანაო. თუ პირი თავის განაცხადს ფიცით დაადასტურებდა, მაშინ იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა.

„ცილისა წამებისა ასრე არს: თუ მართალსა კაცა ასმიოდეს, საყვედლური გამრავლდეს, თუ მტერობით შეეყივლოს, მაშინ ფიცოს, არა ზედა აც, თუ არა ფიცოს, სისხლი ზროს“ (ძუხლი 120). ე. ი. ფიცით შეიძლებოდა თავის მართლება ცილისწამებისაგან. ყურადღებას იყრიბს ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ფიცი „შემწამებელს“ ეკისრება. როგორია ამ მუხლებში კანონმდებლის სახელმძღვანელო აზრი? ფიცი ეკისრება იმ მხარეს, რომლის მიმართაც მეტი გულვება შეიძლება არსებოდეს, რომ მართალია.

ზემომოტანილი მუხლებიდან ჩანს, რომ ფიცი შეიძლებოდა ყოფილიყო დამამტკიცებელი საბუთი და თავის მართლების საშუალება ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის მიხედვით სხვადასხვა ხსიათის დანაშაულობათა დროს. მცირე დარღვევების დროს მხოლოდ მხარის ფიცი იყო საკმარისი, თანამოფიცარი არ იყო საჭირო.

მე-17 საუკუნის პირები ნახვარში (1633—1649 წწ.) სამეგრელოში მცხოვრები მისიონერი აჩქანველო ლამპერტი მიუთითებს, რომ სამეგრელოში დამამტკიცებელ საბუთთა შორის ცნობილი იყო ფიცი. ივი წერს : „რაც შევხება იმ შემთხვევას, როცა სამხილებელი ნიშნები მეტად სუსტია, მაშინ ბრალდებულს შეუძლია თავი გაიმართოს მარტო ფიცით. ფიცი უნდა მოხდეს რომელიმე ძლიერი ხატის წინაშე, მომჩინენის ამორჩევით. მომჩინეანმა უნდა ამოირჩიოს ეკლესიაც, სადაც ფიცი უნდა მოხდეს და ხატიც. რომელზედაც ბრალდებულმა უნდა დაიფიცოს. წინ-და-წინ მომჩინენი არ გაუმეღავნებს ბრალდებულს, თუ რომელი ეკლესია და რომელი ხატი ამოურჩევია,

7 ინ. მ. ქიმი ქოდის ნაშრომი, გვ. 125.

რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებული მივაო, ფიცის წინა დღეს, დაუჩიქებს ამორჩეულ ხატს და შეევეღრებათ: „შენ ჰუმილაზუან ჯად იცი, რომ ეს დანაშაულობა მე ჩაეკიდინე და, როგორც მრავალებუროვან წინად, ეხლაც მუხლმოდრეკით აღვარებ და გამბობ, რომ ეს საქმე მე ჩვევიდინე, მაგრამ ეს ჩემი აღსაჩება დარჩეს ჩვენს შორის. რადგან იმ ჩემის აღსაჩებით მე მოვიხადე ჩემი ვალი შენს წინაშე, ნულარ გამირისხსდები იმისათვის, რომ სხვების თანდასწრებით ამას სრული-დ უარს ვყოფ. რომ არ განმირისხდე ამისათვის აღთქმას ვდებ, რომ მოგარეთმევ ამას და ამას: მაგალითად ცხვარს ან ძროხას“. ასეთი ღდეული აღსაჩების შემდეგ მას სვინდისი დამშვიდებული აქვს და, როცა მიიყვანებენ იმავე ხატის წინაშე, თავისუფლად დაიფიცებს ტყუილსა“⁸.

როდესაც ფიცის, როგორც აბსოლუტური დამამტკიცებელი სა-ბუთისადმი რწმენა ირყევა, მაშინ წარმოიშობა შეხედულება, რომ-ლის მიხედვითაც ლვთაება არ განრისხდება ცრუ მოფიცარის შიმართ, თუ კი ეს უკანასკნელი ამის შესახებ წინასწარ აცნობებს მას. მისიონერ არქანგელო ლამბერტის თხშულებიდან ჩანს, რომ ფიცი სამეგ-ჩელოში უნივერსალური დამამტკიცებელი საბუთი არ უნდა ყოფილყო და მას უპირატესად ქურდობის საქმეებში იყენებდნენ. ფიცის, როგორც უნივერსალური დამამტკიცებელი საბუთის, სტადია ქარ-თულ სამართალში არა ჩანს.

რელიგიური რწმენა შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი გამაფრთხი-ლებელი ზომების მიღების შემდეგ შეიძლება დაუსჭელად ცრუ ფი-ცი წარმოსთვეა, უკვე ფიცის, როგორც მტკიცებულების საშუალე-ბის, შინაგან რღვევაზე მიუთითებს.

XIX საუკუნეშიაც კი ვოტიაკებს სწამდათ, რომ სასქესო ოო-განზე ხელის მოკიდება ფიცს აქარწყლებს, ამიტომ სასამართლო აიძულებდა მათ ხელაწყეულებს დაეფიცათ.

ისეთი წმინდა რელიგიურ-იურიდიული აქტისადმი, როგორიც ფიცი იყო, ასეთი ორაზროვანი დამოკიდებულება მისი ავტორიტე-ტის რღვევის მაუწყებელი იყო.

ახლა გავიხსენოთ თუ რა ადგილი ეკავა ფიცს დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში შუა საუკუნეების სამართლებრივი კულტურის მესვეურ ბიზანტიაში.

⁸ არქანგელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 75.

амасатарн дацаушиордюбют З. беზомбруаზოვი წერდა⁹: «В системе доказательств, принятой византийским судом, были некоторые особенности. Большое значение придавали присяге. И от свидетелей требовали подтвердить их показание клятвой и такое подтверждение или отказ от него решал исход дела».

ფიცი გამოიყენებოდა მაშინაც; როდესაც მხარეთა დავა მიწის საკუთრებას შეეხებოდა. დიდი იყო ფიცისადმი რწმენა. მოწმეები კვარით ხელში სამართლოს უწევნებდნენ ცალკეული მესაკუთრის მიჯნის. ფიცრობდნენ, რომ მოწმეს, რომელსაც კვარი უჭირავს ხელში, არ შეუძლია იცრუოს. მიწის საკუთრების შესახებ დავის გადაწყვეტის სახით საშუალება მხავალჭერა აღნუსხული დოკუმენტებში.

ბიზანტიურ სამართალში ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, მნიშვნელობის შესახებ დიდი მკვლევარი ცახარი ფონ ლინგენტალი წერს, რომ დავის ფიცის მეშვეობით გადაჭრა ცნობილი იყო ბიზანტიურ სამართალში. გვიანდელი პერიოდის ბიზანტიური სამართალი ფიცს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავდა, თუ სხვა დამამტკიცებელი საბუთები არ იყო სახეზე.

როცა საქმის გადაწყვეტა დამოიდებული იყო ფიცისაგან, მაშინ ცნობილი ხდებოდა, თუ რომელი მხარე არიდებდა თავს ფიცს.

მოფიცარ მხარეს სამჯერ აძლევდნენ ფიცის შესახებ წინადაღებას. ამავე დროს განსაზღვრული იყო ვალი ფიცის მისაღებად; მხარეს ეძლეოდა ვალი 30 (უახლოესი სამართლით 15 დღის) განმავლობაში მოეფიქრა ფიცის მიღება-არმიღების საკითხი¹⁰.

⁹ П. В. Безобразов, Очерки византийской культуры, Петроград, 1919, стр. 179.

¹⁰ ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, მნიშვნელობის შესახებ ბიზანტიურ სამართალში ცახარი ფონ ლინგენტალი წერს: „Die Entscheidung von Streitigkeiten durch Ableistung eines zugeschobenen Haupteides hat die Kaiserin Irene abzustellen versucht. Das spätere Recht beschränkt nur noch die Eides delation auf diejenigen Fälle, wo es an anderen Beweismitteln fehlt.—Ist die Entscheidung von der Ableistung eines Eides abhängig, so wird gegen den erkannt, welcher selbst oder dessen Zeuge den Eid verweigert oder zum Schwure sich nicht stellt“ და სხვა.

K. E. Zachariä von Lingenthal, Geschichte des Griechisch Römischen Rechts, Dritte verbesserte Auflage, Berlin, 1892, ვ3, 398.

ძველი ოთხელი პელესტი ზევსის, აპოლონის და დემეტრეს
სახელით ფიცულობს, რომ იგი მსაჯულისთვის საჟირო პატიონების მიზან
საიცავდა და ამასთან დაკავშირებით ფიცს არ გასტეხდა. პლუტონის მიზან
შევასრულო ჩემი დანატიცები, და მაშინ სიკეთე იყოს ჩემზედა, თუ
არა და დავიღუბოთ მე და ჩემი შიამოშავლობა”¹¹.

სადაც შულობელობის ხატით, ჭვარითა და საუარებით გამიჯვ-
სა წევულებრივი მოვლენა იყო ბიზანტიიში.

ამასთან დაკავშირებით დამასასიათებულია ერთი დავა წისქვი-
ლის შესახებ ლევ მინდალსა და კალლის მონასტერს შორის, მხარე-
ებმა მრავალჯერ იდავეს სასამართლოში, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს
მელიატორებ აირჩიეს არა სამართლის უძლენების პიროვნება, არამედ...
ლეთისმშობლის ხატი. მხარეებმა მოიტანეს თავთავიანთი საბუთები
და წარუდგინეს მას. მოდავე მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ ლეთის-
შობლის ხატის ფარდა უძრავდა დარჩება, მაშინ ცნონ, რომ საქმე
მონასტერმა მოივო. თუ კი ლეთისმშობლის ხატის ფარდა ვადაიწეო-
და, მაშინ ლევ მინდალი ჩაითვლებოდა გამარჯვებულად და წისქვი-
ლიც მას დარჩებოდა. ლეთისმშობლის ხატის ფარდა უძრავდა დარჩე-
ბა საქმე ბერებმა მოივეს. ამ უკანასკნელებმა შეაღვინეს წისქვილის
საკუთრების დოკუმენტი, გააფიქტეს იგი სათანადოდ და წავიდნენ.
მაგრამ არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ ხატის ფარდამ გადაიწია-
რა საქმე ისევ სადაო გახდა. მხარეებმა საქმე იმპერატორის სასამარ-
თლოში გადაიტანეს. ამ დროს იმპერატორად იყო მიხაილ დუკა. ამ
უკანასკნელმა ცნობილ სწავლულს მიქელ პეტროსს უბრძანა საქმის
გარჩევა.

მიქელ პეტროსმა თავის მხრივ საქმის შესწავლის შემდეგ დაად-
გინა, რომ მხარეთა შეთანხმებას სასწაულის მეშვეობით საქმის გა-
დაწყვეტის შესახებ არა აქვს კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. იგი შე-
იძლება გავუთანაბროთ მხარეთა შეთანხმებას მედიატორეთა მეშვე-
ობით გასამართლების შესახებ და ამიტომ ნორმალურ მოვლენად
უნდა ჩავთვალოთ. მედიატორეთა გადაწყვეტილება კი აპელაციას არ
ექვემდებარება. საქმე ლევ მანდალმა მოიგო და ბერების მოსაზრე-
ბანი არ შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული. მხარეთა შეთან-
ხმებში დაოქმული არ ყოფილა თუ როდის უნდა მომხდარიყო სას-
წაული. მოსამართლე ლეთისმშობელს სრული უფლება პქონდა მიე-
ღო გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც ამას თითონ მოისურვებდა.

¹¹ П. Гиро, Частная и общественная жизнь греков, М., гл. 338.

თვით მიწიერ შოსამართლებსაც კი აქვთ ამისი უფლება. ხატის უარ დის გადაწევა ნიშანია არა მარტო იმისა, რომ ლეთისმშობელი მინდალის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწევეტილება; ამასთან ერთად იგი იმის დამტკიცებელიც არის, რომ ლეთისმშობელი აღშფოთდა იმის გამო, რომ ბერებმა გაბედეს წისქვილის საკუთრების უფლების შესახებ ღოუმენტის მიღება. ლეთისმშობელს ამით აგრძელებული ბერების შერცხვენაც სურდა. მარივად, იმპერატორის ბრძნებით წარჩინებულმა ლევ მინდალმა მიიღო სადაც წისქვილზე საკუთრების უფლება¹².

ეს მაგალითი ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ ძლიერი იყო მართლშეგნებაზე რელიგიის გავლენა.

თუ მოწინავე სამართლებრივი კულტურის მქონე ბიზანტიაში ისე დიდი იყო რელიგიის ზეგავლენა სამართალზე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოშიაც ფიცი მნიშვნელოვან ტამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა. მოვიყვანოთ უფრო ნათელი მაგალითი, ისტორიკოსი კანტაკუზენი მოვითხობს, რომ დიდი მოტიხის ერთმა მოქალაქემ, პეტრე არა ამისათვის საკმაო საფუძვლები, ცოლს მრაუშობა დასწამა. მაგრამ ცოლი, რა თქმა უნდა, დამნაშავედ არ აღიარებდა თავს. მაშინ ქმარმა გამოუცხადა ცოლს, რომ მხოლოდ მაშინ დაიჯერებს მის პატიოსნებას, როდესაც იგი ცხელი რეინით გამოცდას გაიღლის. ცოლს უნდა დაეკავებინა ხელში ცხელი რეინა, განსაზღვრულ მანძილზე წაელო იგი და გადაეგდო. თუ ცოლი ქმარს არ ლალატობდა, მაშინ პატიოსანი მეულლე სიღამწვრის მიღების გარეშე ჩაატარებდა, ამ მოქმედებას.

ცოლს შეეშინდა ქმრის ასეთი წინადადებისა და არ სურდა მისი მიღება. მეორე მხრივ ცოლს არ სურდა ქმრისათვის გაემუდავნებინა თავისი დანაშაული, ეშინოდა რომ მას ამისათვის მოკლავდნენ. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ქალმა მიმართა რჩევისათვის ეპისკოპოსს. ქალი ეპისკოპოსს გამოუტყდა დანაშაულში და ოხოვა მას. რომ მისი ქმარი ცოლის პატიოსნებაში დაერწმუნებინა. ამით ქმარს ცოლის ორდალის მეშვეობით გამოცდაზე ხელი უნდა იერო. მაგრამ ეპისკოპოსი არ დათანხმდა ამაზე, ეპისკოპოსი არწმუნებდა ქალს, რომ მას ასეთი გამოცდისა არ უნდა ეშინოდეს; და თუ მომავალში ის იქნება ერთგული ცოლი, მაშინ ცხელი რეინა ზიანს არ მიაყენებს

¹² П. В. Б е з о б р а з о в, Очерки византийской культуры, Петроград, 1919, гл. 174 — 178.



მას. მის შემდეგ დამნაშავე ქალმა მიიღო ქმრის წინადადება. **ცოდნული ქალი** ქმარი უცხო პირების გარეშე გაემგზავრა ერთ-ერთ ეკლესის მიმდევარი ქმარმა რამდენადაც შეეძლო გააცხელა რკინა და მისცა იგი ცოლს ხელში და უმრმანა მას წაელო იგი განსაზღვრულ მანძილზე. ცოლი უცნებლად გადარჩა. თითქოს მას ცხელი რკინისათვის არც კი მოე-იდოს ხელი¹³.

გიორგი აქტოობლიტი მისაილ კომნენტის: „თუ შენ მოწმე არა გყავს, მაშინ შენი სიმართლე ცხელი რკინით უნდა დაამტკიცო“.

საერთოდ რომაული და ბიზანტიური სამართალი არ იცნობდა დამამტკიცებელ საბუთია ისეთ სახეებს, როგორიც იყო ორდალები და ორთაბრძოლა. მაგრამ როგორც ჩანს, სლავებისა და სხვა განვითარების დაბალ დონეზე მდგომი ტომების იმპერიის ტერიტორიაზე დასახლების შედეგად, რასაც აედ. თ. უსპენსკი „ეთნოგრაფიულ ჩევოლუციას“ უწოდებს, სუბსიდარული სახით ალაგ-ალაგ, ლოკალურად შესაძლებელია მათი სამართლურობებში შემოსვლა; ისე, რომ მათ ასახვა არ უპოვნიათ სამართლის წიგნებში¹⁴.

საქართველოს სინამდვილეში ფიცი, როგორც მტკიცებულების სახეობა, უნდა ეფოქტოროთ, რომ უძველესი ეპოქებიდან იყო ცნობილი. ერთ დროს ალბათ, იგი ძირითადი დამამტკიცებელი საბუთი უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ფიცი კარგავს ძირითადი დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობას და თანდათან შეორებარისხოვან დამამტკიცებელ საბუთად იქცევა.

სასამართლოში — მართლმასაჯულების არენაზე, მხარეს ავალდებულებდნენ ფიცი მიეღო სახელმწიფო ხელისუფლების და ეკლესის მიერ დადგენილი წესებით საზეიმო ვითარებაში ხატისა და სახარების წინ და ამიტომ მისი დარღვევა რელიგიურად განწყობილი ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენი იყო. ყოფა-ცხოვრებაში

¹³ А. Рудаков, Очерки византийской культуры по данным греческой агиографии, М., 1917.

А. Лебедев, Очерки истории Византийско-восточной церкви от конца XI до XV века, М., 1892, гл. 181—182.

¹⁴ ბიზანტიურ სამართალზე და ყოფაზე უცხოტომელთა გავლენის საკითხი განხილული აქვთ თავის ვრცელ მონოგრაფიაში ერთ გერმანელ მკვლევარს. ი. S. Mitteis, Reichsrecht und Volksrecht in den ostlichen Provinzen des römischen Kaiserreichs, Leipzig, 1891.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც არა ღმერთს, არამედ საკუთან
თავს ითიცავდნენ და ასეთი ფორმით წარმოთქმული უკურნარები
ვევის შეუძლებლად თვლიდნენ.

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია, რომ მეფე ფარ-
სალანი თავს იშვიათად დაიფიცავდა, მაგრამ რაკი დაიფიცავდა, მას
უთუოდ შეასრულებდა:

„მის მეფისა წესი იყო: თავი მისი ჭირად ფიცის,

და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე წამსა დამტკიცის“. (575).

ფარსალანის დას — დავარს აფრთხილებდნ:

„თავი ფიცა ძმამან შენმამ, არ დაგარჩენს, იცის ერმან“. რუს-
თაველის პოემის ერთი ადგილის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ,
რომ წესად ყოფილა მოწმის დაფიცება: ავთანდილი ეუბნება ფატ-
მანს:

„თვით მონა შენი მოწმად მყავს, ფიცი აფიცე ღმრთიანი“ (1118).

ფიცი დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა არა მარტო სასა-
მართლოში, არამედ კერძო ცხოვრებაშიაც. თუ რა სერიოზული მნი-
შვნელობა პერნდა მას მეფეთა და ასინაურთა ურთიერთობაში, ამის
შესახებ ხშირად ვხვდებით ცნობებს ქართველ ისტორიკოსებთან.

უფრო ვეიან ბექა მანდატურთუხუცესისა და ალბულა ათაბაგ-
ამირსასალარის სამართლის წიგნში ფიცი ერთ-ერთი მნიშვნელო-
ვანი დამამტკიცებელი საბუთია.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 37-ე მუხლში ნახსენე-
ბია როგორც ფიცი, ისე თანამოფიცარი.

სამართლის წიგნის უძველეს (1672 წლის) ხელნაშერში ნათქვა-
მია: „თუ კაცი კაცსა სახლსა მისისა გლეხისასა დაესხას, დასხმისა
წესი დაუურვოს.

და ალაფისა ფიცი-ლაშქართა მართებს.“

თუ მძიმე ალაფი იყოს, ფიციცა მძიმე უნდა.

და ფიცსა შინა დასახელება უნდა“.

მეორე უფრო ვეიანდელი (1709 წ.) ხელნაშერის მიხედვით
37-ე მუხლი ასეა წარმოდგენილი:

„თუ კაცსა საჯდომისა სიახლესა მისსა გლეხსა დაესხას, და სა-
და ხმა მისწვდებოდესთ, ვითა ზედა-დასხმის წესია დაუურვოს.

თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა; ფიცსა შიგა და
სახელებული და დაუსახელებლები მოფიცართა წესია“.

ხსენებულ მუხლში ნახსენები გამოთქმა „ფიცსა შინა დასახ-

ლება უნდა” ნიშნავს, რომ ფიცისათვის საჭიროა მოფიცის დასახლება. ასეც აქვს ეს აღგილი განმარტებული სამართლის წევრული გამომცემელს¹⁵.

37-ე მუხლში უძველესი ნუსხის მიხედვით ნახსენებია „ფიცია შინა დასახლება”. მეორე, უფრო ვეიანდელი ნუსხის მიხედვით ეს აღგილი უფრო განვრცყობითა წარმოდგენილი, საღაც შესაბამის ადგილს ნათქვამია „ფიცია შიგა დასახლებული და დაუსახლებლები მოფიცართა წესია”.

ბეჭა მანდატურთხუცესის სამართლის 37-ე მუხლში მოხსენებული დასახლებული და დაუსახლებელი მოფიცარი შეესაბამება ვახტანგის სამართლის წიგნის მე-10 მუხლში მოხსენებულ „შეგდებულ“ და „შეუგდებელ“ მოფიცარს.

ვახტანგის სამართლის მე-10 მუხლში ნათქვამია: „ფიცი ასრე არის: ერთის ხარის შეწამებაზე, უმოხრობლოდ რომ შესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის; და თუ მთხრობლით სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა“.

ვახტანგის სამართლის წიგნშე აღრინდელი, მაკრამ ბეჭა-ალბულას სამართლის წიგნშე უფრო ვეიანდელი ძეგლი — დიდი მოურავის გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო გავახიშვილის სხვადასხვა სარჩელის შესახებ განჩინების წიგნი (1620 წ.) „შესახლებულ“ და „შეუსახლებელ“ მოფიცარს ასახელებს.

მაგალითად, ხსენებულ განჩინებაში ვკითხულობთ: „ჩეენ ამისი ასრე გავაჩინეთ: წადგეს ქაიხოსრო თავიანთ თავის თავითა, სამის შესახლებულის უმტეროს მოურავის ყადარის კაცითა და ოთხის შეუსახლებელის გულითა და ასრე შეფიცოს“ და სხვ.¹⁶

ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ შესახლებული და შეუსახლებელი კაცები თანამოფიცარნი არიან. „დასახლებული“ და „დაუსახლებელი“ ბეჭას სამართლის წიგნისა, „შესახლებული“ და „შეუსახლებელი“ დიდი მოურავის გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო გავახიშვილის სხვადასხვა სარჩელის შესახებ განჩინების წიგნისა და „შეგდებული“ და „შეუგდებელი“ ვახტანგის სამართლის წიგნისა იდენტური შინაარსისა ჩანა.

ტერმინი „შეუგდებელი“ თარხნიშვილს ესმოდა, როგორც „უფაცრად ერთ-ერთი მოპირდაპირეს ფიცის დასტურის მიმცემი“,

¹⁵ ა. დოლიძე, ძელი ქართული სამართლი, თბ., 1953.

¹⁶ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ., II ტუ., 1909, გვ. 53.

ხოლო „შეგდებული“ — ისეთ პირად, რომელიც „თავისი ფირა ამოწმებდა ერთ-ერთ მოპირდაპირაგანის ფიცს“¹⁷.

დ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემულ ვახტანგის კოდექსით და საბამის ადგილის „ერთი შეუგდებელი მოწამე“ თარგმანით, მო- გორც «один свидетель», ხოლო „შეგდებული მოფიცარი“ «—на- значенный от самого истца свидетелем»¹⁸.

შეგდებული და შეუგდებელი მოწმის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული მყელევარი ი. კარსტის. იგი ამბობს, რომ „შეუგდებელი“ ნიშნავს იმ მოწმეს, რომელსაც მოპასუხე ირჩევს თავისუფლად, ვი- ნაიდან მის წინააღმდევ არსებობს მხოლოდ უბრალო ეჭვი,, ხოლო „შეგდებული“ ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მომჩინენი თვი- თონ ასახელებს მოფიცართ და სავალდებულოდ ხდის მათ ბრალ- დებულისათვის. ბრალდებულს აქვს უფლება სავალდებულო მოფი- ცართა რიცხვიდან მიიღოს ნახევარი და მეორე ნახევარი ამოირჩიოს სურვილისამებრ, მაგრამ მომჩინენს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება დაასახელოს მეორე მხარისათვის მისივე მდგომარეობის („თავისი ყადარი“) სავალდებულო მოფიცარნი, არ შეუძლია ამოირ- ჩიოს ისინი თავისი საკუთარი თემიდან, რადგან ამ შემთხვევაში მიუდგომლობა დარღვეული იქნებოდა¹⁹. პროფ. ალ. ვაჩიშვილი ეთანხმება კარსტის განმარტებას და წერს: „კარსტის განმარტება, ვფიქრობთ, სწორად გაღმოვცემს კანონის აზრს. ამ განმარტების შემდეგ 10 მუხლის შინაარსი ჩვენთვის გასავები ხდება“²⁰.

მყლევარი ი. კარსტის მოსაზრება, რომელსაც პროფ. ალ. ვაჩიშ- შვილიც ეთანხმება, ძირითადად სწორია. ვფიქრობთ, რომ სწორია აგრეთვე ჩვენი მოსაზრებაც, რომ ბექქს სამართლის „დასახელებუ- ლი“ მოწმე უდრის ვახტანგის სამართლის „შეგდებულ მოფიცარს“ და „შესაბამისად ამისა „დაუსახელებელი“ მოწმე „შეუგდებელ მო- ფიცარს“, და რომ აგრეთვე მათი იდენტური ცნებებია „შესახელე- ბული“ და „შეუსახელებელი“ მოფიცარნი 1625 წლის ზემოხსენე- ბული განჩინებისა.

17 ვ. თარ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, სასამართლო წარმოება საქართველოში. კრისტენი ევ. ჯვარიშვილის რედ., 1915, გვ. 116.

18 Сборник законов царя Вахтанга VI, Тифлис, 1887, стр. 7.

19 ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 11, თბ., 1948, გვ. 71.

20 ალ. ვაჩიშვილი, იქვე, გვ. 71—72.

ვახტანგის სამართლის წიგნის 239-ე მუხლი ამაგრებს ჩვენს მა-
საზრებას. აქ ვკითხულობთ: „დედაკაცის არ ეფიცების, არც გარეშე
კაცი შეეგდება, ამისათვის რომე გარეშეს კაცს არ გაეტყდება“ უკუ-
არას მისის ფიცისას ინალვლის; უნდა მოსამართლემ მოუძებნოს.
რაც რამ საყვარელი ყვავდეს, ძმა თუ შვილი ან სიძე, ის შეაგდოს“.

ამ შემთხვევაში გამოთქმა „გარეშე კაცი არ შეეგდება“, ნიშ-
ნავს გარეშე კაცი არ დასახელება. ხოლო გამოთქმა „უნდა მოსამარ-
თლემ მოუძებნოს, რაც რამ საყვარელი ყვანდეს, ძმა თუ შვილი, ან
სიძე, ის შეაგდოს“ ნიშნავს, რომ მოსამართლემ უნდა მოუძებნოს.
შეურჩიოს (ჭალს) „საყვარელი“ ადამიანებიდან (ძმა, შვილი, სიძე)
ერთ-ერთი და ის დაუსახელოს მოფიცრად.

ვფიქრობთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის 239-ე მუხლა
არქვევს, რომ „შეგდებული“ დასახელებულს ნიშნავს, ხოლო „შეუ-
გდებელი“ — დასახელებელს. თუ ხსენებულ სიტყვებს ვიგულის-
ტებთ 139-ე მუხლის სათანადო ადგილას, მაშინ ყველაფერი გასა-
ვავა ხდება.

რას ნიშნავს ვახტანგის სამართლის მე-10 მუხლში მოხსენებუ-
ლი მთხოობელი? თარხნიშვილის აზრით „მთხოობელი“ ბოროტმოქ-
ნედების ბრალის მდებელი მოწმეა. ვახტანგის სამართლის რუსული
თარგმანის ავტორს იგი ესმის. როგორც „посторонний доносчик“.
ხოლო კარსტის ვაკებით იგი არის მესამე პირი, რომელიც განცხადე-
ბას იძლევა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. პროფ-
ეს. ვახტანგიშვილი იზიარებს თარხნიშვილის შეხედულებას და წერს:
„ვფიქრობთ, რომ „მთხოობელი“ მართლაც ბრალის მდებელ მოწმეს
უნდა ნიშნავდეს“²¹.

მთხოობელის ცნებას თანამედროვე ცოცხალი ქართული ენაც
იცნობს. როდესაც ამ ტერმინს და ამ ცნებას იურიდიულ გარკვეუ-
ლობას აძლევენ, იგი ნიშნავს ჯაშუშს, დამსმენს. მთხოობელის ასეთ
განმარტებას მხარს უჭერს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკო-

²¹ ალ. ვახტანგიშვილი, დასახელებული ნაშრომი, ვა.

2. გ. ნადარეიშვილი

6 6 6. 6.
სამართლის სამსახურის სამსახური
სამსახურის სამსახურის სამსახური



ნიკ, რომელსაც ამ სიტუაცის ერთ-ერთ მნიშვნელობად ნაჩვენებია აქვთ
—ენატანია, დამსმენი, გაშუშია²².

ალ. ყაბბეგთან კვითხულობთ: „რადგანაც თითონი სამართლის მიერ კალხს სრულებით არ იცნობდა და არ იცოდა იმათი ენა, იმას ნება-
უნებლივ უნდა გაეჩინა ენის მომტანები, მთხრობლები, დამპეზ-
ლებლები, გაშუშია“.

კახტანგის სამართლის წიგნის 236-ე მუხლი სწორედ ასეთ
მთხრობელს ეხება. ეს მუხლი სამართლის წიგნის გამომცემელს ორ
ვარიანტად მოჰყავს. ჩვენც მას მოვიტანთ ორივე ვარიანტით მთხრო-
ბლის ცნებისათვის გარეულობის მისაცემად.

236-ე მუხლის პირველი ვარიანტი:

„მთხრობობა საქმით ხომ მართალიც ცოდვა არის, და ტურ-
ლი მესისხლობა არის, მაგრამ საღმრთოს წანახედისა და ხელმწიფის
ორგულობისა შეიტყოს ვინმე და არ გაამეღავნოს, ისიც დამნაშავეს-
თან ჩაიგდების, მასთან უნდა დანაშაული გარდაიხადოს. მთხრობელ-
მან როდესაც უთხრას კაცა და სამთხრობლო გამოართვას, მაშინვე
ის პირობა უნდა დაიდოს, რომ „თუ განვირდეს, პირს დაუდგება“.
რომელიც ამის პირს ერ მისცემს, იმაში ტყუილი ურევია. თუ ტყუ-
ილად კაცმა კაცს უმთხრობლოს და მთხრობელი გამტყუუნდეს, რაც
იმის ენით მართალს კაცს ედებოდეს, იმთონი მოსამართლემ გარდა-
უხდევინოს“.

236-ე მუხლის მეორე ვარიანტში ნათქვამია:

„მთხრობელობისათვის ასრე იქნას, ვინც რომ თქვას: „მე გავი-
გონე, შემი საქონელი ამ კაცას აქვსო“, იმისა არ ირწმუნება, ტყუის;
მთხრობელი იმის ქვიან, რომელსაც უნიხევს თვალითა, როგორც მოუ-
პარავს ან დაუმალავს, ყველა უამბოს როდეს ქურდი მოსამართლეს-
თან მოიყვანონ; და არ გატყდეს, პირს წამოუდგეს და მთხრობელმა
გასტრებოს. ამას კარგად გასინჯვა უნდა, ან მტერობა არ ედვას
მთხრობელს, ან ურჯულო არ იყოს და მტერობით არ ეოქვას. თუ
მთხრობელი გამართლდა და ქურდი გატეხა, სამთხრობლო მიეცემის;
თუ ქურდი ვერ გატეხა და თვითან გამტყუნდა, სცენ, გარიმა წაართ-
ვან და გაავდონ“.

ხსენებული მუხლებიდან ნათლად ჩანს, რომ 1) მთხრობელი
არის დამსმენი დანაშაულის შესახებ. 2) 236-ე მუხლის ორივე რე-

22 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958.

დაქციის მიხედვით მთხრობელს გასამრჯელოც ერგება²³. 3) მთხრობელის ვალდებულებას შეაღენს, რომ თუ დამნაშავე არ გამოიყება დანაშაულში, მაშინ პირისპირ წარუდგეს მას. 4) ტურქულურავაკისათვის დანაშაულში ცილის დამწამებელი მთხრობელი ბეჭედით 236-ე მუხლის პირველი რედაქციის მიხედვით ტურქულად დამსმენი პირი იმ სასჯელით უნდა დაისაჭოს, რაც მის მიერ ცილდაშამებულ პირს მისი სიტყვის გამო მოელოდა. სხვა ვარიანტით ტურქულის დამსმენს ცემა და გარიმა მოელის.

„მთხრობელი“ არ შეიძლება იყოს ის პირი, ვისაც თავისი თვალით არ უნახავს დანაშაულის ჩადენა და ამბობს „მე გავიგონე, შენი საქონელი ამ კაცსა აქვსო“. „მთხრობელი“ თვითმხილველი უნდა იყოს. როგორც ილვნიშნეთ „მთხრობელს“ გასამრჯელოს აღლუვდნენ. ეს გარემოება კი საშიშროებას ქმნიდა, რომ ვინმეს უდანაშაულო კაცი არ დაესმინა. გარდა ამისა შეიძლებოდა ვისმე პირადი შტერიც ტურქულურის ალოდ ლაქსმინა.

ამიტომაც კანონმდებელი გაფრთხილებას იძლეოდა, კარგად გამოერკვიათ, სიმართლეს ამბობდა თუ არა „მთხრობელი“.

თუ ვინმე „ხელმწიფის ორგულობას“ შეიტყობდა და არ განაცხადებდა, „ისიც დამნაშავესთან ჩაიგდების, მასთან უნდა დანაშაული გარდაიხადოს“. ამ შემთხვევაში დანაშაულის განუცხადებლობა, დამნაშავის დაუსმენლობა ისევბოდა. სხვა შემთხვევაში, დანაშაულის განუცხადებლობა არ ისევბოდა.

წომ არ არის ქართული „მთხრობელი“ მსგავსი ოსური საადაოთ სამართლის სინამდვილეში ცნობილი ე. წ. „კომძოვისა“? „მთხრობელი“ დაახლოებით ოსური საადაოთ სამართლის „კომძოვის“ ანალოგიური ჩანს.

თებეში ისეთ პირს, რომელიც თავის თავზე აიღებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დამტკიცებას, კომძოვი ეწოდე-

23 მთხრობელს რომ გასამრჯელო ერგებოდა და რომ მათზე ცელს ხარჯდენენ ამის გამომახილით საბუთობშიც გახვდება.

1755 წ. დათარილებულ ბესარიონ დათალიკონის შეწირულობის წიგნში ვკათხულოთ: „ამ მიხესით ჩვენს მემკვიდრე ყმას ბელაშეილს ირმა კლებმა კუბლაშეილმა და ტოლაძემ შინაურა მოსარეს ჩილუნიძე და ახალციხეს გაუყიდეს და დიდის შრომით და ძიებით გამოიჩინა და სახსარი და სამთხობი თუ ბელაშეილს ამითს ნაქურდალზედ თოთხასი მარჩილი და ესარჩილი (იხ. ს. კაკაბაძე, დასაკრეატ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ. 1921, გვ. 7).

ბოდა. ამავე დროს კომშოგი ცდილობდა შექლებისამებრ დაეცარდა თავისი სახელი და ამით ბრალდებულის ნათესავების მხრით შეცვლისა და ძიებისაგან თავი დაეცა. კომშოგის ჩვენებას მატერიალურობის დაურება უნდოდა და იგიც ღებულობდა მას.

ვ. ლიახველმა გამოსთქვა აზრი, რომ ძველი ოსური სამართლწარმოება არ იცნობდა კომშოგის ინსტიტუტს, რომ იგი შედარებით ახალი მოვლენაა²⁴. ეს მოსახრება შეიძლება საფუძველს მოცემებული არ იყოს და ოსური კომშოგი ქართული სამართლებრივი უოფის გავლენის შედეგი იყოს.

როგორი იყო ფიცის მიცემის წესი?

ამის შესახებ ჩუსი მოხელე ევდოკიმ პოპოვი წერდა გენერალ ტარმასოვს 1809 წლის 13. V

«Когда ответчику назначалась присяга, которую выполняли всегда грузины в Сионе, а Армяне в Петханне, — в церквях так называемых, тогда решительным определением назначалась она, с дачею 40-дневного срока на размышление и приготовление себя к присяге. И как скоро срок кончался и ответчик решительно приготовился присягать, тогда есаул давал знать священнику о бытии при церкви с ключем, не отпирая оную, — равно призывал соприсягателей и истца о бытии присяге ответчика; и как все в готовности было, тогда ударяли в колокол и ответчика вел есаул к церкви с двумя заженными в руках свечами. А по приходе к церкви священник вручал истцу церковный ключ и тот истец должен был отпереть церковь и отворить двери. Ответчик, за ним соприсягатели, истец, священник, есаул и зрители входили в церковь. Священник ответчику, посреди церкви стоящему, выносил из алтаря крест и Евангелие и ему, ответчику, вручал в одну руку крест, а в другую Евангелие, и ответчик, держа в руках крест и Евангелие, произносил слова, что он в истцовом иске не виноват, а соприсягатели за ним, ответчиком, стоящие единогласно говорили «правда» и тем самым присяга оканчивалась»²⁵.

²⁴ Г. Лиахвели, Древнее судопроизводство у осетин. Юридическое обозрение, 1885, № 197.

²⁵ Акты, т. IV, док. № 3, Тифlis, 1870.



ვახტანგის სამართლის წიგნში არა ჩანს გარკვევით ფიცის წინ მოფიცარი მართლა ფიქრობდა და ლოცულობდა თუ არა 40 ჰარების როგორც ეს ზემოხსენებულ დოკუმენტებშია აღწერილი. მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-7 მუხლიდან ჩანს: სასამართლო ორთაბრძოლის წინ წესად ყოფილა მიღებული, რომ მხარეები „ორმოცხა და ან ნაკლებს დღემდინ ალოცონ“. დაახლოებით ივერე ვადა უნდა ყოფილიყო დაწესებული ფიცის შესახებ მოფიცრებისა და ლოცვისათვის. სასამართლო პრაქტიკა იმ ვადებს ცვლიდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-10 მუხლის მიხედვით „ხატი, ვინც აფიცებს იმან იშოვნოს. იმ მოფიცარმან მღდელს ხატი ხელში ჩამოართოს და სარე უნდა თქვას: „ამისიმა მაღლმა და ამისიმა ვამაცხოვებელმან ღმერთმან შენ ამამავალო კაცო, რასაც მწამობ (სახელდობრივ ჩაიტანოს), მე ამისი არც მქნელი ვარ და არც არა ვიცი“. რა ეს სიტყვა გაათავოს, მოწმეებმან უნდა თქვან: „მართლა ფიცი მაგისმა მაღლმანო“ თუ სარე იფიცა, ვამართლებული იქნება, იგი კაცი და, თუ ვერ იფიცა, რასაც სწამობს, პასუნი უნდა ვასცეს“.

თუ როგორ ეძნელებოდა თუნდაც მართალ შხარეს დაფიცება, ჩანს იქიდანაც, რომ ზოგჯერ ფიცის წინაშე შიშით უარი უთქვამო ისეთ პრეტენზიაზეც კი, რომელიც ნამდვილად მორალური და კანონიერი იყო მოეთხოვათ მოპასუხისავან.

ფიცის მიღება მეტად ძნელი ხაქმე იყო.

შევე გვიან, XIX საუკუნეში მიწისმფლობელობის საკითხებზე დაობდნენ რაპველები და ოსები. დავის რამების რამდენიმე დღიური მიწა შეადგენდა. ძალიან დიდზანს გაგრძელდა ეს დავა. და როგორც დუნელ-ველინგი მოგვითხრობს, რაპველი სოფლის თავკაცებმა — მოხუცებმა ასეთი მტკიცების ხერხს მიმართეს: შეკვარეს ხლომახლო მცხოვრებნი, დაუძახეს ოსებსაც და სადაც მიწაზე დასვეს სარი, რომელზედაც ქუდი წამოაცეს. რაპველებმა შესთავაზეს თხებს ასეთი არჩევანი: თუ სადაც მიწა მართლაც მათ ეკუთვნით, მაშინ ჩამოხსნან ქუდი სარიდან და მიწა მათ საკუთრებად იქნებოდა ცნობილი. ვადად დათქვეს სამი დღე. მაგრამ ოსებმა ქუდი ვერ ჩამოხსნეს სარიდან და მაშასადამე, ხელიც თლეს სადაც მიწათმფლობელობაზე²⁵. რაპველებმა, როგორც ჩანს, იმპროჭ მიმართეს მტკიცების ასეთ ხერხს, რომ იცოდნენ თუ რა დიდ მნიშვნელობას ანგცებდა ოსური სამართლწარმოება წყველა-კრულვას,



ანათემას, ოსურად ფალდისინას, რომელიც სწორედ ზემოამოვნებული
პროცედურაში მდგომარეობდა. წესის მიხედვით ბრალუნებული უკავშირი
და დაქსო სარი. ჩაესო მიწაში და დაეხურა მისთვის თავისი ფალაბი
და წარმოეთქვა: - „და მე ვიყო ფალდისდი (საკუთრივ შეწირული)
ძევდრებისაგან ყველაზე სამარტინომაგანის (აზვარ მარდა), თუ
ზე ჩავიდინ ასეთი საქციელი“ - „და მე საიქოში ვინმეს, თუნდაც
მამასახლისის (ხელით აჩვენებს მასზე) ცხენად ვრქცე, თუ დამსაშავე
ვიყო“ ბრალდებულის ასეთი ფალდისდი შაორი გამართლების ხე-
კეთების საშუალებად ითვლებოდა.

თავებს სწამდათ, რომ ადამიანს საიქოშიაც სკირდება ცხენი
და რომ იქაც სწარმოებს ჯიგიტობა, მავრამ იქ ცარცხბი არ არის და
არც იქნება შანამდე, სანამ ფალდისდი ცრუმოფიცარს ცხენად არ
აქცევს. ცრუმოფიცარი სიკვდილის შემდეგ ცენზი იტევა?²⁷

შპირარ გოშის სამართლის წიგნის (შესავალი, თავი VIII) მოხ-
დვით ასებობდა ფიცეს ორი სახეობა: აღიარებისა (გამორცდომა)
და უარყოფისა, უარის თქმისა უარის თქმის ფიცეად იწოდება ისეთი
ფიცე, როცა მოფიცარი ხელს დადგებს რა სახარებაზე ან გვარზე (ან
კვლესის მიადგებს რა ხელს) და ასე უარყოფს. უარყოფის ფიცე აქ-
ნებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა მოფიცარი მშობს: „არ ვიყო შე
ქრისტიანი, თუ ეს ასე არ იყოს“.

შპირარის ცნობით უცხო რეულის (სარწმუნოების) ხალხი უარ-
ყოფის ფრუის შემთხვევაში, შედის რა კვლესიაში, აქრობს სანთოლს
ან უბერივს წარალს ან კარაქს. ზოგიერთები მიწაზე ხატავენ ხვარის.
შემდეგ უცხებით გოვლავენ მას, ან ძაღლის კუდს სტაცებენ ხელს
ან ძვლით მიწაზე გამოყავთ ორი წრე და ვადადიან ერთიდან მოთ-
რეში. კანონმდებლის აზრით ასეთი ასეთი და მსგავსი უარყოფის ფიცე
შპირარისა არ აეთარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს, თუნდაც მას
სიკვდილით დასხა მოყლოდეს.

შპირარ გოშის მოხდევით აღიარების ფიცეს წესჩერეულება ასე-
თია: მოფიცარი ხელს დეგბს ჭვარს ან სახარებას. შეიძლება, იგრეთ-
ვე, რომ მან ხელი მიაღოს კვლესიას და იცის რა, რომ დეგრით
გულთამბილავია, იგი მმბობს: „ცოდეს ღმერთმა და ეს ჭვარი და
ეს სახარება მოწმედ იყვნენ, რომ სიმართლეს ვამბობ და არა სიც-
რუეს“. ან მოფიცარს შეუძლია იირჩიოს სხვა ფორმულა: - ვუაცავ
მათ დიდებასა და ძლიერებას, რომ არ ვტყუი. ვუწოდო ღმერთს

²⁷ Г. Лиахвеали, Древнее судопроизводство у осетин. Юридическое обозрение, 1885, № 197.



გულთამხილავი, ჯვარს ქრისტეს ნიშანი, სახარებას ღვთის სიცავა
და ეკლესიას ღვთის ტაძარი” — ესაა ოლიარების ფიცი.

თუ მოდავე მხარეთაგან ორივე ქრისტიანია და ორივე მჰმდინარითი
უარყოფის ფიცის მიღება სურს, მოსამართლემ ეს არავითარ შემ-
თხვევაში არ უნდა დაუშეის. მხარეებმა უნდა მოინანიონ თავიანთი
განზრახვა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ მოსამართლისაგან
ალიარების ფიცის ნებართვას.

ფიცი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაიშვება. მცირე მნიშ-
ვნელობის საქმეებზე არ არის საჭირო დაცვა წრეაცება.

მხითარ გოშის სამართლის წიგნი აღიარებს იმ ზოგად დემუ-
ლებას, რომ ვისაც მოწმე ჰყავს, იმან არ უნდა დაიფიცოს, ხოლო
ვისაც არა ჰყავს მოწმე. ის ვალდებულია მიიღოს ფიცი. თუ
ვინმე ვისმეს სახარატლოში მოიყავს როგორც მევალეს (დებიტო-
რი) და ომონინდება, რომ არცერთ მხარეს არ გააჩნია მოწმეები, მა-
შინ უნდა დაიფიცოს იმან, ვისაც ვალის გადაუხდელობა ბრალდება.
მოსარჩევ ან მომჩინევანი, როგორც წესი, არ იფიცებს, მაგრამ გამო-
ნაყლისა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როგორაც მათი პიროვ-
ნება არავითარ ეჭვს არ იწვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მო-
სარჩევს და მომჩინევანს დააკისრებდა კანონმდებელი ფიცი, მაშინ,
როგორც ამას მხითარ გოში ფიქრობს, ბევრი ვინმე ანგარების მიხ-
ეთ დაიწყებდა ტუუილ ფიცის, იმ მიზნით რომ საქმე მოვევ და მო-
ასუხე ეწიარალებინა.

თუ ვინმეზე ეჭვია მიტანილი ქურდობაში. მრეუშობაში,
შეცელობაში ან ყაჩაღობაში და მის მომვრელს (მამხილებელს)
მოწმე არა ჰყავს, მაშინ უნდა დაიფიცოს ამ უკანასკნელმა, ვინადან
ბოროტოქმედი ფიცისა არ ეშინიათ. ვამონაკალისის სახით შეძ-
ლება დააფიცონ სენატულ ბოროტოქმედებაში ბრალდებული იმ
შემთხვევაში, თუ მათი სიტყვები თავის მართლების ირკვლივ მოსა-
მართლეს ნდობის ღირსად მოეჩენება.

მოფიცარი ასაკით 25 წლისა უნდა იყოს. ამავე დროს იგი არც
ძალიან მოხუცი უნდა იყოს, რომ მოუნანებლად არ მოკვდესთ. ლო-
თი და მეზვერი მოფიცარად არ დაიშვებოდა. ქალი შეზღუდული იყო
როგორც მოწმე და მოფიცარი. მან ძმას უნდა დააფიცებინოს.

იმ დროს, როდესაც მხითარ გოშის სამართლის წიგნი იწერე-
ბოდა — XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში
სომხეთი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში
შემოღიოდა. ორივე ეს ქვეყანა ქრისტიანულ-ფეოდალური საზოგა-

დოების განვითარების მაღალ და თანაბარ დონეზე იდგა. ამიტომ
ცხადია, რაც თუ ისე სახითათო იქნება, თუ ვიტუვით რომ ძირითად
ხაზებში ქართული სამართლის დანაწესი ფიცის მიცემის, წესის და
სახებ წომხურის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში
ჩვენ აյ გვაინტერესებს საკითხი თუ რა პრინციპით წყდებოდა საკი-
თხი იმის შესახებ, თუ მოდავეთაგან რომელ მხარეს უნდა მიეღო
ჯაცი.

ამ საკითხის გადაწყვეტის გარეეული წესის ამოსავალი უთუოდ
დათობრივი სამართალი იყო როგორც მნითარ გოშისათვის, ასევე
500 წლის შემდეგდროინდელი კანონმდებლის — ვახტანგისათვის.

ფიცი ისაკით კაღარა, შორეული წარმოშობის დამამტკიცებელი
ხაბუთი იყო და მისი „რიგიც“ ადათობრივი სამართლის მიერ დაწე-
სებული ძეველი ტრადიციებით ჩეგულირდებოდა. სამართალს მხო-
ლოდ კორექტივი თუ შეპქონდა ამ წესში.

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-11 მუხლი ამბობს: „აწეს უნ-
და მოსამართლემ იცოდეს, თუ ფიცი რომლისა არის. ვინც შესწა-
მებს ვისმე რასმე, იმ შეწამებულმან კაცმან უნდა დაითიცოს. ამ
დღეს ვისაც მამული უჭირავს და შეეცილების ვინმე, ფიცი, ვისასაც
ხელო მამული არის, მისია; ის ასრე დაიფიცავს: „ეს ადგილი ამ სამ-
ღვრამდინ, ამ ალაგამდინ (სადამდინაც შეუძლია, ჩაივლის, ხატი
ხელო ეჭირვის), — იტყვის, — აქამდის ჩემის ალაგისა ჩემიც იყოს
და ტყუილადაც შეცილებოდე“.

რა შეხედულება უდევს საფუძვლად კანონმდებლის ამ დაბა-
შეს?

ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება ანალოგიურია მნითარ გოშის
აუ ატრეთვე ზოგიერთ სხვა სიმართლის წიგნებში გატარებული აზ-
რისა იმის შესახებ, რომ კანონმდებელმა მოსარჩევს (მომჩივანს) რომ დაკისროს ფიცი, მაშინ იგი. როგორც დამამტკიცებელი საბუ-
ჭი თავის მნიშვნელობას დაკარგავდა. განწყებოდნენ ანგარების მიზ-
ანთ, ქონებრივი გამორჩენის მიზნით ცრუმოფიცარნი, რომლებიც
პატიოსან მესაკუთრეებს ფიცის მეშვეობით თავიანთ კანონიერ ქო-
ნების წართმევდნენ სასამართლოს წესით.

გარდა ამისა, ხსენებულ შეხედულებას საფუძვლად უნდა ჰქონ-
დეს ფაქტიური მფლობელობისათვის მეტი დაცვის გარანტიების მი-
ცემის თვალსაზრისი.

კანონი ითვალისწინებს ფიცის დამამტკიცებელ საბუთად, რო-



კორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საკითხებზე.

იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც ფიციო უნდა გადაწყვეტილიყო, დიდმნიშვნელოვან საკითხად ითვლებოდა ის, თუ რომელ გხარეს უნდა დაკისრებოდა ფიცი: ვინ, რომელი მხარე იყო ვალდებული დაეფიცა? ამ საკითხის გადაწყვეტა უშუალო იმანენტურ კავშირშია ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის ისტორიასთან. ამ საკითხის გადაჭრის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ თუ რა შეხედულებისა იყო კანონმდებელი ფიცის ხასიათის შესახებ და რა ეკოლუციის განცდიდა ეს შეხედულება წინანდელთან შედარებით.

«В древнейшее время, по всей вероятности, присягал истец, по крайней мере в тех случаях, когда присяга была самостоятельным доказательством, а не служила заменою поединку, ибо при общем доверии к присяге дать ее было не легче, чем представить какое-либо доказательство»²⁸.

ეს შეხედულება გატარებულია „რუსეთი პრავდაში“, სადაც როგორც წესი მოსარჩილეს აქვს დაკისრებული ფიცი.

ფიცის განვითარების აღრეულ საფეხურზე იგი უპირატესად მოსარჩილეს ედება. შემდგომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გართულებასთან ერთად კანონმდებელი, მართალია, სასამართლო ორთაბრძოლას ფიცის არჩევს. მაგრამ ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად გამოიყენოს იგი დამამტკიცებელ საბუთად. მისი გამოყენების შემთხვევებში იგი უპირატესად მოჰასუხეს ეკისრება; გამონაკლის შემთხვევებში იგი შეიძლება დაეკისროს მოსარჩილესაც.

რუსეთში პეტრეს წინადროინდელ სამართალში ფიცი მოჰასუხეს ეკისრებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს შეეძლო სურვილისამებრ გადაეკისრებინა იგი მოსარჩილისათვის. ამ შემთხვევაში მოსარჩილე ვალდებული იყო მიერო ფიცი; თუ ასე არ მოიქცეოდა, მას სარჩელზე ხელი უნდა აეღო. როდესაც ერთ-ერთი მოდავე მხარე უცხოელი იყო, მაშინ წილის ურით უნდა გადაწყვეტილიყო თუ ვის უნდა დაეფიცა²⁹.

²⁸ Ф. М. Дмитриев, Сочинения, т. I, М., 1899, гл. 253.

²⁹ К. Кавелин, Основные начала русского судоустройства и гражданского судопроизводства, М., 1884, гл. 90.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლი იცნობს ფიცის ჩემ ხატეობის, რომელსაც შეფასებითი ფიცი (Jurament quantitatis) გვიცნება უნდა და რომელიც მოსარჩლის ფიცის ერთერთ კერძო რამდენიმე უნდა უარმოადგენდა.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 65-ე მუხლში ნათქვამია: „თუ ქარავნისაგან ქურდმან წაულოს რამე, მერმე მან მისი იცნას სხვისა კაცისა ხელთა, დაიფიცოს მან კაცმან, რომე ქურდი არა ყოფილიყოს, თავის შეტას არას ემართლების. თუ ვერ იფიცოს ქურდობისა, მაშინ საქონლისა პატრონმან დაიფიცოს, რა წარმდომია, და ყველა უზღლოს. თუ იგი კაცი ყოფილ იყოს, თუ ლაშქარი რაცა მისისა ალაფისაგან ფიცით მინახუედრებია, იგიცა უზღლოს დაუკლებლად“.

ხსენებულ მუხლში დაშვებულია მოსარჩლის ან დაზარალებულის ფიცი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე ფიცი თავს არიდებს. მაშასაღამე, ქურდობაში ეპევმიტანილი მოპასუხის მხრით ფიცხე უარის თქმა ზოგადად წავეტდა მისი ბრალეულობის საკითხს, ხოლო მოსარჩლის ფიცი ნაქურდალის ოდენობას, მის შეფასებას შეეხებოდა.

* * *

დაშვებოდა თუ არა წარმომადგენლობა ფიცის ღრის? ამ ხაკითხის შესახებ ერთ შემთხვევაში, როდესაც მოფიცარად ქალი უნდა გამოსულიყო, ვახტანგის სამართლის წიგნი დადებით პასუხს იძლევა. სამართლის წიგნის 239-ე მუხლის მიხედვით „დედაკაცს არ ფიცების, არც გარეშე კაცი შეეგდება, ამისათვის რომე გარეშეს კაცს არ გაუტყდება, არც არას მისის ფიცისას ინაღვლის; უნდა მოსამართლემ მოუქებნოს, რაც რომ საყვარელი ყვანდეს, ძმა თუ შვილი ან სიძე, ის შეიგდოს“.

დედაკაცს ფიცის უფლება არა აქვს. ამავე ღრის მოსამართლემ მას წარმომადგენლად გარეშე, უცხო მამაკაცი არ უნდა დაუსახელოს. ქალი, კანონმდებლის აზრით, „გარეშეს კაცს არ გაუტყდება“ და „არც არას მისი ფიცისას ინაღვლის“. ამიტომ მოსამართლემ ქალს ფიცის თაობაზე წარმომადგენლად უნდა დაუსახელოს ახლობელი მამაკაცები — „რაც რამ საყვარელი ყვანდეს“. ასეთ მახლობელ ადამიანთა რიგში კანონმდებელი ქალს უსახელებს ძმას, შვილსა და სი-

ძეს. ხსენებულ პირთ უფლება აქვთ დაიფიცონ ქალის მაგიკურად კანონმდებლის მიერ ფიცის თაობაზე წარმომადგენელთა ზემოქმედებული ჩამოთვლა შხოლოდ სანიმუშო უნდა იყოს. ვინაიდაა თუ ზემოხსენებული პირებიდან (ძმა, შვილი, სიძე) არავინ არ ეყოლებოდა ქალს, მაშინ, უნდა ვიტიქროთ, რომ ბიძაშვილები ან სხვა ახლო ნათესავები, ვთქვათ ბიძა, მამა, ბაბუა დაიფიცებდნენ მის მაგიკურად.

ფიცი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტამამტკიცებელი საბუთი იყო ქართულ სამართალში და სწორედ მისი დამოუკიდებლად სარგებლობის უფლება არ გააჩნდა ქალს. კანონმდებლის აზრით ქალი მორალურად მანკიცრი არსებაა. ივი გარეშე კაცს არ ვტყვის სიმართლეს, აიძულებს მას ტყუილად დაიფიცოს და თაოთონ კი „არც არას მისის ფიცისა ინალვლის“. ერთი სიტყვით კანონმდებელი ქალის სინდის არ ენდობა.

ივივე აზრი აქვს გატარებული კანონმდებელს სამართლის წიგნის 216-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „თუ დედაკაცს კაცისაგან საჩივარი, აქვს, სამართალშიც მიესვლება და გავონებაც უნდა, მაგრამ მისის ენით მოადს არც ფიცი დაეფიცება, არც არა წაერთმის. თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი არის. თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში ხელი არა აქვს, მოთვმემ უნდა გაურიგოს“.

ქალის მოთხოვნით მოპასუხე მამაკაცს არ შეიძლება ფიცი დაეკისროს, არც შეიძლება რაიმე წევროვას. ქალმა რომ მამაკაცი დაიმოწმოს, სასამართლო მას მხედველობაში არ მიიღებს. თუ ქალი უჩივის ქალს ამ შემთხვევაში მხოლოდ უდაბლესი რანგის სოფლის სასამართლოს აქვს საქმის გარჩევის უფლება, „მოთვმემ უნდა გაურიგოს“ მათ. „მდივანი“ ქალით საინიციანს არ გაარჩევს.

ფიცის საკითხში წარმომადგენლობა დაშვებული იყო არა მარტო ქართული სამართლის მიერ. მაგალითად, ფეოდალურ ნოვგოროდში ქმარი ფიცულობდა ცოლის ნაცვლად, ვაჟიშვილი დედის მაგიკურად. ფსკოვში უფროსი მმა იფიცავდა უმცროსი ძმების ნაცვლად მამის ვალების თაობაზე და სხვ.



ეს შეხედულება ქალზე, როგორც არსებაზე, რომელსაც არა აქვს მოწმედ ყოფნისა და ფიცის მიცემის უფლება, ფართედ იყო



զաշրջութեալով յրութօնանցը-ցյուղանց նուանցը պահպանութիւն գոյացնեմբն է Յ. Եղեռնի պահպանութիւնը՝ «К числу противоречий византийской жизни относится женский вопрос. Женщину вообще не уважали. Её считали порождением дьявола, виновницей грехопадения рода человеческого, существом слабым и нечистым, предназначенным быть служанкой и рабой мужчины. Свидетельские показания женщины допускались судом только в исключительных случаях. Наравне с детьми и опозоренными людьми она не имела права выступать свидетельницей на суде. Не полагалось ей и принимать участия в общественной жизни. Женщине отводили в доме отдельную половину (называемую гинекеем), откуда она не должна была выходить».

Յաեցած յաջութիւն Շեսցով ծոխանց Տամարտալո, հոգելու ծերմենցով ենթանեցնած ամոյքյութ կազմութ մասալու քա, մամասագամք, մոտ շոքու շրկյաց Յայցուցու Ախովրեած յամուսցնեցը ենթանեցնած Յայցուցու շրկյաց Յամուսցնու շոքուծ յամուսցնալուց քա (Թոք. 148).

Խեռան յամուս Տամարտալու Շոքու Յայցուցնու, տար VІІ)՝ յալու Հարուցյալու ստուգա-սբարուանձնած յեցն. Տամարտալու ամ Տայութիւն Շեսանց յանմեցնեցը մեջյանու: «Женщине не должно допускать в свидетели, разве только в качестве пособниц свидетелей, подобно четырем женщинам и двум апостолам, спославшим всем остальным апостолам подтвердить истинность воскресения Христа. Если же случится, что очевидцами и свидетельницами событий окажутся лишь женщины, притом не из числа порочных, а истинные и, по удостоверению многих, добронравные, то необходимо, чтобы они были в двухкратном числе мужчин, т. е. в числе четырех или шести, поскольку в отношении свидетелей мужчин установлены два или три. Но (и в этом случае) женщины не должны являться в присутственное место, а пусть дают показания у себя дома стольким же мужчинам, которые вернувшись в суд, будут свидетельствовать, и свидетельство их пусть будет принято. Ибо, как не могут женщины быть

⁵⁰ П. В. Безобразов, Очерки византийской культуры. Петроград, 1919, с. 23.

священниками или воинами, и не могут давать (виноград) в да-
вилине, равно как, согласно канонам, не могут торговать на ба-
заре или одеваться в мужское платье, так как они не могут ^и
судить и свидетельствовать...».

Абюсаир говъба Шэхенингърул огуль, როგორც ეს ზემოთ მოტანი-
ლი მუხლის გავრეცებიდან ჩანს, რომ ქრისტესთვის წამებულთა
რიცხვში მრავლად იყვნენ ქალები, მაგრამ კანონმდებლის აზრით
ეს თითქმის არაფრეს არ ნიშნავს. იმოწმო ღმერთის შესახებ ერთია,
ხოლო ადამიანის შესახებ — მეორე. მართალია, ქალთაგან მრავალი
გახდა წამებული, ადამიანებისაგან საპატიოდ სახსენებელი, მაგრამ
ქალები მანც არ უნდა დაუუშევთ მოწმებად. ჩადგანაც ისინი ად-
ვილად მოლიან აღგზნებაში. ქალს შეუძლია ეწამოს ღმერთისათვის,
მაგრამ არ შეუძლია იყოს მოწმედ ადამიანურ საქმეებში.

საინტერესოა დავით ბატონიშვილის აზრი ქალის პროცესუა-
ლური უფლება-უნარიანობის შესახებ, რომელიც გადმოცემულია მი-
სი სამართლის წიგნის პროექტის 81-ე მუხლში. ბატონიშვილი და-
ვითი წერს: „სახე დამტკიცებათა, რომელიცა იქმნების მოწამეთა-
გან: რომელიცა სამართალსა შინა მიიღებიან მოწამედ, მამანიცა და
დედანიცა, ხოლო მიხილავს მე რომელსამე სამართალსა და მოსა-
მართლეთა შორის, რომელნიცა დამტკიცებდნენ დედაკაცისა სამარ-
თალსა შინა მოწამედ შეუწყნარებლობას; რომელიცა ესე-ვითა-
რი პაზრი, გარდა უმეცრებისა არა რად მესა დამნიშვნელ არს, მით
რომე პატიოსნება გუამთა არცა მამაკაცისად და არცა დედაკაცისად
განიკუთხნის“.

დავით ბაგრატიონის აზრით მხოლოდ უმეცრებაა შეიზღუდოს
ქალის პროცესუალური უფლება-უნარიანობა. ქალს უნდა ქვრინდეს
მოწმედ ყოფნის უფლება. როგორც ჩანს, ვახტანგ VI სამართლის
წიგნის შედგენის დროიდან ერთი ასეული წლის შემდეგ საზოგადო-
ებრივი პროგრესი საშუალებას იძლეოდა სულ სხვა თვალით შეეხე-
დათ ქალის პროცესუალური უფლება-უნარიანობის საკითხისათვის.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ქალის წარმომადგენელი ფიცის დროს
შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ახლო ნათესავი. შეეძლო თუ არა
ქალს გამონაკლის შემთხვევებში სასამართლოს წინაშე დაეფიცა?
სასამართლო პრაქტიკა ვახტანგის სამართლის წიგნს, როგორც ირ-
კვევა, სერიოზულ კორექტურას უკეოებდა სხვადასხვა საკითხებში,
თუმცა ძირითადად მის ბაზაზე იდგა.

როგორც ირკვევა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქალს ფიცი
უფლება ეძლეოდა. 1784 წელს მღვდლის ცოლი სასაჩინოს და-
უშვია მოფიცირად³¹.

გამონაცლის შემთხვევებში სვანეთშიაც დაშვებული შეჯიშვილებუ-
ლის ფიცი, როდესაც იგი ან ბრალმდებელი იყო ან ბრალდებული.

* * *

ორდალები და ორთაბრძოლა ფიცის გვერდით ძველი სამართ-
ლის წიგნების მიხედვით დამამტკიცებელ საბუთთა ერთ-ერთ მთავარ
სახეობას წარმოადგენდა.

დამამტკიცებელ საბუთთა ზოგიერთი სახეობით შეიძლება თა-
ვის გამართლება მხოლოდ განსაზღვრული ხისიათის საქმეებზე. ზო-
გიერთი დამამტკიცებელი საბუთი კი ყველა სახის საქმეზე გამოდ-
გებდა.

ვაჟუშტი ბაგრატიონი დამამტკიცებელ საბუთთა შორის ისევ-
ნიებს ხმალს, შანთს, მდუღარეს და ფიცს. იგი წერს: „ხოლო ხმალი
რეუეთა ღალატისა შეწამებისა ანუ კერპთა ანუ — შემდგომად —
ეკლესიისა მკრეხელთათვის. შემწამებელს და შეწამებულს ალოცი-
დიან მ დღე, შემდგომად შესჭრულიდიან ყოვლითა საჭურველითა
და შესხნიან ცხენთა ზედა და მისცემდიან თვითონსა ცხენოსანსა უსა-
ჭრველოთა, თვითიერ მათრაჩისა, რომელთა უწოდნენ მემათრახეთ,
ჩამოვარდიან ასპარეზსა შინა, და იწყიან ბრძოლად შემწამებელმან
და შეწამებულმან, და მემათრახენი იგინი მოახსენებდნენ თვისთა
უამთა შინა ბრძოლისა და საჭურველისა ხმარებათა, და რომელი ჩა-
მოვარდის, განმტყუნდისცა. ხოლო რისხვა მისი: მოკუშთა თავისა
და იავარი მამულით და სახლით, არამედ შეწყალებისათვის აღმოხდა
თვალთა.

ხოლო შანთი ქურდთა განმართლებისათვის: გაახურვიან სახნა-
სი, ვითარცა ნაკვერჩხალი, და დასვიან მაღალთა ზედა, რათა მაღლიად
შეედგას ხელნი ქვეშე მისსა, და დასდვიან შეწამებულსა ტილო ანუ
ქალალდი ხელთა ზედა: იგი მივიღის და აღილის სახნისი. და წართ-
გის სამი ბიჭი, და გარდააგვის. მასვე წამს შეუხვივიან ხელნი სამ

³¹ Сборник законов грузинского царя Вахтанга VI. Под ред. Д. Бак-
радзе, Тифлис, 1887, гл. 72. სეოლით, დ. ბაქრაძის შენიშვნა; რ. ხარაგე.
დიდი თჯაბის გარდმონაშობი სვანეთში, ტოილისი, 1939, гл. 29.


დღემდე და სამისა დღისა გაუხსნიან და, უკეთე დაუმწვარ არ არს,
განმარტლდის, უკეთე დამწვარი, მტყუარ.

ხოლო მდუღარეცა ეგრეთე: მისთვის გააღულიან წყალი და მტყუარ შემდებული ჩიშე-
ლითა მკლავითა და ომოილის რეინა იგი, და წამს შეუხვივიან, ვი-
თარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისიცა მართალი და მტყუანი.

ხოლო ფიცი მამულის ცილებისათვის, მცირე ქურდობისათვის
და სხვათათვისცა. დააფიციან მოწმითა რაოდენი შეხუდის³².

დამამტკიცებელ საბუთთა შესახებ ცნობა იქვე შენახული ვახ-
ტანგ ერეკლეს ძეს თავის „ისტორიებრი აღწერა“-ში.

ვახტანგ ერეკლეს-ძე ბავრატიონი დამამტკიცებელ საბუთთა შო-
რის ახსნებს ხმალს, შანთს. მდუღარეს, ფიცს, იგი წერს: „ხმალი
მეფეთა ღალატისა ანუ კერპთა ანუ შემდგომად ქრისტიანობისა ეკ-
ლესის განმერეხელთათვის. შემწამებელსა და შეწამებულსა ალო-
ცებდიან სამ დღეს. შემდგომად შესკურვილიან ყოვლითა საჭურვ-
ლითა და შესხიან ცხენთა ზედა და მისცემდიან თითოსა ცხენოსანსა
კაცსა უსაჭურველოდ თვინიერ მათრახისა, რომელთა უწოდებდენ
მემათრახედ. მიგზავნიდიან ასპარეზად და იწყიან ბრძოლად შემწა-
მებელმან და შეწამებულმან და მემათრახენი იგი ეტყოდენ თვისისა
ფამსა საჭურველისა ხმარებასა და რომელიც ჩამოვარდის იქნებოდის
მტყუანი. ხ დასხა მისი იქნებოდა ანუ სიკვდილით ანუ მოკლებითა
თვალთათა, ანუ მიხმითა მამულისათა. ხ შანთი ქურდთათვის ეს-
რეთ, რომელ გახურიან სახნისი კითარცა ნაკვერცხალი და დასდგიან
მაღალსა ზ-ა რასმე, რათა მაღიად შედვას ხელი ქვეშე მისა და დას-
დვიან შეწამებულსა ტილო ანუ ქალალდი ხელსა მისსა. მივიდის იგი
და აილოს სახნისი, წარდგის სამი ბიჯი და გარდააგდის. მასვე წამსა
შეუხვევიან ხელნი სამს დღემდინ და შემდგომად სამისა დღისა გა-
ნუხსნიან და უკეთე დაუწვავი იქნებოდა, იქნებოდის მართალი და
უკეთე დამწვარი, მტყუარ. ხ მდუღარეცა ესრედ: ააღულიან წყალი
ქუაბსა შიგან, ჩაგდიან მცირე რეინა მას შინა. მოვიდის შეწამებუ-
ლი შიშველისა მკლავითა ომოილოს რეინა იგი და წამსვე შეუხვი-
ვიან. ხ ესცა, ვითარცა შანთისა, დამწრობისა და დაუმწრობისა
დარჩევით იქნებოდის მტყუარ და მართალ“.

³² ვახტანგ, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 15.

„Ե՞ զարո ոսցու մամուլու գոլեցնուատցու, մուռո յշրդումնուց
ցա դա սեցաւատցուսկա. დապուրուն մոწմուտ, հառցունուր Շեքվածութէ”

Հանրանցու սամարտլու վիզնու մոխցուու գուցու հայութութէնա
մամբրյուցեցլ սածուցեցա ուղալունուն Շանտո, մօլուր, սեմինարի միջնաւայ
մը, ուղալու մոյուցեա.

Նմալմու գարւանց գամուցեցնուու լալարու, մեցուու ռուցունու-
նու, մեցու սալարու գարւենու, սապորու գարւենու դա սեցա մուս
մեցաւ սայմեցեցի.

Հանրանցու մոխցուու „Շանտո դա մօլուր ռուտու արուս”.

„Ես Շանտո մամուն այլունուն էն, հոմք ան ծարունու լալարու դա
ռուցունուն, ան սապորուս դա ხարու գարւեա. ան ծունուն դա մեցաւու
մուս Շեքվայաս” (Թրէ. 8).

Խոցուր, այ մոնեցնեցեցլ դանամաւունու ծրալուցունուն սայո-
ւենու գալասա՛վացերա դ եմալսաւ մոմարտուցնեն եռլմբ. եմալո, Շանտո
դա մօլուր մմոմբ յարւցորունու դանամաւունուն դրու գամուցեցն-
նուու սայրունու; մատ Մորուն პորչուցլու ացցունու եմալս յշուտանուն.
Մմոմբու դանամաւունուն դրու սիրուց մաս մոմարտուցնեն.

6. Մունեցնելու անրու Շանտո դա մօլուր հիշեցնուաւ, օւցու հո-
գունու մզուլ ունդուութիւն, յշրդունու գարւա սեցաւ յշուցեցեցարցեց-
նու. այ Հանրանցու ուղեա, հուրա մմունու „եռլու Շանտո յշրդու գամար-
տլուցենուտցու ոսցու”³³.

Արուս Կոնծա, հում XVII սայունուն პորչուցլ նաեւարմու սամեցրու-
լունու յշրդունութիւն յշումուրանուն პորս տացու մօլուր ունդա յմար-
տլուցենա. ուս յշրդունութիւն յշումուրանունու պորուն մոմարտու մամելուցեցլու
նունեցնու միացալու դա լրեացու, մամուն դամնամաւց տոյուտ եցեց համու-
յուցեցենուտցու ոսցու”³⁴.

“Ուս յո նունեցնու օմլունա լրեացու ար արուս, մամուն դանամաւունու
ամնամուրա սենդա դամբրյուցլու: ամ սացնուսատցու այցու პարտարա յշուածու,
հոմելուու սոցանու յրտու մրկացելու դա ուրցուցլու ուրու մրկացելու. ամ
յշուածու յացեցեցն յիւլուտ դա Շոյ հայցեցեցն հյունուն պարտարա յշուածու.
յշուածու յշուածու յացեցեցն լուցելու. լուցելու սենդա դանտուս վահուսա-
ցան, հոմելուու սենդա մուսեցենու դա տացու նշուրցու ացցունու մուս-

33 Ունդուրուցիւրու, ունդուրու Հանրանց յիշրդունուն Յոյր. և. յայուսածու յա-
մուցեա, Ծոյունուն, 1914.

34 Ե. ս. հ. ն. յ. լ. օ., Շանտո դա մօլուր, Յոցնայրու № 3, 1901, ց. 242.

ტანოს თვით ბრალდებულმა. ქვაბს რომ ცეცხლს შეუნთებენ და წყალი კარგად აღულდება, ბრალდებულმა შიშველი ხელი შიგ უნდორული ჩაჰყოს და ძროდან ჯვარი ამოილოს. როგორც ბრალდებული პეტრი მართავდან დან ხელს ამოილებს, მოხელენი იმ ხელს ტილოს ტომარაში ჩაუდებენ იდაყვამდის, იდაყვათან ტომარას თავს შეუკრავენ და დაბეჭდავენ. სამი დღის შემდეგ ბრალდებულს მისუვანენ მთავრის წინაშე, გაუხსნიან ხელს, კარგად გაუმინგავენ, და თუ ხელზე სრულიად არ ატყვია, რომ მდუღარისაგან დამწევარიათ, მაშინვე უდანაშაულოდ აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთ ხელი დამწევარი აღმოჩნდა ბრალდებულს დამნაშავედ აღიარებენ და, ვითარცა ავაზაქს. სასკელს დაუნიშნავენ და არავითაზე გასამართლებელ საბუთს აღარ მიიღებენ³⁵.

ძველი დროის სამართალწარმოების შესახებ ერთმა მეცნიერმა წენიშნა, რომ იგი ბევრად მიაგვდა აშინდელს შელოცვასა და მკითხაობასთ. ეს აზრი უთუოდ სწორია. ძველი საძართალწარმოება — უკითხილი მკითხაობა იყო.

დიდი ირანელ პოეტი ფირდოსის თავის „შაპ-ნამეში“ მოთხრიბილი აქვს თუ როგორ იმართლა თავი უფლისწულმა სიავეშმა დედინაცვალის — სუდაბას გაუპატიურების მცდლობეში ბრალდებისაგან. შაპი კეი-კავუსი მოისურვებს, რომ ცეცხლმა გამოაჩინოს და გადაწყვიტოს უფლისწულის ბრალეულობის საკითხი. ჩვენ აქ მოვიტანთ შაპ-ნამეს შესაბამის ადგილს რუსულ თარგმანში:

«Двумя горами высились поленья,
Где числа мы возьмем для их счисленья?
Проехал бы с трудом один седок;
Так был проход меж ними неширок.
Велел Кавус, властитель непоборный,
Чтобы дрова облили нефтью черной.
Зажгли такое пламя двести слуг,
Что полночь в полдень превратилась вдруг.
Царевич, возвышаясь надо всеми,
К владыке в золотом иодъехад шлеме.
Он прискакал на вороном коне,
Пыль от его копыт взвилась к луне.

³⁵ არქ. ლამპარტი, ხამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 75.



Улыбка на устах, бела одежда,
И разум ясен и светла надежда,
Почтительно к отцу подъехала он,
И спешаися, и сотворил поклон.
Лицо Кавуса от стыда горело.
Сказал он слово мягко и несмело.
Ответил Сиявуш: «Не сожалей,
Что такое круговоротие дней.
Меня снедают стыд и подозренье.
Когда безгрешен я — найду спасенье.
А если грешен я — тогда конец:
Не пощадит преступника творец».
Затем, входя в огонь многоязыкий,
Взмолился к вездесущему владыке:
«Дай мне пройти сквозь языка огня,
От клеветы отца очисть меня!»
О милости прося творца благого,
Погнал, подобен дыму вороного.

И вышел витязь, чья душа чиста.
Лицо румяно, радостны уста.
Он вышел из огня еще безгрешней, —
Был для него огонь, что ветер внешний.
Огня прошел он гору невредим,
И степь и город хлынули за ним».*

СЕГЕДЛОИТ ГА... ГУДА ОРДАЛЛЭДИС САБЕРДАА. ИГИ ЦЕНДОЛДО ОУМ
САМАРСЕТШИ. АМ ДАМАМТҮЮПҮДЕЛЛІ САБҮТІС САФУӘДҮЕЛЛІ ОУМ РЕЛЛ-
ГҮҮРІНІ АЙЫРБА, РОМ СЕГЕДЛОИ ШАДАНАШАУЛЛЫ КАРСА АРДАС АЕҢДЕДДА.

ЖАҚАСТАУЛЛІ САМАРТАЛІ АР ИГЕРДОДДА ДАМАМТҮЮПҮДЕЛЛІ САБҮТІС
АМ САБЕРДАС, МАГРАМ ИГИ ЦЕНДОДДА ШАБОН. СЕГЕДЛОИ ГАМРУДА ӨФҮРІН
АФРДҮЕЛЛІ САФЕКЕРДІС ОРДАЛЛАСА ШАБДА ОУМС, ЗИФРЫ ШАБОН. ШЕД-
ЛЛЭДА ҮРГҮҮПҮЖІРІНІ, РОМ ШАБОН, РОГОРДУ САСАМАРТАЛЛЫ ДАМАМТҮЮПҮДЕЛ-
ЛЛІ САБҮТІС САБЕРДА СЕГЕДЛОИ ГАМРУДІС ҮРДААНСАҒАРДАМДАРДЕДДУЛЛІ
САБЕРДА ДА ДАМАКАСАСАТДЕДДЕЛЛА ГАНЗИОТАРДЕДІС ӨФҮРІН МАЛАЛ САФЕКЕР-
ДА ҮРГҮҮПҮЖІРІНІС.

САСАМАРТАЛЛЫ ДАГҮЕЛЛІ АНДА ОРТАДАРДАЛЛА ӘҮЕЛЛІ САМАРТАЛЛЫС
РІОГЕНДЕДІС МИҢДЕДҮПІТ ДАМАМТҮЮПҮДЕЛЛІ САБҮТІСА ӘХІС-ЕРДІТ МАСАРАН СА-

* Фирдоуси, Шах-Наме, М., 1957, стр. 322—324, пер. С. Ани-
кина.

აეობას წარმოადგენდა. როგორც ასეთი, სასამართლო დუელი ამავე ფროს „ლოთის მსჯავრის“ ანუ ორდალების ერთ-ერთი სახეც, რომ საკუთრით და

აუცილებელია განვისხვავოთ სასამართლო ორთაბრძოლისა და ადამიანის პატივისა და ლირსების საქმეთა გარშემო გამართული დუელის იურიდიული ბუნება. სასამართლო ორთაბრძოლის შემთხვევაში საქმე გვაქვს საეჭვო ბრალეულობასთან, და ეს საკითხი დუელის შედეგმა უნდა გადასწყვიტოს. ჩეელებრივი დუელის დროს ეს საკითხი ნათელია და ორავითარი ეჭვი არ არსებობს ბრალეულობის საკითხზე.

სასამართლო ორთაბრძოლა არის დამამტკიცებელი საბუთის სასეობა, რომლის საფუძველზედაც უნდა იქნას გამოტანილი განაჩენი. ჩეელებრივი დუელი კი თვითონ არის განაჩენი. სასამართლო ორთაბრძოლა საქმის სამსჯავრო გამოძიების ნაშილია; დუელი კი ორამართლზომიერი მოქმედებაა. იგი მხარეება მიერ სასამართლოს უფლებების თვითნებური მითვისების აქტია.

არის კიდევ ერთი განსხვავება სასამართლო ორთაბრძოლისა და ჩეელებრივ დუელს შორის. სასამართლო ორთაბრძოლით, როგორც ჩეიცებულების სახით, სარგებლობა ყოველ ბრალდებულს შეეძლო. დუელი კი მაღალი წოდების წევრთა პრივილეგიას წარმოადგენდა.

სასამართლო ორთაბრძოლა იხსენიება VI საუკუნეში ბურგუნდის მეფის გუნდობალდის მიერ გამოცემულ კანონში (501.წ.). ხსენიებული კანონით სასამართლო ორთაბრძოლისათვის მაშინ უნდა მიემართათ, როცა მხარეების ფიცი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ე. ი. სასამართლო ორთაბრძოლა უფრო საიმედო დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა. ფიცი ფიცის წინააღმდეგ უკვე აღარ იყო დამზრდებული საბუთი და სასამართლო ორთაბრძოლაც ამ შემთხვევაში უნივერსალურ საშუალებად მიაჩნდათ.

IX—X საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში სასამართლო ორთაბრძოლა პატონობდა დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში და იგი გამოიყენებოდა, როგორც სისხლის სამართლის ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებში. სასამართლო ორთაბრძოლის მიმართავდნენ იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე კანონის ახსნა-განმარტებას ეხებოდა. მაღალი თეორიულად ეწინააღმდეგებოდა სასამართლო ორთაბრძოლის გამოყენებას, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერს ხდებოდა. პატონის დიდმაც სცადა სასამართლო ორთაბრძოლის, როგორც

მტკიცებულების სახეობის შეზღუდვა. მაგრამ ეს მისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

ოტიონ მეორის დროიდან სასამართლო ორთაბრძოლის შექმნებულ ფის პრეროგატივად იქცა. მოხუცები, ქალები და ინვალიდები სასამართლო ორთაბრძოლაში თავიანთ წარმომადგენლებს გზავნილნენ. საქართვის და შვაბის კანონმდებლობას დეტალურად პქონდა შეზუშევებული სასამართლო ორთაბრძოლის წესები.

მოწინააღმდეგენი თანაბრად უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული. სასამართლო ორთაბრძოლის დაწყების შემდეგ სიკვდილით დასჭის შიშით მხარეებისათვის ჩაიმართებოდა ას, ვინც უკან დაიხვდა ან გისი სისხლიც აღრე დაიღერებოდა. თუ ბრალმდებელი დამარცხდებოდა, მას ბრალი სწორედ მის მიერ სხეისთვის დაბრალებულ დანაშაულში ედებოდა.

შეიძლებოდა სასამართლო დუელი მამაკაცსა და ქალს შორის საც გამართულიყო, მაგრამ შანსების გათანაბრების მიზნით მამაკაცი წელამდე ორმოში უნდა მდგარიყო.

გერმანიაში სასამართლო დუელი, როგორც მტკიცებულების სახეობა მე-17 საუკუნის I ნახევრამდე არსებობდა.

საფრანგეთის მეფე ლუი IX-ემ 1260 წელს თავის დომენში აკრაბლა სასამართლო ორთაბრძოლა. მაგრამ 1306 წელს მეფე ფილიპ IV ლამაზი იძულებული გახდა ისევ შემოეღო სასამართლო ორთაბრძოლა.

XIV საუკუნის დასასრულიდან ფრანგული სამართალი თანდა თან ზღუდავს სასამართლო ორთაბრძოლის გამოყენების სფეროს.

1571 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა აკრაბლა სასამართლო ორთაბრძოლა სამოქალაქო საქმეების გამო. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო დუელის გამართვა ინგლისში მხოლოდ 1811 წელს იყრდნალა. ერთ-ერთი მკვლელი ცდილობდა თავს გაემართებინა სასამართლო ორთაბრძოლით, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე არ აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტმა გააუქმა სასამართლო დუელი.

რუსეთში სასამართლო დუელი, როგორც მტკიცებულების სახეობა, პახმანის აზრით, 1649 წლამდე გამოიყენებოდა. ერთი სიტუაცით, ეს იყო მართლაც მუშტის სამართლის ეპოქა, როცა თვით სასამართლოშიაც უხეში ძალა სწყვეტდა საქმეს.

როგორი იყო მდგომარეობა ამ მხრივ ფეოდალურ საქართველოში? ცნობილია, რომ აღრე და შეაფეოდალური ეპოქის საქართველო თავისი დროის შესაბამისად მაღალი კულტურის ქვეყანა და საქართველოს ათვისებული პერსონა შეასაუენების ცივილიზაციის უმთავრესი მესავეურის — ბიზანტიის კულტურული დონე.

ხსენებულ პერიოდში ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი იყო მაღალგანვითარებული პროცესუალური სამართლა. ბაგრატ IV დროს შედგენილი ცნობილი ოპიზის სიკელი გვაფიქრებინებს, რომ დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში პირველი ადგილი წერილობით საბუთებს ეჭირა.

აკად. ივ. გავახიშვილის აზრით IX—XIV სს. საქართველოში ირდალები და სასამართლო ორთაბრძოლა დამამტკიცებელ საბუთებად არ უნდა ყოფილიყო. ამისთან დაკავშირებით აკად. ივ. გავახიშვილი წერდა: „იმისდა მიუხედავად, რომ ძევლად სასამართლოს წარმოებაში ასეთი „ღმრთის მსჯერის“ საშუალება ბევრ ერსა ქონდა მიღებული და საქართველოშიც მისი არსებობის შესახებ XVII—XVIII სს. საისტორიო ძეგლებსა და სამართლის წიგნში მოგვეპოვება ცნობები, IX—XIV სს-ში საქართველოში სასამართლოს წარმოებაში ასეთი საშუალების არსებობის შესახებ არსად არავითარი კვილი არა ჩანს. რასაკერძელია, გრი ჩვენ ხელთ მყოფი IX—XIII სს. შესახებ იურიდიული ძეგლები იძლენად საქმით არ არის, რომ გამედული და საბოლოო მსჯელობა შესაძლებელი იყოს, მაგრამ ის გარემოება, რომ ამ „საღმრთო მსჯერის“ სასამართლოში გამოყენების შესახებ საისტორიო ძეგლებშიც არავითარი ცნობა არ ჩანს, ქართული იმდროინდელი სამართლის განვითარების მაღალ დონესთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ორდალები ქართულ მაშინდელ სასამართლოს წარმოებას არც პერნიდეს“. „უეპველია, რომ შანთო, მდუღარე და ხმალი ღვთის მსჯერის სახით თუნდაც რომ არსებულიყო, სასამართლოს წარმოების საშუალებად მეტად იშვიათა უნდა ყოფილიყო“.

აკად. ივ. გავახიშვილის აზრი დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას. მხედველობაში უნდა მივიღოთ ას გარემოებაც. რომ ხსენები

36 ივ. გავახიშვილი, ქართველი სამართლის ისტორია, წ. II, 6, II, 1929, ტუ., გვ. 494.

ბულ ეპოქაში საქართველოს ათეისებული პქონდა ბიზანტიური ცალ ტურის და მათ შორის სამართლებრივი კულტურის მფრინავების გადასახმარებელი როგორც ამაზე ექვთიმე მთაწმინდელის, ეფრემ მცირელი მოციონების იყალონელის და სხვ. შრომები და საბუთები მიღითებენ. ბიზანტიური სამართლი კი, როგორც ამას ცახარიეს გამოვლენა ამტკიცებს არ ცნობდა პრიმიტიულ დამამტკიცებელ საბუთებს.

ცახარიე ლინგენტალი წერს: „ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ ხანებში დასავლეთის წესჩერებულებათა გველენა ძალიან დადი იყო. მაგრამ ბიზანტიური სამართლის წყაროებში არ მოიპოვება კვალი შერისძიების უფლებისა ან ორდალებისა, როგორც დამამტკიცებელი საბუთისა“³⁷.

ასებობს მოსაზრება, რომ უკვე ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 49-ე მუხლი ითვალისწინებს ორთაბრძოლას. ამ მუხლის პროფ. ი. ლოლიძის აზრით თუ საადგილმამულო ქონების გაყოფისას ძმებს შორის დავა წარმოიშობა და ისინი ვერ შეთანხმდებიან, დავა ორთაბრძოლით უნდა გადაწყდეს³⁸. ბექას სამართლის 49-ე მუხლი იმდენად ბუნდოვანია, რომ საბოლოო დასკვნისაოვის ჯირფრთბით საფუძველს არ იძლევა: აქ ნათქვამია: „თუ არაოდეს ქმნილ მათსა გვარსა შიგან, თუ ურჩევნისთ იბრძოდენ, თუ უმცროსი კარგად არ შეებმის ანუ სიკეთითა მიღმა შეეხვეწების, — გამეყავ, და მესენ, აღარც ერთარ უწესო დავვინახვე მისთანაო“.

შეორე ნუსხის მიხედვით 49-ე მუხლში ეს აღვილი ასეა გადმოცემული: „თუ იბრძოდენ, და უმცროსი უარშიოდ იყოს შეხვეწითა ანუ სიკეთითა“.

მართლია, 49-ე მუხლი ბუნდოვანია, მაგრამ საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ძმებს შორის შეპმასა და ბრძოლაზე ლაპარაკობს. საერთოდ კი არავთარი შეუძლებელი არ არის იმაში, რომ საქართველოს დაქვეთების ეპოქაში შედგენილი სამართლის წიგნი სასამართლო ორთაბრძოლას დამამტკიცებელ საბუთად ითვალისწინებდეს.

ყოველ შემოხვევაში XVII საუკუნეში სასამართლო დუელი საქართველოში სასამართლო მტკიცების საშუალებად იყო ქუეული. მისიონერი არქანქელო ლაშერტი. რომელიც თექვსმეტი წლის გან-

³⁷ Zachariä von Lingenthal. Geschichte der Griechisch-romanischen Rechts. III Aufl. Berlin, 1892, გვ. 407—408.

³⁸ ი. ლოლიძე. ძველი ქართული სამართლი, თბ., 1953, გვ. 272.

მავლობაში (1633—1649) ცხოვრობდა სამეგრელოში, თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“ მოვითხოვთ, რომ კოლხიდაში სასამართლო დამამტკიცებელ საბუთად სხვათა შორის მიღებული იყო თავის მიზანით თაბრძოლაც³⁹.

არქანგელო ლამბერტი წერს, რომ სამეგრელოში... როცა ერთი და ივივე ბოროტმოქმედება ბრალდება ორ კაცს და ხელში კი არ უჭირავთ ისეთი ნიშნები, რომლითაც შეიძლებოდეს გადაწყვეტა. თუ ბრალდებულთა შორის რომელია ნამდვილი დამნაშავე, მაშინ მთავარი ბრძანებს, რომ მათი საქმე ასპარეზზე ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს. მაშინ დანიშნავენ დროს და ადგილს ბრძოლისას, ამოირჩევენ მოწმეებს და დანიშნულ დღეს გამოცხადდებიან მებრძოლნი ცხენებზე შემჯდარი. აბგარში ჩასმულნი და შეიარაღებულნი ფარით, შებით და ხმლით. მებრძოლთ მოქავება მრავალი მათი გეგმისარი, აგრეთვე შეიარაღებულნი. მებრძოლნი რომ წამოზევებიან ასპარეზზე, მათ ახლავთ მათი მოწმეები. როცა ნიშანს მისცემენ, მებრძოლნი ერთი მეორეს წინააღმდეგ გაეშურებიან შუბებით. ვინც პირველად დაიკრება. იმას აღიარებენ დამნაშავედ და მეორე გამართლებული იქნება. თუ კი შემთხვევით ორივე დაიჭრა, ორთავეს იცნობენ დამნაშავედ და სასტკად დასჭიან“.

სასამართლო ორთაბრძოლის (ხმალი) და ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთებრს. დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა 1620 წელს შედგენილი განჩინება მოურავისა და ქიოსტოსრო ჯავახიშვილის სხვადასხვა სარჩელის შესახებ.

დიდი მოურავი გომრგი საავადე სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ როდესაც ის ნოსტეში თავის მამულში იდგა. ქიოხოსრო ჯავახიშვილი სამასი კაცით თავდასხმას და მოკვლას უპირებდა თურქებიორგი საავადე ეუბნებოდა სასამართლოს: მე მხოლოდ იმან გადაბრჩინა, რომ ერთმა მოკეთემ დროზე შემატყობინა საშიშროების შესახებო.

ქიოხოსრომ უარყო მოურავის მტკიცება სასამართლოს წინაშე. ქიოხოსრო ამაზედ ხმალი გაავდო, რომე მაგისი მო პირე კაცი როვიდეს, რომ მაგ საქმის მქნელი ვოყო, მოსამართლედა ერთმანეთს ხმალი ვკრათო.

39 არქანგელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938, თბილისი, გვ. 76.

თუ ხმალი გავერჩინა, შუაზედ სისხლი იქნებოდა: ან ერთი მცენა უდებოდა და ან მეორე გვისინჯეთ, დაშლილი ქეყანა უკარგრიშვანი ჟედ არც არა ქნილიყო. ჩვენ ამისი ასე გავაჩინოთ: წარმოქმნას რო თვითონ თვავისი თვეითა, ორის შესახელებულის უმტკროს კაცითა და ორის შეუსახელებულის კაცათ, ასრუ შეპფიცოს: „ბატონო მოურავო, ამისმან მაღლმან, ამისმან ძალამან, ამისმან განმაცხოველებელმან ქრისტემან ღრთან“⁴⁰. არც წამოვსულვარ შენად სასიკვდილოდ, არც ფარსადანისათვის შენად თვეს დასასხმელად ლაშქარი მითხოვნია⁴¹. თუ დაიფიცოს, არა ზედა აც, და თუ ვერ დაიფიცოს, ან დაუდევს ხუთი კომლი გლეხი და ან მიართეას ორმოცდა თვითონი იქ მისოვის. ამის მეტი ვერა გავაჩინოთ რა“⁴².

ქაიხოსრო გავაჩიშვილმა ხმლით ორთაბრძოლა მოითხოვა სასამართლოსაგან თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. იგი მოითხოვს „მოპირე კაცის“ ე. ი. გორგო სააჯაძესთან მისი დამბეჭდებლის ხმალში გაწვევას. და იქ უკელაზე საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა: ორთაბრძოლის დროს უთუოდ სისხლი დაიღვრება, ან ერთი მოკვდება ან მეორე. ამიტომ მსაჯული ფიცს ანიშებენ უპირატესობას სასამართლო დუელის წინაშე... ფიცი ისეთი დამამტკიცებელი საბუთია, რომელიც სისხლის ლერას არ იწვევს. იგი უსისხლო მტკიცებულობაა, და მისი უპირატესობაც ცხადია ორთაბრძოლის წინაშე. სასამართლო მოპასუხეს აეისრებს ფიცს და განჩინებაშიალუნიშნავს მის ზუსტ ფორმულას. ქაიხოსრომ უნდა იშოვოს ოთხი თანამოფიცარი, რომელთაგან ორს დაუსახელებენ, ხოლო ორი კი თათონ უნდა ამოირჩიოს. თუ კი მოპასუხე დაიფიცობს, გამართლებულად ჩაითვლება. ფიცი ამღვნად საბოლოოდ წყვეტს საქმეს. იგი სასამართლო გადაწყვეტილების სუროვატს წარმოადგენს.

ხსენებული განჩინების მიხედვით უნდა ვითიქროთ, რომ შესაძლებელია ოდესაც საქართველოში იყო დრო, როდესაც მოპასუხეს შეეძლო მოწმე ხმალში გამოეწვია.

ისტორიკოს ფარსადან გორგიჭანიძეს მოთხრობილი აქვს ერთი სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ, რომელიც ცოტა უფრო ვვინ, როსტომის მეფობის დროს (1632—1658 წწ.) მომხდარა⁴³.

⁴⁰ საქართველოს სიკელენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რელ., ტფ., 1909, გვ. 59.

⁴¹ იხ. ქართლის ცხოვრება დასაბამიდამ მეათებრამერე საუკუნეშის, ტ. II, ცაბ, 1854, დ. ჩებინიშვილის გამ., გვ. 535—536.

მოლალატე „თავადებმა ნადირობის დროს მოკლეს როსტომ მე-
ფის ტახტის მემკვიდრე — ბატონიშვილი ლუარსაბი. ტახტის მემკვიდრე უკა-
ვილრის მოკვლა სიამშ ბარათაშვილმა ბაინდურ თუმანიშვილმ და მართიან
წამა და პირში უთხრა ამ უკანასკნელს: „შენი ნასროლი თოფის ფინ-
ლიზ ეცაო“. ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე ლუარსაბ ბატო-
ნიშვილის მკვლელობაში ბაინდურ თუმანიშვილის ბრალეულობა სა-
კვეოდ იქნა მიჩნეული. ამავე დროს, როგორც ფ. გორგიგანიძე აღ-
ნიშნავს, ეს საქმე „სხვა რიგად ფიცითა და ჭერით არ გარდასწყდე-
ბოდა“. სიამშ ბარათაშვილი დაბეგვითებით იძახოდა: რომ „თუმანი-
შვილმან ბაინდურ ჰერაო ბატონიშვილს თოფიო“. თავის მხრივ ბა-
ინდურ თუმანიშვილი მტკიცედ უარობდა ბატონიშვილის მოკვლას
და „აშოროს“ ეცნებოდა მოწინააღმდეგეს.

ფიცითა და მოწმის ჩვენებით ვერ გადაწყდება ეს საქმე და მე-
ცეს მოახსენეს „ამ რიგი საქმენი უხმლოდ არ გარდასწყდებისო“. და
მართლაც მეფის ბრძანებით შემწამებელი და შეწამებული სასამარ-
თლო დუელში გაიყვანეს.

ისეთი უმძიმესი დანაშაულის დროს, როგორც ტახტის მემკვიდ-
რის შევლელობა იყო, ფიცის წინაშე ხმალს აძლევდნენ უპირატე-
სობას.

გარდა ამისა, ისიც უნდა შეინიშნოს, რომ იმ პირს, ვისაც ტახ-
ტის მემკვიდრის მკვლელობა ბრალდებოდა, ძალიან გაუჭირდებოდა
არა მარტო დასახელებული, არამედ დაუსახელებელი თანამოფიც-
რის შოვნაც. ამიტომაც ისეთ დიდ დანაშაულეობათაგან თავის გასა-
მართლებლად, როგორიც იყო მეფეთა ორგულობა, ღალატი, მეფის
სალაროს გატეხა, საყდრის გატეხა, ეკვმიტანილ პირს ხმლით უნდა
ემართლებინა თავი (ვახტანგის სამართლი, მუხლი 7).

ორდალები, რომლებიც ვახტანგის სამართლის წიგნში არიან
მოხსენებულნი, ი. კარსტის ახრით ანალოგიურნი არიან სლავების,
გერმანელების, კელტების, აგრეთვე ირანელების და ინდოელების
აღათობრივი სამართალით ცნობილი დამამტკიცებელი საბუთებისა⁴².
მსგავსება, რა თქმა უნდა, არის ხსენებული ქვეყნების და ვახტანგის
სამართლის წიგნის ზოგიერთ ნორმებს შორის, მაგრამ აյ მხედვე-
ლობაში მიღებული უნდა იქნას ის გარემოებაც, რომ ორდალების

⁴² I. Karst, Code géorgien du roi Vakhtang VI. ტ. I, წ. I, 1935, გვ.
109—111.

გამოცოცხლება ქართულ სამართალში და კავშირებულია პეტრი
სოციალ-ეკონომიკური განვითარების ნორმალური მსვლელობის ფაქტი
პყრობელთა მხრით შეფერხებასთან და კულტურის ფაქტისთვის⁴³

XVIII საუკუნეში ქართლში, მის შემდეგ, ჩაც ვახტანგის სა-
მართლის წიგნი დაწერა, მტკიცების ისეთი საშუალებები, რომ-
რიცაა შანთი, მდუღარე და ხმალი. ან მეტისმეტად შეზღუდულად
ან სულ არ გამოიყენებოდა. სასამართლო პრაქტიკა დამამტკიცებელ
საბუთთა ხსენებულ სახეებს გაუჩინოდა. სამართლებრივი კულტუ-
რის ზრდის ეს მაჩვენებელი მეტად საყურადღებოა.

ჩაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ყოველ შემთხვევაში
კურიაში მაინც XVIII საუკუნის დასამართლს და XIX ს. დასაწყის-
ში სასამართლო დამამტკიცებელ საბუთად კვლავ გამოიყენებოდა
შანთი და მდუღარე. მკვლელობასა და რცვევებით ვაჭრობაში ბრალ-
დებულებს ხსენებული საშუალებებით გამოცდიდნენ. მათგან ერთ-
ერთის არჩევა ბრალდებულის უფლებას წარმოადგენდა⁴⁴.

* * *

ფიც, როგორც სასამართლო მტკიცების საშუალებას, ითვა-
ლისწინებენ ვახტანგის სამართლის წიგნის 10, 11, 12, 24, 38, 39, 60,
97, 103, 143, 144, 147, 212, 216, 237-238, 239, აგრეთვე 71 და 86
მუხლები.

რა ხასიათის საქმეებზე მიიღებოდა ფიცი დამამტკიცებელ სა-
შუთად? ამ საყითხის შესახებ, გ. თარხნიშვილი წერდა, რომ ვახტან-
გის სამართლის წიგნის მიხედვით, „...საზოგადოდ „დიდ“ საქმეებში
მიღებულია შანთი და მდუღარე; უბრალო მცირე საქმეებში ფიცი,
ცოდვის მოვიდება და მოწმობა“⁴⁵.

43 შანთი, მდუღარე და ხმალი შეზღუდულად გამოიყენებოდა. მართალია, სასამართლო პრაქტიკა ცდილობდა არ მოემართა შანთისა და მდუღარისათვის, მაგრამ რიც შემთხვევებში, გამონაკლისის სახით მაინც იყენებდა მათ. რა თქმა უნდა, შანთს მიმართავდნენ მხოლოდ მიმე დანაშაულის ღრუს. საბუთების მიხელ-
ვით ასეთ დანაშაულად მოჩანს ძარცვა, ყმის გაუიდვა, მკვლელობა და სხვა.

44 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1878, гл. 159—160.

45 გ. თარხნიშვილი, სასამართლო წარმოება საქართველოში, კრებული ივ. გავაძიშვილის რედაქციით. 1915, გვ. 126.

ეს თვალსაზრისი საერთოდ სწორად უნდა ჩაითვალოს. მეტად მნიშვნელოვან საქმეებში ფიცის წინაშე უპირატესობა სხვა დამტკიცებული ტეიპებელ საბუთს ეძლეოდა. ასეთ დამამტკიცებელ სტუმარით უკავშირდებოდა უოფილიყო სასამართლო ორთაბრძოლა, შანთი, მდუღარე, მოწმეთა ჩეენება და სხვ.

ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, შესახებ ლაპარაკობს ვახტანგ ერეკლეს აკ ბაგრატიონიც. იგი წერს: „ხოლო ფიცი იყვის მამულის ცილებისათვის, მცირე ქურდობისათვის და სხვათათვისაცა. დააფიციან მოწმით რაოდენიცა შეხვდისთ“⁴⁶.

ფიცი, როგორც ეს დოკუმენტებიდან ირკვევა, დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენებოდა მრავალი სხვადასხვა კატეგორიის და ხასიათის საქმეებში; აქ შემოღილდა პირველ ყოვლისა ხამოქალაქი ხასიათის საქმეები. გარდა ამისა, ფიცი შეიძლება დამტკიცებულ საბუთად გამოიყენებულიყო ისეთი სერიოზულ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებისაგან თავის გასამართლებლად, როგორიცაა მკვლელობა და სხვა.

დოკუმენტებით დასტურდება ვახტანგ ერეკლეს ძის ნათქვაში ფიცის შესახებ.

საქმის უფრო დეტალურად წარმოდგენისათვის არ იქნებოდა ზედმეტი შევჩერებულიყავით იმაზე, თუ რა ადგილი ვავა ფიცს ქართველთა უახლოესი, მაგრამ საქართველოსთან შედარებით ხოციალ-ეკონომიკი და კულტურული დონით ჩამორჩენილი მეზობლის — ოსების საადაოო სამართალში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნზე საადაოო სამართლის გაელენა დიდია. შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით დიდია აღათობრივი სამართლის გაელენა, ვახტანგის სჭულზე, ვიდრე მაგალითად ბექა-ალბულას კანონმდებლობაზე. ეს გასაგებიცაა. ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემისა და საკანონმდებლო აზრის მუშაობის შეფერხების, უცხო, ნახევრად პატრიარქალური და ნახევრად ფეოდალური ქვეყნების გავლენის შედეგი საკანონმდებლო ძეგლშიაც უნდა ასახულიყო.

მაგრამ დავუბრუნდეთ ოსების აღათობრივ სამართალს.

ოსების აღათობრივი სამართლისათვის რუსების შემოსულამდე უცხო იყო. როგორც წერილობითი დოკუმენტები, ასევე მოწმეთა ჩეენება და ბრალდებულის აღიარება. ასეთ პირობებში მხარეთა და

46 ისტორიებრი ალწერა, ს. კავაბაძის გამოც. ტფილის, 1914, გვ. 4.



მათი ნათესავების ფიცს, როგორც დამამტკიცებელ საბუზს. ფაზი
მნიშვნელობა ეძლეოდა.

ოსების ადათობრივი სამართლის ცნობილი მკვლევარი ჭრილი წერის
წერდა: „მოწმის ჩვენების ოსურ სამართალწარმოებაში მეტად მცი-
რე მნიშვნელობა აქვს“. „მოწმეთა ფორმალური დაკითხვა მე არა-
დროს არ შემიმჩნევია ოსების სახალხო სასამართლოებში, და თუ
ამას საერთოდ ადგილი ექნებოდა, მხოლოდ როგორც რუსული სა-
მართალწარმოებიდან ნასესხებს. ადგილობრივ ისურ პროცესში წე-
რილობითი დამამტკიცებელი საბუზები საერთოდ არ გვხდებიან,
თუნდაც მიწის საკუთრების შესახებ დავის დროს. სამართალში მი-
ცემულის პირადი აღიარებაც არ ითვლებოდა მისი ბრალის უპირო-
ბო დამამტკიცებელ საბუთად...“⁴⁷.

სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების პირობებით და განვითარე-
ბის დონით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ოსების ადათობ-
რივი სამართალი არ იცნობდა წერილობით დამამტკიცებელ საბუ-
ზებს XIX საუკუნის დასაწყისშიაც კი. ოსებს მაშინ არ გააჩნდათ
საკუთარი დამწერლობა, და ამიტომაც აუც შეიძლებოდა პრონოდათ
დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში წერილობითი დამამტკიცებე-
ლი საბუზები შეტანილი.

ის გარემოება კი, როგორც ეს სამართლიანად შენიშნა მაქსიმ
კოვალევსკიმ, რომ ოსები მხოლოდ ურთიერთშეთანხმების შემდეგ
მიმართავდნენ სასამართლის, გამოიცეხავდა აღიარებას. როგორც
სასამართლო ჰქონდიტების დადგენის საშუალებას.

თუ შეერაცხმყოფელი თავის ბრალს აღიარებდა, აჩვინ არ უშ-
ლიდა ხელს მას მოლაპარაკებოდა და მოჩიგებოდა შეერაცხმყო-
ფელს.

დასასრულ, გვაროვნული წყობილების ძლიერი ტრადიციები
და ოსების დიდ-დიდ ოჯახებად (50 და მეტი სული თითოეულში) ცხოვრება იმ დროს, როდესაც სისხლის აღების წესი ბატონობს,
ხელს უშლიდა დამამტკიცებელი საბუთის იმ სახეობის განვითარე-
ბას, რომელსაც თანამედროვე სამართალში მოწმის ჩვენება ეწო-
დება. ყოველი მოწმე შეიძლებოდა გამხდარიც მოელი გვარის შუ-
რისძიების მსხვერპლი. დანაშაულის ფაქტის შესახებ კარგად ინ-
ფორმირებული მოწმე ვერ ბედავდა სასამართლოსთვის - გაემხილა

⁴⁷ В. П. а ф. Народное право у Осетин, Сборник сведений о Кавка-
зе, I, стр. 78.

საქმის ნამდვილი ვითორება. თუ კი ვინმე ნებაყოფლობით იყისრებდა მოწმის როლში გამოსცლას, სასამართლოს სრული საფულტულობაში⁴⁸. ბერძნობაზე პენდალიდა დაეჭვებულიყო მოწმის გულტროფელობაში⁴⁹.

ფიცის, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, თან სდევდა თავისებურ წესჩვეულებათა შესრულება. ეს ასე იყო ძევლი სამყაროსა და შეა საუკუნეების ყველა ხალხში. ინდუსი ფიცის დებდა კერპების წინ ბრამინებისა და რაჭების თანდასწრებით. ამავე დროს კშატრიები (მხედრები) ფიცულობდნენ სპილოსა და იარაღს გაისეპი (ხელოსნები და მიწათმოქმედნი) ძროხებს, ხორბალს, ოქროს და სხვ.

ბერძნები ჰომეროსის ეპოქაში ფიცის ასრულებდნენ ჩვეულებრივ იმ საგანზე შეხებით, რომელიც ფიცით გამოწვეული ღმერთის თუ გმირის კუთვნილებად იყო ცნობილი. „ილიადაში“ მენელაოსი თხოულობს ანტილოქესაგან, რომ მან არა მარტო დაიფიცოს პოსეიდონის სახელით თავის უდანაშაულობაში, არამედ ავრეთვე ფიცის წარმოთქმის დროს შეეხოს თავის ცხენებს. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით პოსეიდონი ითვლებოდა ცხენების შემქმნელად.

ფეოდალურ საფრანგეთში და ტრადიციის ძალით უფრო გვიან ბურუუაზიულ საფრანგეთშიაც მოფიცარი თავის ჩვენებას იძლევა ფეხზე დგომით, ქუდმონდილი. ცისკენ აწვდილი მარჯვენა ხელით. ამით მოფიცარი სიმბოლურად მიმართავს ღმერთს, რომელსაც თხოვს ცრუ ფიცის შემთხვევაში დასჯას⁵⁰.

სავსებით მართალია მ. კოვალევსკი იმაში, რომ ფიცის სხვადასხვა წესჩვეულებათა შორის საერთოა ის, რომ ისინი წარმოადგენენ ღვთაებისაღმი მოწოდებას, რომ მან იყისროს მსაჭულის როლის შესრულება მოფიცართა მიმართ. თუ მოფიცის ჩვენება ტყუილი იყოს, ღვთაება რომლისთვისაც ყველაფერი შესაძლებელია, თავის მახვილს მიმართავს ცრუმოფიცარის წინააღმდეგ⁵¹.

მართალია, ფიცი ღიღმნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის ყველასთვის ხელმისაწვდომი დამამტკიცებელი საბუთი არ ყოფილა. ძველ რომში ფიცის უფლება

⁴⁸ Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886, гл. 226 — 227.

⁴⁹ M. Chassan, Essai sur la symbolique du droit, Paris, 1847, гл. 236, 237.

⁵⁰ Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886, гл. 279.

Мեռլուծ մոქալայքս და საერთოდ თვისუფალ ადამიანს გააჩნდა
ძეელ სამყაროში გაბატონებული შეხედულების მიხედვით მონა არაა
უფლებაუნარიანი დაიმოწმოს ღმერთები, იმპერატორების მეტების
და ა. შ. და დაიტიცოს მათი სახელით. მონის ჩვენებას საზარდოლო
ში მხოლოდ მაშინ თვლიდნე ყურადღების ღირსაც, თუ კი იგი წამე-
ბის შედეგად იყო მიღებული. როგორც სამართლიანად აღნიშნავდენ
სამართლის ისტორიისები, ეს წესი გამომდინარეობდა შეხედულე-
ბიდან, რომ მონა ნიკოსია, რომელზედაც უნდა იმოქმედო განსაზღვ-
რული გარეგანი საშუალებებით, რათა საჭირო ეფექტი მიიღო. რო-
გორც ჩვენ ქიმიური ჩეაქტივებით ვმოქმედებთ რომელიმე მეტალ-
ზე, რომ გავიგოთ მისი ნამდვილი ოვისებები ან ამავე მიზნებათვის
ვიყენებთ სასინჯ ქვას, სწორედ ასევე მონისგან ნამდვილი ჩვენების
მისაღებად საჭიროა წამება, ხოლო თვისუფალისაგან იგივეს მივი-
ღებთ ფიცის საშუალებით. ბერძნული სიტუაცია ვასახის ნიშნავდა
სწორედ როგორც წამებას ასევე სასინჯ ქვასაც. ბერძნები და რომელი
ორატორები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მონის წამებას, რო-
გორც დამამტკიცებელ საბუთს.

«Раб у афинян был просто телом, а когда нужно было за-
ставить его говорить на суде, обращались к его телу. Чем более
проникала боль, тем вернее и истиннее казалось это свиде-
тельство мяса и крови. Не фигурально умели в Афинах зонди-
ровать сердце и почки»⁵¹.

მონას არ გააჩნდა პოლიტიკური უფლებები: იგი ბატონის კუთ-
ვნილებად ითვლებოდა და მხოლოდ თვისი ბატონის მეშვეობით იყო
დაკავშირებული საზოგადოებასთან. ამტომაც მონის დანაშაული-
სათვის ყოველთვის ბატონს თხოვდნენ პასუხს, მაშინაც კი როდესაც
იცოდნენ, რომ ამ უკანასკნელს არაეითარი მონაწილეობა არ მიუღია
მასში. მონას არ ჰქონდა უფლება თვისი სიმართლის ღასამტკიცებ-
ლად დაეფიცნა უკვე რიპუართა სამართლის შედგენის ეპოქაშიაც.
რიპუარელი ფრანკების სამართლის მიხედვით მონის ნაცვლად უნდა
დაეფიცა მის ბატონს ექვს თანამოფიცარ მოწმესთან ერთად⁵².

⁵¹ И. Е. Тимошенко, К истории судебной пытки, Полтава, 1899, стр. 6.

⁵² А. Валлон, История рабства в античном мире, М., 1936.

⁵² Иванышев, Сочинения, Киев, 1876, гл. 21.

ფეოდალურ საზოგადოებაში ყმასა და მსახურს აქვს ფიცის უფლება, თუმცა მისი ფიცი უფრო ნაკლებად ფასობს თავადის და შენაურის ფიცან შედარებით. ასევე მათ აქვთ მოწმედ გამოსულის უფლებაც. ვხვდებით გამონაკლისებს, როდესაც ზოგიერთი პროფესიის ხალხს არა აქვს ფიცისა და მოწმედ გამოსულის უფლება.

ი. კარსტი აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეების ევროპის რიგ ქვეყნებში, მაგ. ნორვეგიასა და უნგრეთში არსებული მოფიცართა ინსტიტუტი სრულიად შეესაბამება ქართულ ჩვეულებებს, რომელთა თანახმად ხშირად მთელი სოფელი გამოდიოდა მოფიცართა როლში. ასეთი მსგავსების მიზეზს კარსტი იმით ხსნის, რომ ქველად მაღიარები და იბერიილები თითქმის მეზობლები იყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე. ამავე დროს კარსტს აფიქრებს ის გარემოებაც, რომ მოფიცართა ინსტიტუტს სპარსული მუსლიმანური სამართალიც იცნობდა⁵³.

რა თქმა უნდა, ი. კარსტი უთუოდ მართალია იმაში, რომ შეიძლება მოინახოს ანალოგიები შუა საუკუნეების ევროპაში არსებულ მოფიცართა ინსტიტუტსა და ქართულის სამართლის წიგნების მოფიცართა შორის, მაგრამ აქ უცხო გავლენის საკითხი უნდა დაისვას ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვერების მოვლენების და საგარეო პირობების ერთობლივი გათვალისწინებით. ეს გავლენა კეთილისმყოფელი იყო ბიზანტიური სამართლის მხრით V—XIV საუკუნეებში, როცა საქართველო მომზადებული აღმოჩნდა ბერძნული სამართლებრივი კულტურის ათვისებისათვის⁵⁴.

• • •

ადრე და შუაფეოდალურ პერიოდში ქართველობა ბიზანტიური ჭრისტიანული კულტურის ყველა ნაყოფს იზიარებდა. სამართლის სფეროშიაც ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე⁵⁵.

⁵³ Karst, Code georgien du roi Vakhtang VI, ტ. I², ფ. I, 1935, გვ. 110—111.

⁵⁴ ივ. ჯოვანიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნ. 11, გვ. 495. 55 იქვე.


ბერძენი მწერლების ცნობებით კოლხეთში არსებობდა რუსული განათლების სკოლა. ცნობები ამის შესახებ ჟურნალებშიც საუკუნის ცნობილი რიტორის და ფილოსოფოსის თემისტიკის ს XIXII სიტყვაში, რომელიც მიმართულია უცნობი ახალგაზრდა-სადმი. ელინური განათლებისთვის ასეთი ნაყოფიერი ნიადაგი დაბალი კულტურის ქვეყანაში ვერ იქნებოდა.

VI საუკუნის ცნობილი ბიზანტიის ისტორიების აგათია მარინელის ოხულებაში მოთხრობილია მეფე გუბაზის მკვლელობის მმბები, სასამართლო პროცესი ხსენებული საკითხის შესახებ და აეტია და ფარტების სიტყვები⁵⁶.

ისტორიულ მეცნიერებაში აგათიას ოხულება სავსებით სანდო და კეთილსინდისიერ წყაროდ ითვლება. აგათიას მოთხრობილი ცეს თუ როგორ მოწყო სასამართლო პროცესი კოლხების მეფის გუბაზის მკვლელობის შესახებ.

მისი სიტყვით მოწყო „ატიკური სასამართლო კავკასიონის ძირში“ სასამართლო პროცესში ბრალმდებლების სახით მონაწილეობდნენ „დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შევსწავლათ ელლინთა ენა“. კოლხი ბრალმდებლები, როგორც ეს აგათიას მონათხრობიდან ჩანს, კარგად იცნობდნენ პროცესუალური სამართლის ტექნიკას და მოხერხებულად სარგებლობდნენ ამით. მაგ. მათ მოითხოვეს საჯაროდ ყოფილიყო წაკითხული იმპერატორ იუსტინიანეს წერილი რომელზედაც გუბაზ მეფის მკვლელები რუსტიკე და იოანე ტყუილად უთათებდნენ, როგორც მათი მოქმედების მართლზომიერების მაჩვენებელ დოკუმენტზე და ამით გამოაშკარავებს ბრალდებულთა მხრით მართლმსაჯულებისთვის თავის დაძვრენის ცდა.

სასამართლო პროცესზე კოლხმა ბრალმდებლებმა წარმოსთვევს შესანიშნავი სებრალმდებლო სიტყვა, რომელიც ნამდვილად იღვა თავისი ეპოქის ბერძნულ-რომაული სასამართლო მცერებულების დონეზე⁵⁷.

ეს სიტყვა მოყვანილი აქვს თავის თხულებაში აგათიას. კოლხების მეფე გუბაზი რუსტიკემ და იოანემ გაუსამართლებლად მოქლეს და შემდეგ დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრალდებების შეთითხნა.

⁵⁶ Агафий, О царствовании Юстиниана, пер. М. Левченко, М.-Л., 1953, III, 1—23 и др.

⁵⁷ კაუნი ჩი ი ბიზანტიის მწერლების ცნობები საქართველოს შემახებ, III, 1936, გვ. 129—140.



ამასთან დაკავშირებით კოლხი ბრალდებული ამბობდა სასამართლო
პროცესზე: „რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსისა — რომელი განაჩენი გამოუტანის შემთხვევაში წონაში ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანის შემთხვევაში გაიანდება?“

ბერძნულ განათლების და ორატორულ ხელოვნების დაუფლებული ქართველები, უნდა კიფიქროთ, რომ არანაკლებ გამოიყენებდენ მას სამართალწარმოების სფეროში, ვიდრე იუვენტუნ მას ფილოსოფიის და ლიტერატურის სფეროში.

XI საუკუნემდელ ძეგლებს პროცესუალური სამართლის სფროდან ჩვენამდე არ მოუღწევიათ. XI საუკუნეში შედგენილი ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელი (1027—1072) მაგნამორელთა და ოპაზართა დავის შესახებ, კფიქრობთ, გამოგვადგება იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ პროცესუალური სამართლის დონე XI—XIII საუკუნეების საქართველოში. ყოველ შემთხვევაში ბაგრატ IV-ის დროდან XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე ლეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და კულტურული დონე იღმივალა ხანით იდიოდა და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პროცესუალური სამართლის ვანეოთარების დონე ისეთივე მაინც იქნებოდა XI ს-ში, თუ ძერი არა, როგორც XI საუკუნეში იყო.

ოპიზის სიგელში ნაჩვენებია მტკიცების სახეები, შარეთა პროცესუალური უფლებები, პროცესის სტადიები, წარმომადგენლობა სასამართლოში და სხვ. *

ბაგრატ IV-ის სიგელის მიხედვით პროცესუალური სამართალი მდგრად მაღალ დონეზე მოჩანს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ისმის — ხომ არ იყო ერთმანეთისავან გამოყოფილი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესები?

ძნელია სათანადო ცნობების უქონლობის გამო ხსენებულთან დაკავშირებით რომეს გარკვევით მტკიცება, მაგრამ აქ შეუძლებელი არაფერი არ აჩინს.

ძველი ეპრიოლების სამართალი სამოქალაქო ხასიათის საქმეებს სხვა წესით არჩევდა, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებს. სამოქალაქო საქმეებს სამწევრიანი სასამართლო არჩევდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს 23 წევრიანი. სამოქალაქო საქმეები, მოსამართლეთა შორის უთანხმოების დროს ერთი ხმის უმრავლესობით წყდებოდა, სულ ერთია, მოპასუხის თუ მოსარჩლის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის საქმეებში კი ერთი ხმის უმეტესობით მხოლოდ

გამამართლებელი განაჩენის გამოტანა შეიძლებოდა. გამამართლებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო იყო ორი ხმის უზრუნველყოფა განცენა.

ბავრატ IV-ის სიგელის მიხედვით ჩვენ წარმოვადგება მაღალ-განვითარებული პრიცესუალური სამართალი. მართალია, XII—XIII საუკუნეებიდან ჩვენამდე პრიცესუალური სამართლის სხვა ტეგლებს ამ მოცელწევით, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, მარტო ბავრატ IV-ის სიგელიც საქმიანისა იმის დასამტკიცებლად, რომ ის ვე როგორც კულტურის სხვა სფეროებში, პრიცესუალური სამართლის დარღმიაც საქართველო მაღალკულტურული ბიზანტიის დანეზე იდგა.

ბავრატ IV-ის ცნობილ სიგელში ნათქვამია, რომ ქუთაისში ძელებისთან სარჩელით გამოცხადდნენ „მამანი მიჯნამორელნი და მამინი ოპიზარენი“ — მიჯნამორისა და ოპიზის მონასტრის წარმომადგენლები. დავა შევხებოდა სამონასტრიო მიწათმფლობელობის საქითხს. სსენებულ სიგელში მეცე აღნიშნავს, თუ რა დამამტკიცებელი საბურიები. წარმოადგინეს მხარეებმა. როგორც ბავრატ IV აღნიშნავს, მიჯნამორელებმა „მოიხუნეს სიგელი გურგენ ერისთავთა ერისთავისაი, გურგენ მეფეთა მეფისაი, პაპისა ჩემისა ბავრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისა გომრგა მეფისაი, რომლითა ივი ტუენი და ზღვარი მიჯნამოროისათუის დაემტკიცნეს და კრულობითა მოწმონანი კათალიკოზთა და მღვდელთ-მოძღვანობინი“⁵⁷. როგორც ვხედავთ, თავისი დავის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად მიჯნამორის მონასტრის წარმომადგენლებმა მთლიანად წევრილობითა დამამტკიცებელი საბურიები — სიგლები წარმოადგინეს.

ასევე მოიქცნენ ოპიზის მონასტრის წარმომადგენლებიც: და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გურამ მამფლისაი, რომლითა მას ტუენს და ზღვარსა მიჯნამოროელთა ერჩოდეს⁵⁸.

ვაშასადამე ოპიზის მონასტრის წარმომადგენლებიც თავიანთი უფლების საფუძვლიანობას წერილობითი დამამტკიცებელი საბურიო ამტკიცებენ. ამავე დროს, როგორც სიგელშია ნათქვამი „მის

⁵⁷ Лебединский, Судоустройство и судопроизводство гражданского и уголовное у древних евреев, т. I, Баку, стр. 44 — 45.

⁵⁸ საქართველოს სირველები, ტ. II, ვ. თავაიშვილის რედ., ტფილისი, 1909, გვ. 2.

⁵⁹ ა. ქ. 30, გვ. 2.



ნაბოროისა სიველთა შინა გუარამ მამტლისა დაწერილი. რომელ
ოპიზართათუნის დაუწერია, არა ქსენებულ იყო არცა დამტკიცირებული
ლად და არცა გარდაგდებულად”...⁶⁰

საქმის გადასაწყვეტად შეიკრიბა სასამართლო. ამასთან დაკავ-
შირებით სიგელში ბაგრატ I-ის სახელით ნათქვამია: „შევერიბენ
კარისა დარბაზისა ჩუენისასა მღლელთ-მოძლუარნი ერისთავთ ერის-
თავი, ერისთავნი და ყოველთა ქვეთა ზემოთა და ქუემოთა აზნა-
ურნი, მე ცნი ერნი საბჭოთა საქმეთანი”⁶¹.

მხარეების მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთების
რაობა და საფუძვლიანობა რომ უფრო სწორად გერვეიათ მოიწვიეს
„მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი” — სასამართლოსმოდნენი. აგრეთ-
ვე „მღლელთ-მოძლუარნი, ერისთავთ ერისთავნი, ერისთავნი და ყო-
ველთა ქვეთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი”.

სასამართლო პროცესზე წაეითხელი იქნა ორივე მხარის „და-
წერილნი“ და მოისმინეს „რომელი სიტყვის გებაი იყო მათ შორის“.
წერილობითი ღოყუმენტების წაეითხეა „შემოწმებისა და მხარეთა
„სიტყვის გების“ შემდევ სასამართლომ გამოიტანა ვალაწყვეტილე-
ბა.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „და სამართლად ესე გავიგონეთ,
რომ ქელნი ამაონი (მიგნაძოროელთა) მრავალნი და მტკიცები იყუ-
ნეს, და ჩუენგან მათი გატეხაი არა ჯერ იყო. და სულსა მათ პირ-
ველთა მეფეოთასა არა დავამძიმებდით. და ოუმცა ოპიზარნი უნუგუ-
შინისცმოდ გაგუეშნეს. იგინი შეწუხდებოდეს. და ესე ჩუენ ბრა-
ლად შევინახეთ. და ას სალოცველად მეფობისა ჩემისა და შეიღლისა
ჩემისა გიორგი კურაპალატისა და სალოცველად სულსა მათ პირ-
ველთა მეფეთა ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი: ტყენი
და ზღვარნი ამაონი, ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სი-
გელთა შიგან უწერიან. ნიშნით ღწვარნი: სამხრით სამწყრისა წყალი,
ვითა შავშეოთისა წყალსა ჩატროვის და ტიხარის კლდე და ქად-ქედი
ვითა წიგალს; დასავლით ეკუანთა ქედი და ჩრდილოით ღიღებისა
ხერთვისა და საქაომის კირი, ვითა ქად-ქედი წიგალს. ღიღები ქედი
ერთ კირი. ასე ზღვარნი მტკიცენი არიან მიგნაძოროელთა ზედა. და
ქედს მეტრით არა უც საქმე და სასამართლო ოპიზართა სალესველ-
თა სათიბისაგან კიდე”⁶².

60 საქართველოს სიდეკვენი, ტ. II, ე. თაყაოშეილის რედ.. ტფალის, 1909,
გვ. 2.

⁶¹ იდევ, გვ. 4.

როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, უმავრესი
და უპირატესი ძალის შემთხვევაში საბუთად წერილობის
თ მტკიცებულებაზე იქნა აღიარებული. ბავრაზ 17-ის წერილობის
ვიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს აზრი სამიწათმფლი-
ძელი დავთა საკუთხებშე უმთავრეს მტკიცებულებად წერილობის
დამამტკიცებელი საბუთების აღიარების შესახებ.

მარტი ის ფაქტი, რომ ბაგრატის სიგელის მიხედვით წერილო-
ბით დამამტკიცებელ საბუთებს ასე დადი მნიშვნელობა აქვთ მა-
კუთხებული დამტკიცებით პროცესს სისტემაში, მიუთითებს ას-
კებული სამართლის სისტემის მაღალურლტურულობასა და განვი-
თარებულობას. სენეცული დოკუმენტის მიხედვით ქართველი ხა-
პროცესო სამართლის დონე რომაული სამართლის დიდი მემკერ-
ოის — ბიზანტიურის იურიდიცელ ტექნიკისა და აზროვნების სა-
უძველეს დგას.

როდესაც ერთი და იგრევ მიწათმფლობელობის საგნის შესახებ
არი სხვადასხვა შინაარსის წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი
აღმოჩნდა, რომელთაგან ერთ-ერთი სადაც მიწათმფლობელობის
ოპიზის მონასტრის სასაჩვენებლოდ წერილი, ხოლო მეორე კი მიწა-
ძორის მონასტრის მიმართ აღასტურებდა ანალოგიურ უფლებას,
სასამართლო როგორი იურიდიცელი კოლიზიის წინაშე დადგა. წერი-
ლობითი დამამტკიცებელი საბუთებიდან რომელ მათგანს უნდა მი-
ნიჭებოდა უპირატესობა?

დამამტკიცებელი საბუთის შეფასება და მათ შერჩის წერილო-
ბითი დამამტკიცებელი საბუთის შეფასება მისი შემოწმების შედეგს
უარმოადგენს და მდგომარეობს იმ ფაქტის კერძორიტების თუ
სიყალბის დადგენაში, რომელიც სენეცული საბუთით ირკვევა

ფეოდალიზმის დროს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავი-
სებურების წყალობით, მეფის მიერ რომელიმე ფიზიკური თუ იური-
დიული პირისათვის ნაბოქები მიწათმფლობელობა ახალი, შემდგა-
მი მეფის მხრით ხელახლა დამტკიცებას ანუ განახლებას მოითხოვს.
ამ მხრივ მიჯნაძოროელთა მონასტრის მდგომარეობა უკეთესი იყო
ოპიზარელებთან შედარებით. მიჯნაძოროელთა მონასტრის სიგელი
დამტკიცებული იყო თანმიმდევრობით გურგენ ერისთავთა ერისთა-
ვის, გურგენ მეფეთა მეფის, ბავრაზ კუროპალატისა და გიორგი მე-
ფის მიერ, „რომლითაც იგი ტყენი და ზღვაონი მიჯნაძოროისათვის
დაემტკიცნეს“, ამიტომაც კელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი



კურნეს". ცხადია, რომ მიგნაძორით მონასტრის სიგელი უკრიანები წით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა გვარითისა მონასტრის მონასტრერმა კი სასამართლოში წარმოადგინა მსოლოდ გუარამ მამულისა დაწერილია, რომელიც შემდგომ დამტკიცებული არ ყოფილა.

გუარამ მამფალი (883) ძლიერი ერისთავი იყო. მას დაუპყრია ჯვანეთი, ტაშირი, ბოკი, ოტანი და სხვა. იგი ცნობილი იყო. როგორც ეკლესია-მონასტრების მშენებელი⁶². გუარამი სიკვდილის წინ ბერად შედგა. „მატიანე ქართლისად“-ს ცნობით გუარამ მამფალი „დამარხეს ოპიზას მეორედ მისვან აღშენებულსა“. როგორც ჩინს, გუარამ მამფალი ოპიზის მონასტრის დიდი მფარველი და შემწე იყო და მან ხსენებულ მონასტერს ოპიზის სიგელში მოხსენებული და შემდგომ დაიკის საგნად ქუცული აღგილები უწყალობა. გუარამი გარდაიცვალა 883 წელს და ამის შემდეგ ოპიზის მონასტერს წყალობის სიგლის განახლება ვერ მოუხერხებია. მიგნაძოროს მონასტრის სიგელში კი დაწერებული გურგენ ერისთავ-ერისთავისგან (941) ბავრატ IV-მდე კველა მეფის მეურ იყო დამტკიცებული სადაც თაღილი, როგორც ხსენებული საგნის მფლობელობა. ამავე დროს ოპიზარებთა წინააღმდეგ ლაპარაკობრა ის გარემოებავ. რომ „ამათ მიგნაძოროსა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელ ოპიზართათუის დაუწერია, არა კვენებულ იყო არცა ღმტკიცებულად და არცა გარდა აღებულად“.

წერილობრივი დამამტკიცებელი საბუთების ისეთი დიდშნიშვილობა პროცესში, რაც ოპიზის სიგელში მოჩანს დასავლეთ ეკვრისასა და ჩუსეთში გაცილებით უფრო გვიან. გვიანფერდალურ ეპოქაში მტკიცება.

* * *

ამა დავუბრუნდეთ ისევ საკითხს მოწმეთა ჩვენების შესახებ. მოწმეთა ჩვენებას, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, დიდ შინიშვნელობას ანიჭებდა ქართული სამართლი. მაგრამ „მოწმეთა ჩვენების დამაჭერებლობა მაშინდელი შეხედულებით იმ შემთხვევაში ხდებოდა ურყევა, როდესაც ჩამდენიმე პირი ფიცათ ერთსა და

62 იხ. სუმბატ დავითის ძის ქრისტიანი, თბ., 1949, გვ. 79, კ. თაყაჩერება-ს განვი.



იძვეს მოწმობდენ. ამიტომ ყველა ქველ ერთა სამართალში ჩრდილებითა სავალდებულო რიცხვი კანონით იყო ხოლმე განსაზღვევით მხილარ გოშის ცნობით ქართული სამართლის თანახმად მხოლოდ სამი მოწმის ჩვენება შეიძლებოდა. რომ დამაჯერებელ საპუთავ ყოფილიყო მიჩნეული.

თანამედროვე სამართალში თავისი ღრუბელებით ყველაზე სერიოზულ და ძვირფას დამამტკიცებელ საბუთოა რიგს მოწმის ჩვენება ეკუთვნის. მოწმის ჩვენება თამაშობს თანამედროვე პროცესში ამ ფუნდამენტის როლს. რომელზედაც დაფუძნებულია სისამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეირყეს თანამედროვე პროცესში მოწმის ჩვენების მნიშვნელობა სასამართლო ჰეშმარიტების გამარჯვების საჭეშში. თუ კი ძონახული იქნება გზები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ვაჭდება დასამტკიცებელი ფაქტების ობიექტური გამოყვლევა⁶³.

თავისი სამართლის წიგნის შესავალში (თავი VI) მხილარ გოში ღნიშვნას. რომ თუ ერთ-ერთ მხარეს მოწმები არა ჲყავს. შემონ ძოსამართლებ გადაწყვეტილება მეორე მხარის ფიცის მეშვეობით უნდა გამოიტანოს. მხილარი ამბობს. რომ ის არც არასდროს უკეთებდა რეკომენდაციას ფიცის და არც ახლა აკეთებს ამას. მაგრამ ჩამდენადაც ცრუ და უმართებულო ფიცი წესად შემოვიდა. ჩვენ მოვისურვეთ შეგვეტანა ეს დაუშვებელი მოქმედება კანონიკური მონანიების ფარგლებშით.

XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მხილარ გოშის სამართლის წიგნი იქნებოდა. საქართველო და სომხეთი ფეოდალური საზოგადოების განვითარების ისეთ საფეხურზე იდგნენ, რომ ხელსაყრელი საგარეო კითარების ასებობის შემთხვევაში მათი განვითარება ფეოდალური საზოგადოების წილში ახალი, ბურჯუაზიული საზოგადოებრივი უზრიერთობის ჩასახვა-განვითარების გზით უნდა წისულიყო. განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე მდგრმი საზოგადოება ცდილობდა მახვილის რაინდების ეპოქის ახლით შეცვლის გზების ძებნის. და როგორც მოსალოდნელი იყო ისეთ ეპოქაში. როცა შორს, იყო მიზოვებული გვაროვნელ-პატრიარქალური ტრადიციები, ფიციც ას-

⁶³ ვაკე ვალი ვალი. ქართული სამართლის ისტორია. ტ. II. ნ. II. გვ. 495.

⁶⁴ Г. С. Фельдштейн, Лекции по уголовному судопроизводству, М., 1915, стр. 277.

იყო ისეთ დიდ პატივში, როგორც მას უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი თუნდაც ხსენებულ ეპოქაში. მხითარ კათარებული შესხვა, რომ ჩვეულებად შემოვიდა უმართლო და შეუსაბამო პუნქტითავა ჩანს, ბოვისის ჩაქელეტოს თვითი კავკასიური წინაპერებიც პურლიათ. ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, ძაღლის ხალხის რელიგიური განწყობილების პირდაპირ-პროპორციულია. ეს ჩველებური განწყობილება კი მაშინ შერჩეული იყო და ფიცის არც შეიძლებოდა უპირობო დამამტკიცებელი საბუთის ძაღლა ქვითოდა. მაგრა დროს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი პროფესიის ხალხს მოწმედ გამოსვლაც არ შეეძლო, როგორც ეს მახლობელი აღმოსაფლეთის ქვეყნებში იყო.

მახლობელი აღმოსაფლეთის ქვეყნებში ზოგიერთი პროფესიის ხალხს მოწმის უფლება-უზარიანობა არ გააჩნდა. მაგალითად, ფერქარს არ გააჩნდა უფლება სასამართლოში მოწმედ გამოსულიყო, ვრცნაიდან მისი ჩვენება არანამდევილად ითვლებოდა.

ამასთან დაიავშირებით საინტერესოა შემდეგი სირიული ლიტერატურის კლასიკოსის ვრცელი ითანე მარც-ფარავ ბარებრეის (1226—1286) ერთი გესლიანი ანგდოტი — „უმწიველო მოწმე“. ერთი ფერქარი მიდის მოსამართლესთან და კეითება: ზე ისე მოხდება, რომ აღამიანებს ჩემი მოწმეობა დასცირდებათ და ისანი მოხვევნ მე, რომ სასამართლოში რომელიმე ფაქტი დავუდასტურო, მიიღებთ თუ არა ჩემს ჩვენებას? მოსამართლემ მას უპასუხა:

— დაას, მოუღებ, მავრამ თქვეს ჩვენებას თან უნდა ატლდეს სიმი უმწიველო მოწმის ჩვენება.

მაშინ ცეკვის უბასუხა მოსამართლეს:

— მაშ მე წინდაწინ უნდა შევეთანებმდე უმწიველო მოწმეებს მათი ჩვენების შესახებ და შემდევ გამოვცხადდე სასამართლოში⁴⁵.

შიითარ გოშის მიხედვით მოწმე უნდა უოფილიყო ასაკით 25 წლის. ეს იყო ის ახაუ, რომელიც ხაქმატისა მღვდლად კურთხვისათვის. ადამიანს აქვს ქმედუნარიანობა 14 წლისამ აწარმოოს ხავაჭრო ხაქმები, მაგრამ სასამართლოში მოწმედ გამოსულისათვის მხითარ გოში 25 წლის ასაკს მოითხოვს. თუ ისე მოხდებოდა, რომ კრთ-ერთ მოწმე სრულწლოვანი, ე. ი. 25 წლისა იყო, ხოლო მეორე — არა გაშინ ეს უკანასკნელი მოწმედ დაიშვებოდა მხოლოდ სრულწლო-

⁴⁵ Абдуль Фарадж, Книга занимательных историй, М.-Л., 1957, გვ. 150 — 151.

კანონმდებლის აზრით მცირებულოვანი მხოლოდ მაშინ იძლევა ჰეშმარიტ ჩვენებას, როდესაც იგი მოხუცებული არის მოწმედ. ორი ახალგაზრდა (ყრმა) დაიშვებოდა მოწევდ იმ შემთხვევაში, თუ მათთან ერთად ჩვენებას იძლეოდა მესამე მოხუცი (შესავალი, თავი VII).

შპილი გოშის მიხედვით უნდა გვარჩიოთ ერთმანეთისაგან ირი სხვადასხვე სახის მოწმე: ერთი — რომელსაც თითონ აქვს ნანახი ფაქტი და მეორე, რომელსაც გაუგონია ამის შესახებ და გავონილის მიხედვით იძლევა ჩვენებას. კანონმდებელი მოითხოვს, რომ მოწმემ ნახახი და გავონილი კარგად შეამოწმოს. შეუბუქად არ მოკიდოს ჩვენების მიცემას. მოსამართლეს კი ვალება მოწმეთა ჩვენების უკმოწმება (შესავალი, თავი VII).

მოწმეს და თანამოფიცართ წარმოშობის თვალსაზრისით შესაძლოა საერთო ნიშნები გააჩნდეთ. მავრამ ისინი სულ სხვადასხვანი არიან. აღრეფეოდალურ დასიდულეთ ცეკოვაში ფიცი იყო, როგორც ამას ფიცსტელ დე კულანეი იმბობს. ჰეშმარიტების გამოვლენის საუკელთაო საშუალება. ჯერ კადევ რიცხვარების სამართლის წიგნი ანსხვავებდა მოწმესა და თანამოფიცარს. თუ ვინმე საკუთრების შესახებ დაობდა და მოწმეების მეშვეობით არ შეეძლო თავისი უფლების დამტკიცება, მას შეეძლო მოეთხოვა თავისი ქანება ფიცის მეშვეობით 6 თანამოფიცართან ერთად (LX, 1). მოწმეთა ჩვენებას. სამართლოში ისმენდნენ, მავრამ არავითარი ცნობები არ არის. რომ თანამოფიცართი სასამართლოში იციცავდნენ.

სწორად შენიშვნავს ფიცსტელ დე-კულანეი, რომ ფიცი არ იყო სასამართლო აქტი ამ სიტყვის ნამდვალი მნიშვნელობით, რომ იგი უფრო რელიგიური აქტი იყო. რომელიც მართლმსახულებაში ჰეშმარიტების დადგენის საშუალებად იყო მიღებული და რომელიც კანონის მეშვეობით განაპირობებდა მხარის გამართლებასა და გამრკუნდას⁶⁶. თანამოფიცართა ისტიტუტი მეკულევარებს. ერთი შესკდვით. სპეციალურად გერმანული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებლად მიაჩნდათ. „მავრამ ეს ჩეეულება არაფერში არ ცვლილა არც ფიცს არს და არც მის ხასიათს. ის მხოლოდ ამაგრებდა და აძლიერებდა ფიცს იმისათვის, რომ დაედასტურებინა მისი სამართლიანობა“, ბრალდებული იმდენად იყო დაინტერესებული საქმით,

⁶⁶ Фюстель-де-Куланж, История общественного строя древней Франции, т. III, Спб., 1907, гл. 543.

რომ შეიძლებოდა იგი ცდუნებას დამორჩილებოდა და ღმერთი ტყუილად დაეფიცა. ამიტომაც კანონმდებელი და მოსამართლეები მოიხველნენ, რომ მოფიცრის გვერდით მდგარიყვნენ სხვა და მასთან ერთად გაიზიარებდნენ შიშს და განსაცდელს ღმერთებისა და წმიდანების წინაშე⁶⁷.

ქველ სასამართლო პროცესში (მაგ. რომში იმპერატორების ეპოქაში, ადრეფეოდალურ საზოგადოებაში, ბარბაროსთა სახელმწიფოში, ნახევრადპატრიარქალურ და ნახევრადფეოდალურ ქვეპნებში და სხ.) დამნაშავეზე და დამამტკიცებელ საბუთებზე სულ სხვანაირი შეხედულება ბატონობდა ვიღრე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მაშინ სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო არა ადამიანის ცალკეული მოქმედება, რომელიც საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულებრივი ქვეითი იყო, არამედ მისი (ბრალდებულის) მოელი პიროვნება საერთოდ ალებული და პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა მხოლოდ საბაბი იყო ამისათვის. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი სასამართლო გამოვლევის საგანია ცალკეული ფაქტი სამართალში მიცემულის ცხოვრებიდან; მისი პიროვნება კი მსჯელობის საგანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი დანაშაულებრივ ფაქტშია გამოვლენილი. შეიძლება ამით აიხსნას ის გარემოება, რომ რომში იმპერიის წინაპერიოდში, მისი წმინდა საბრალმდებო პროცესით, საქმე გვაქვს დამამტკიცებელ საბუთთა წარმოდგენის საკითხში სრულ თავისუფლებასთან და შეიძლება ითქვას, თვითნებობასთანაც. დამამტკიცებელ საბუთებად სასამართლოში იხილავდნენ ისეთ ფაქტებს, რომელთაც არავთარი კავშირი არ ჰქონდათ ბრალდების საგანთან⁶⁸. ასეთ სამართლებრივ საწყისებთანაა დაკავშირებული თანამოფიცართა ინსტიტუტის, ასებობა. როგორც ი. გრიმი წერდა: „Eideshelfer schwuren nicht, das eine that wahr sei, sondern das der, dem sie halfen, einen echten Eid ablege“⁶⁹.

ფიცელ დე-კულანჯ, История общественного строя древней Франции, т. III, Спб., 1907, гл. 560—562.

С. И. Викторский, Русский уголовный процесс. М., 1912, стр. 54.

I. Grimm, Deutsche Rechtsalterthumer, Band 2, Berlin, 1956, гл. 541.

ჭაქტეს (მოქმედებას) ადგილი, არამედ იმაზე, რომ მოფიცანის
მხრით ფიცი სანდოა და ნამდვილია.

ორთაბრძოლა, ორდალები, ფიცი და თანამოფიცარი, — სული
ციო ამ მტკიცებულებათა სახეები, რომელთაც ძეველ სასამართლო
პროცესში იყენებდნენ ჰეშმარიტების დასაღვენად. როგორც სა-
მართლიანად შენიშვნა მაქსიმ კოვალევსკიმ არცერთი მათვანი არ
შეიძლება ჩაითვალოს დამამტკიცებელ საბუთად ამ სიტყვის ნამდ-
ვილი მნიშვნელობით. დამამტკიცებელ საბუთს ჩვენ ვეძახით ყვე-
ლაფერ იმას, რაც თავისთავად ამტკიცებს ან უარყოფს ცნობილ
ფაქტს. როდესაც, მაგალითად, სასამართლოში წარმოადგენენ ხელ-
წერილს სესხის შესახებ, ეს უკანასკნელი თავისთავად ფულის ვა-
სესხების ფაქტს ადასტურებს. ან როგორ თვითმხილველი მოწმეები
ადასტურებენ, რომ ესა და ეს პირი ბუნებრივი სიკედილით გარდაი-
ცვალა და მისოვის არავის რა მოუსპია სიკოცხლე ძალადობის
გზით, ეს ჩვენება თავისთავად ადასტურებს მკვლელობის ფაქტის
უარყოფას. შეიძლება დავეთანხმოთ მაქსიმ კოვალევსკის იმაში, რომ
რავითარი ამისი მსგავსი არ შეიძლება ითქვას არც ორთაბრძოლა-
ზე, არც ფიცე, არც ცეცხლით, რეინით, წყლით და შხამით გამოც-
დიზე.

თანდათან, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კულტურულ
პროგრესთან ერთად, სამართლის სისტემაც განიცდის ცვლილებას. ც-
ვლება შეხედულება ცალკეული დამამტკიცებელი საბუთების შე-
სახებ. შემოდის ახალი დამამტკიცებელი საბუთები. მოწმის ჩვენება
და წერილობითი მტკიცებულებანი იყავებენ გარკვეულ და მტკიც-
ების დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში და დასასრულ
მტკიცებულებათა სისტემაში იყავებენ გაბატონებულ მდგომარეო-
ბას.

მოწმეს და თანამოფიცარს⁷⁰ ფეოდალური სამართალწარმოების
ცინამდვილეში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დათმობილი. რამდე-

70 განსაკუთრებით საინტერესო ის გარემოება, რომ „ვისრამიანის“ ავტორი
შეიმუშავა და მოფიცარს სრულად გარკვევით ანსხვავებს ერთიმეორისაგან. ეს გა-
რემონტა დღემდე არ ყოფილა შემჩნეული ქართული სამართლის ისტორიის
მკვლევარების მიერ. ეს მით უფრო აღნიშვნის ლისია. რომ ვერანი შეასატე-
ნების რიგ ქართულ დოკუმენტებსა და სამართლებრივ ძეგლებში ხშირად არა
განსხვავებული ერთიმეორისაგან მოწმე და მოფიცარი. როგორც ჩანს, დაქვეი-
თებისა და დაჩიხულობის ეპოქაში დაუცა სამართლებრივი კულტურაც.

თადაც განვითარება ბურჯუაზიული წარმოებრივი ურთიერთობისა და კულტურული კენ მიღიოდა, იმდენად წინა პლანზე გამოდიოდა მოწმის ჩვენებითოთა და უკან იხევდა თანამოფიცართა ინსტიტუტი.

მცირე შინშენელობის საქმეებში საქმიანის იყო ბრალდებულის (მოპასუხე) ან ბრალმდებლის (მოსარჩელ) მხოლობითი ფიცი. ყველა შინშენელოვან საქმეში კი ფიცს მაშინ ეძლეოდა დამამტკიცებელი საბუთის ქალა, როდესაც იგი თანამოფიცართა განსაზღვრული რიცხვის ფიცით იქნებოდა განმტკიცებული. თანამოფიცარნი, ასევე მოფიცარის ნათესავები იყვნენ. ისინი გვევლინებიან ბრალდებულის კეთილი სახელის, მისი პატიოსნების დამადასტურებლად.

შეიძლება მართალი იყოს მ. კოვალევსკი იმაში, რომ მოწმეთა ჩვენებას სასამართლო უშევებდა უძველესი ეპოქებიდან, მავრამ ძხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ მხარეების ნათესავები იძლეოდნენ. რაც ძველმა პროცესმა არ იყოს. ესაა ის, რომ არ მიიღებოდა გარეშე პირების მოწმობა, რომელიც არც ბრალდებულიან და არც

ჩვენ პირველყოფლისა იმაშე გავამახვილებთ კურადღებას, რომ „კისრამიანის“ აკტორის ეპოქის ქართული ენა სრული სიტადით ანსახევებს ერთი შეორისაგან მოწმესა და მოფიცარს. ასმინის ერთ-ერთ წერილში დასისადმი, ნათევამია:

„ჩემისა საქმისა მოწმა მე ჩემინი ღარისხი უყითელი. თუ მაღირსო და გამოითხოვ, კაცე, რომელ შეგაფერო. რაცა ჰირი მეორებია. მოწმა ღარისხი მეურისან და მოფიცარი ცრებლანი თუალი, ოქროითა შეღებული ჩემინი მოწმა მე ჩემინი და სისხლითა დასურილი ჩემინი მოფიცარი. რა გირენენ მოფიცარი და მოწმა ჩემინი და მოწმა რაინტერენტ ჩემსა მოქსენებულა, ჩემვან მართლისაგან კიდე არა ითქვეშის და სიმრტილთა გაწმილებული აროდეს დავრჩიბი“ („კისრამიანი“, ტუ, 1938, გვ. 246).

ყოველ შემთხვევაში, „კისრამიანის“ მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რომ მისი ფეტორისათვის (და ალბათ მისი ეპოქის ადამიანებისათვისც) სიესებით წარადი იყო, რომ მოწმე („მოწმე“) და მოფიცარი (თანამოფიცარი) პროცესუალური ურთიერთობის ერთობლივისაგან განსხვავებული სუბიექტები იყვნენ.

რამინი არწივენებს თავის სატრუოს — ვისის ერთგულებაში. იმის დასატრუოებლად, რომ იგი (რამინი) ვისის ერთგულია და მასშე შევრს ფიქრობს, მისი ყვაველი ღარისხები და ცრებლიანი თვალები გამოიდგებიან. ვაკი თავის უსტარში მიმაოთავს შედარებას და ამბობს, რომ მოწმეებად „ღარისხი მეყოფან“ და „მოფიცარი ცრებლიანი თუალი“-ო. იქვე აღმოსავლერი მერქნიბელობით „ოქროითა შეღებულის“ — მოწმეებზე და „სისხლით დასურილის“ — მოფიცრებზე საუბარი.



ბრალმდებელთან ნათესავით კავშირით არ იყვნენ ეჭაულული ბულნი⁷¹.

ფეოდალურ საზოგადოებაში არსებობდა გავრცელებული ჩეკულება, რომ ნათესავებს უნდა მიეცილებინათ ბრალდებული სასამართლოდე. ასეთი ჩეკულება ხელს უშლიდა სამსჯავრო სხდომის ცორინალურად ჩატარებას. მრავალრიცხვოვანი ნათესავები მიღიოდნენ სასამართლოს სხდომაზე შეიარაღებული და ცდილობდნენ გაელუნა მოქნდინათ მოსამართლეებზე. ამატომაც ფეოდალური კანონ შედებლობაზი ცდილობდნენ არამარტო აეკრძალათ სასამართლოს სხდომაზე დამსწრე ნათესავებისათვის იარაღით გამოცხადება. არა მედ იგრეთვე მკაცრად შეეზღუდათ მათი რიცხვიც. შვაბიის ხარჯის დადგენილებით სასამართლოში გამოცხადებული მხარის ნათესავების რიცხვი 30-ს არ უნდა აღემარტოდეს.

მ. კოვალევსკი ფრიქობს, რომ თანამოფიცართა ინსტიტუტი სწორედ ამ ჩეკულებიდან არის წარმოშობილი⁷².

მაგრამ, XVIII საუკუნემდე თანამოფიცართა ინსტიტუტმა საქართველოში განვითარების გრძელი გზა განვლო და მან დაკარგა თავისი პირველყოფილი სახის მრავალი ნიშანი. XVIII საუკუნეში საქართველოში ნათესავის ფიცა და მოწმობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ვიდრე გარეშესა.

ჩეკნამდე მოღწეულია 1780 წლით დათარილებული განჩინების წიგნი გოსტამაბიშვილების და ყაფლანიშვილების დავის თაობაზე, სადაც ვკითხულობთ: „ესენი ასე ფიცათ მოწმობდნენ, მაგრამ, რაღანაც ბიძაშვილები იყვნენ და ს ს ს ლ ი ს კ ა ც ნ ი, ა მ ა თ ი ს მ თ წ მ თ ბ ი თ ს ა მ ა რ თ ა ლ ი ვ ი რ გ უ ლ ს ა ვ ს ე ი ქ ნ ე ბ ი დ ა დ ა ე ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი მ ი ვ ე ც ი თ: ერასტი გოსტაშაბიშვილმა სამი საყაფლანიშვილო აზნაური შეუგდოს, ზაალმა და ზურაბმა სამში ერთი იშორი და ასე შექციცონ“⁷³.

ძველი დროის ზოგიერთი გერმანული და სლავური სამართლი, როგორც ამაზე მკვლევარებმა მიუთითეს, არ იცნობდნენ ისეთ დამტკიცებელ საბუთებს. როგორიც იყო წერილობითი საბუთი და

⁷¹ М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, т. II. М., 1886, стр. 5.

⁷² იბიд. გვ. 339.

⁷³ საქართველოს სიცელენი, ტ. I, ფ. I, 1920, ტფილისი, გვ. 148.



ორშის ჩვენება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ აგობარი, IX საუკუნის იურისტი ბერგუნდიელების მიშართ ჩამოახდება, რომ მათში დამნაშავე იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჭმიშია მოწმეთა ჩვენების მეშვეობით ყოფილი ბაზარი იყო, ან შეიძლებოდა მოწმეთა ჩვენების მეშვეობით ყოფილი მხილებული და მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა ცრუ-ფიცით გაემართლებინა თვეი⁷⁴.

რიგი სამართლის ქედები, მაგ. პოლოვის სტატუტი (XII ს.) ან ინობს მოწმის ცნებას თანამდებროვე შეიმუნელობით.

ანტიურობისა და შეასაუკუნეებისათვის საუკეთესო ნიმუში კანონმდებლობისა, რომის სამართალი, იცნობდა დამამტკიცებელ საბუთთა განვითარებულ სისტემას. აյ მოწმის ჩვენებას შეიმუნელოვანი ადგილი ეყავა მტკიცებულებათა მორის. ფიცი და წერილობითი საბუთები, მოწმეთა ჩვენება, სამნილები (*indicia*) და პრესუმუციები, ისეთი იუ დამამტკიცებელი საბუთები ჟელ რომში. მოწმეთა მინიმუმი კანონით 2 კაცით იყო განსაზღვრული, ხოლო აქსიმუმი — 120-ით.

მოწმედ ან შეიძლებოდა ყოფილუკენ სასამართლოს მიერ შეჯვრდადებული, ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, ლიბერტინები მათი პატრონების წინააღმდეგ. დაღმავალი ხაზის ნათესავები აღმავალთა წინააღმდეგ და სხ.⁷⁵

მოწმეები, რომელთა ჩვენებასაც ეკვით უცქეროდენ, შეიძლება ყოფილიკენ მცირეწლოვანნი, ბრალდებულის მევობრები და პტერები; პირები რომელთა შესახებ არსებობდა გულვება, რომ ისინი აროესის მხარეთა მიერ მოსყიდული არიან ან მისი ასე თუ ისე დამთავრებით მატერიალურად დაინტერესებულნი, ფიცის გამტეხნი, შუბუქი ყოფაქცევის შედეგად პატივდაკარგულნი, ბერძნები და აზიელები.

ერთი სიტყვით საზოგადოებრივი ყოფა რომში ისეთი იყო, რომ მოწმეების როლი პროცესში მნიშვნელოვანი იყო.

დასავლეთ ევროპაში შეა საუკუნეების პარველ პერიოდში ქვე-ცი ცივილიზაცია და კულტურა დაეცა. გერმანული ტომები, რომელნიც გვაროვნული წყობილების ძლიერი ტრადიციებით იყვნენ

⁷⁴ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886, гл. 341.

⁷⁵ А. Н. Загурский, Принципы римского гражданского и уголовного судопроизводства, Харьков, 1874, гл. 359.

გაულენთილნი, არ იყვნენ იმ მაღალი კულტურის ჩქარო ასავის ეპიდემიას
თვის მომზადებულნი, რომელსაც ისინი ხედავდნენ და უძრიშვეულ
მაელებში. წარმოიშვა ფეოდალური წყობილების აჭარული გადა
ხერი — იღრეფეოდალური საზოგადოება. რომელიც თავის თავში
გვაროვნულ-პატრიარქალური წყობილების რიგ ნიშებს შეიცავდა
ეს საზოგადოება ცნობდა გვაროვნული წყობილების ძლიერ გადა-
მონაშებს და პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობის პირო
ჟებში ცნოვრობდა.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოწმის ის მნიშვნე-
ლოვანი როლი, რასაც ადგილი პქონდა რომაულ სასამართლო
შეოცესში, უცნობი იყო ამ საზოგალოების სინამდვილეში. სწორედ
ამიტომ გვაროვნული საზოგადოების ტრადიციების არსენალიდან
იღებულ წესს, რომ უპირატესობა მოპასუხე-ბრალდებულის და მო-
სარჩლე-მომნივანის ნათესვებს ეკუთხეთ პროცესში რამე ფაქ-
ტისა თუ მხარეთა კეთილი სახელის დადასტურებაში. დიდი გავლენა
ჰქონდა.

«...Присяга могла быть весьма действительным способом
раскрытия истины для людей, ожидающих от ложной клятвы
проклятия всему роду,личных бедствий и нескончаемых лише-
ний для предков. Становясь на ту же точку зрения, не трудно
будет объяснить и причину, по которой древний процесс не
придает никакого значения свидетельским показаниям, раз эти
показания не даются лицами, связанными с обвиняемым кров-
ным родством»⁷⁶.

ჯერ კიდევ ძალაში იყო რა გვაროვნული სოლიდარობისა და
შეურისმიერების გრძნობები, მნელი და თითქმის შეუძლებელიც იყო
მოწმედ გამოსულიყო უცხო პირი სასამართლოში. ბრალდებულის
გვარი ყოველ ასეთ მოწმეზე შეურს იძიებდა. ნათესავის ფიცი დღე-
ვანდელი მოწმის ფუნქციას ასრულებდა ძველ სასამართლო პრო-
ცესში. ნებაყოფლობით სასამართლოში გამოცხადებულ მოწმეს ინ-
დური კოდექსი ნარაღა გაშუშს უწოდებს და მის ჩვენებას მხედვე-
ლობაში არ ლებულობს (V. 17). ეს თვალსაზრისი უთუოდ ძველ
პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების სინამდვილიდან მომდი-
ნარებს.

⁷⁶ А. Н. Загурский, Принципы римского гражданского и уголовного судопроизводства, Харьков, 1874, гл. 359.

ცნობილია, თუ როგორ გაურბოდნენ დანაშაულებრივი ფაქტები დამდებილი მოწმეები ჩვენების მიცემას XIX საუკუნეში ოსეთში. ასეთი ჩვენების მიცემა დიდ საფრთხესთან იყო და ავაგშირებულ რეაციაზე.

არა მარტო ოსეთში, სადაც ძლიერი იყო პირველყოფილი მუსიკოსების მური წყობილების ტრადიციები, არამედ საქართველოშიც, განვითარებული ფეოდალიზმის ქვეყანაში, როგორც ამას განჩინების წიგნთა ანალიზი გვიჩვენებს, ისეთი გარეშე მოწმის შოვნა, რომელიც არცერთი მხარის ნათესავი არ იყო, საქმიანო სამნელო რამაა.

დათუნაშვილი და ნაეროზაშვილი წარჩინებულან „მერმე ხელდახელ შეყრილიყვნენ და ერთმანეთისათვის უიარალოდ ხელით ეცათ. მას უკან დაეშველებინათ, მაგრამ სამსაოთხს დღეს უკან დათუნაშვილი შიო მამკვდარიყო“. საქმე თითონ ვახტანგ VI გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ნაეროზაშვილი და დათუნაშვილი გააშეცელეს სხვებმა, სასამართლოსათვის საინტერესო ზოგიერთი ფაქტის ზესახებ მოწმის შოვნა გვირდა. ნაეროზაშვილი აშოროს იძახდა, ჩემის ნაეროულობით არ მომკვდარა დათუნაშვილი.

განჩინების წიგნში ნათქვამია: „რადგან აშორო ითხოვა, ამისთანას გაურჩეველსა და მართალის შეტყობრს საქმეზედ ფიციართებული იყოთ. მაგრამ ფიცი ამისთვის აღარ მივეცით, რომ საეჭვოდ ამბობდნენ და თუ ველარ დაეფიცა, უფრო გაუძნელდებოდა საქმე“⁷⁷.

მოწმესა და წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს ქართული სამართალი, როგორც განვითარებული ფეოდალური საზოგადოების სამართალი, IX—XIV საუკუნეებში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა ძლიერი იყო და პროგრესული განვითარების გზით მიღიოდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

შემცირდა, მაგრამ მათი მნიშვნელობა არ დაკარგულა XV—XVIII საუკუნეებშიაც.

1751 წლის ერთი განჩინებით კახა სავანელი რამინიშვილს მსახურის მოკვლას აბრალებდა. თავის გასამართლებლად სასამართლომ რამინიშვილს 20 „მოწმე“ თანამოფიცარის გამოყვანა დაუნიშნა.

—ოცდა-ათის გლეხის კაცით ჩხეიძის ყმით წადგეს რამინიშვილი და ასე შეფიცოს კახა სავანელს“... ნათქვამია განჩინების წიგნში⁷⁸.

77 საქართველოს სიძველეზი, ტ. III, საბ. № 438.

78 იქვე, საბ. № 503.

სსენებული განჩინების საფუძველი ვახტანგის სამართლის წიგნის 41-ე მუხლი ან უნდა იყოს. იქ ნათქვამია: „პლაზის სისხლი შეწამებაზე სამოცი მაფიცარი შევარდების და ოცდამდე მუხლის იშვინოს ასეთი, როგორიც ზემოთ დაგვიწერია, და ოცდათი სხვა მიუკოლის, ისრე იფუცოს“.

თუ დავუშვებთ, რომ რამინიშვილის მსახური სასამართლომ გლეხის კატეგორიაში იყვანა შესაფასებლად, მაინც 60 თანამოფიარი უნდა დაეწესებინა მას ბრალდებულისათვის თვეს გასამართლებლად.

ისე კი საერთოდ ვახტანგის სამართლის წიგნი მსახურის სისხლს გლეხისაზე ორჯერ უფრო მეტად აფასებდა. ვახტანგის სამართლის 32-ე მუხლი მსახურის სისხლს ოცდაოთხ თუმნად აფასებს, ხოლო გლეხისას — 12 თუმნად. აქედან მსახურის მკვლელობაში ბრალდებულს თავის გასამართლებლად თანამოფიცარ გლეხთა უფრო მეტი რაოდენობა უნდა გამოკვანა, ვიდრე გლეხის მკვლელობაში ეჭვმიტანილს. მართალია, ვახტანგის სამართლის წიგნი მსახურის მკვლელობასთან დაკავშირებით ბრალდებულის მხრით თანამოფიცართა რიცხვის დანაწესს არ იძლევა, მაგრამ იმ ზოგადი პრინციპების მახდელით, რომლითაც კანონმდებელი ხელმძღვანელობდა, იგი ზემოს სენებულის თანახმად უნდა მოქმედოს. ჩვენ გვვონია, რომ ზემოთ მოტანილი განჩინების შეუთავსებლობის მიზეზი ვახტანგის სამართლის დანაწესთან იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სასამართლო პრაქტიკას კორექტივი შექონდა კოდექსით გათვალისწინებულ წორმებში.

ფიცი დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა როგორც სამოქალაქო სამართლის, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. ამავე დროს იყო შემთხვევები, რომ სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით შანთი, პლულარე და ფიცი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ისეთ დიდ დანაშაულში როგორიც მკვლელობაა, ეჭვმიტანილ პირს ზოგჯერ ფიცითაც უწევდა თავის მართლება.

ვახტანგის სამართლის წიგნის 37-ე მუხლი ამბობს: „თუ მკვლელი არა ჩნდეს და ერთს კაცს მთხრობელით თუ ცილით შესწამონ, უნდა მოსამართლემ შემოიკითხოს, თუ რას გზით სწამობენ და რა არის მიზეზი, როგორ უქნიათ, რაგვარათ მოუკლავთ, ესეები ათქმევინონ. და თუ ამგვარის გამოკითხვით და ძებნით შეამჩნიონ. როგორც გვითქვამს, ისე უნდა გადაიხადოს. თუ ამით ვერ გატეხონ და

დიდებულის კაცის სისხლის უმცროსს ცილით სწამობდეს, მეტა
რომე იმ უფროსის კაცის ყმის ყადარი იყოს, ანუ მეფის აზნაური
იყოს, იმაზედ ან მდუღრით ან შანთით თავი იმართლოს. და, უფრო
უმცროსი ამხანაგი იყოს და ან ტოლი, ფიცი დაადონ, მაგრამ ფიცი
ძრე უნდა: თუ დიდებულით იფიცოს, ოთხი შეუგდონ და იმისგან
ორი იშოვნოს და ისრე იფიცოს; თუ შესა თავადით აფიცონ, ორმო-
ცი შეუგდონ და ოცი იშოვნოს და მით იფიცოს; თუ უმცროსის თა-
ვადით აფიცონ, ას ოცი შეუგდონ და სამოცით შეპფოცოს. თუ ვინ
იფიცოს, ზემორებრ სისხლი გარდეხადოს».

ზემოთ მოტანილი მუხლი ჩვენთვის მრავალმხრივ არის საყუ-
რადლებო. კანონშდებლის აზრით, მკვლელობაში ეპვემიტანილის მი-
მართ მოსამართლეს ევალება „შემოიკითხოს“, თუ რატომ და რა-
გზით „სწამობდენ“ აღნიშნულ პიროვნებას დანაშაულის ჩადენის.
რა არის მიზეზი მკვლელობისა, „რაგვარათ მოუკლავთ“ და „როგორ
უქნიათ“. თუ მოსამართლის ამგვარი გამოძიებითი მუშაობით საქმი-
ნამდვილი გარემობა გაირკვევა, მაშინ დამნაშავე ჩვეულებრივი
წესით ისჯება. მაგრამ თუ მოსამართლის გამოძიებითი საქმიანობა
წარმატებით არ დავვირვინდება, მაშინ მკვლელობაში ეპვემიტანილ-
პირს თავი უნდა ემართლებინა შანთით, მდუღარით ან ფიცით იმის
მიხედვით, თუ ვინ იყო მოკლული. თუ მეფის აზნაურს დიდებული
კაცის სისხლს ედავებოდნენ, მაშინ ბრალდებულს მხოლოდ შან-
თით ან მდუღრით შეეძლო თავის მართლება. ასევე წედებოდა სა-
კითხი იმ შემთხვევაში, თუ მკვლელობაში ბრალდებული მოკლუ-
ლის „ყმის ყადარი იყოს“.

აქედან ჩანს, რომ სისხლის სამართლის საქმეებში ფიცი არ
იყო ისეთი დამამტკიცებელი საბუთი, რომლითაც თავის მართლების
უფლება ყველა ბრალდებულს შეიძლებოდა ქონდა.

თუ მოკლული ბრალდებულის „ტოლი“ ან „უმცროსი ამხანა-
გი“ იქნებოდა სოციალური მდგომარეობით, მაშინ შეიძლებოდა ფი-
ცის გამოყენება თავის მართლების საშუალებად („და თუ ან უმც-
როსი ამხანაგი იყოს და ან ტოლი, ფიცი დაადონ...“).

შანთით და მდუღარით თავის მართლება სოციალურად დაბალი
ფენის ბრალდებულებისათვის იყო სავალდებულო იმ შემთხვევაში,
თუ მათ თავისზე მაღალი წოდებრივი მდგომარეობის პირის მკვლე-
ლობა ბრალდებოდათ. ფიცით თავის მართლება კი წოდებრივად
ტოლი და უმცროსი კატეგორიების პირთა მკვლელობაში ბრალდე-

შისას შეიძლებოდა, ფიცი პრივილეგირებულ დამამტკიცებულ სა-
პუთის წარმოაღენდა მკვლელობის საქმეებში. მაღალი წუფული
პირთა წინაშე თავის მართლება ფიცით არ შეეძლო დაშალირდეთ
პის ბრალდებულს.

მკვლელობაში ბრალდებულ პირს ფიცით თავის მართლებისას,
თუ კი სეთის უფლება მას კანონით გააჩინდა. უნდა წამოეყენებინა
სამართლის წიგნის მიერ დაღვენილი რიცხვი თანამოფიცართა. სა-
სამართლო დაუსახელებდა ბრალდებულს ოთხ „დიდებულ“ პირს და
აქედან თუ ორს იშოვნიდა და დაიფიცებდა მათთან ერთად. მაშინ
კამართლებულად ჩაითვლებოდა. შუა-თავადით დაფიცებისას ე. ი.
როცა თანამოფიცრად შუა-თავადები უნდა გამოსულიყვნენ. მაშინ
სასამართლო ორმოც პირს დაუსახელებდა ბრალდებულს და ამ უკა-
ნასკნელს ოც მათგანთან ერთად უნდა დაეფიცნა, რომ იყო მკვლე-
ლობაში არ იყო დამნაშავე. თუ ბრალდებული უმცროსი თავადებით
თავის გამართლებას შეეცდებოდა, მაშინ სასამართლო ასოცი-
ლაუსახელებდა მას და აქედან სამოცი კაცი უნდა შეერჩია თა-
ნამოფიცრად ბრალდებულს. პირელყოვლისა ჩვენს ყურად-
ლებას იყერობს ის გარემოება, რომ მკვლელობაში ბრალდებულს
ვახტანგის სამართლის მიხედვით მხოლოდ „შეგდებული“ ე. ი. სა-
სამართლოს მიერ დასახელებული თანამოფიცრებით შეუძლია თა-
კის მართლება. ამ შემთხვევაში ბრალდებული მოკლებულია თანამო-
ფიცართა არჩევანის უფლებას. ამის მიზნის უთუოდ მდგომარეობს
იმ საკულებელი დანაშაულის სიმძიმეში, რომელსაც კანონმდებელი
თვალისწინებს ხსენებულ მუხლში.

ფეოდალური წოდებრიობის ღრმა ფესვებზე ლაპარაკობს კუ-
ნინმდებლის ის დანაწესი, რომლის მიხედვითაც ორი დიდებულის
ფიცს ძალა აქვს. რაც 20 შუა თავადისა და 60 უმცროსი თავადის
ფიცს. ერთი დიდებული თავადის ფიცი, როგორც სასამართლოსთ
ვის საინტერესო ჭეშმარიტების წყარო, უდრის 30 უმცროსი თავა-
დის ფიცით მიცემულ ჩვენებას.

ხსენებულ შემთხვევაში დამამტკიცებელ საბუთთა შეფასების
საკითხი ეკუთვნის არა მოსამართლეებს, არამედ კანონმდებელს. ეს
უკანასკნელი კი მას წოდებრიობის პრინციპის მიხედვით აფასებს.
სასამართლო ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, კი არ აფასებს და-
მამტკიცებელ საბუთებს, არამედ ანგარიშობს მათ.

წოდებრიობის პრინციპით უნდა იყოს გამოწვეული ის გარე-

ცოდნაც, რომ კანონმდებელი აზნაურთა წოდების წარმომადგენლის გელელობაში ბრალდებულ პირს გლეხი თანამოფიცრებით გამართდების საშუალებას არ იძლევს.

თუ როვორ ღრმად, იმანენტურად იყო წოდებრიობის პრინციპი გაბატონებული სასამართლო პროცესში ცალკეულ დამამტკიცებელ საბუთებთან მიმართებაში, ეს ჩანს ერთი სასამართლო განაჩენიდან, რომელიც 1733 წელსაა შედგენილი. თავადს არ ეკალრება ფიცი, თუნდაც რომ მას გლეხის მოკვლა ბრალდებოდეს დანაშაულად. გლეხის პიროვნება და სიცოცხლე იმადაც აღარ ლირს კლასობრივი სასამართლოს წინაშე, რომ თავადმა დაიფიცოს.

ჩვენ აქ მოვიტანთ მაშინდელ სასამართლოს ხსენებულ განჩინებას! „ქ. ივერი შიოშაშვილი გიორგი ჯავახიშვილს სვიმონს მამის სიკვდილს უჩიოდა: „ვენახში მოხველ და გალაზე და გალაზულობით მოკვდაო“; დავსხედით ჩვენ, გლურჯიძე ტარიელ და მანუსარ და ვილაპარავეთ. სვიმონ აშორი უთხრა: რაც უბრალოდ პრედავები, მამაშენი ჩემის გალაზულობით არ მომკვდარაო. ჩვენ მიისი ასე გაუჩინეთ: სვიმონ ხომ ერთს გლეხის კაცის სიკვდილზედ ვერ დაიფიცებოდა და არც მართებული იყო. წააყენოს სვიმონ თავისი სახლთუხუცესი აბულვარდიაშვილი ზაალ და ოთხი თავისი მსახური მოწმად მოიყოლითს და ასე შეფიცოს, რომ იმისის გალაზულობით, არ მომკვდარიყოს, რაც უბრალოდ არ მედავების. თუ ასე იფიცოს, შიოშაშვილი ნულარას მოედავების და თუ ვერ იფიცოს, დადგძულიც ეს არის: სამოცის ძროხისა გაგვიჩნია, ოცი ვეიპატივებია და ორმოცის ძროხისა სვიმონ შიოშაშვილს გარდაუხადოს. სხვას ნულარას მიედავების. ჩვენ ორთავ ასრუ გაგვირიგებია⁴⁷⁹.

ჯავახიშვილს თავისი სოციალური მდგრმარეობის მიხედვით ვეუთვის ის წოდებრივი უპირატესობა, რომ მას უფლება აქვს და სასამართლოც ამ უფლებას აღიარებს, რომ მან პირადი ფიცით არ ძირიცხოს თავისი არაბრალეულობა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლის მკელელობაში.

მკელელობასთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის წიგნის 38-ე მუხლი ამბობს: „თუ მთხრობლით სწამობდეს და დამწამებელს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს, ხმალში გაატანოს. თუ მთხრობელს გაემარჯვოს, სამთხრობლოც მისცეს და სისხლიცა. და

⁴⁷⁹ ლოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940. გ. 132, 6. შერჩენი შვილის რედ.

თუ მთხრობელი გარდოვარდეს, მთხრობელიც ხელშეკრული უნდა მისცეს და მთელი სისხლიც. მაგრამ თუ დიდებულის სამშენებლი და დებულს ეწამების და მათი მთხრობელი შეუათვალი არის და დაუდებულის საქმეზედ შეუათვალის ხომ არ გამაცების და შეუათვალის ტოლი ყმა ხომ არ ეკოლების, რომ გაატანოს! ამაში ხმალ ხომ არ მოხდების! და ისევ ან ფიცით ან მოწმით გაიმართლებენ თავსა”.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის უახლოეს გამოცემაში, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა თ. ენუქიძე⁸⁰, 38-ე მუხლის პირველი წინა დადება სწორად არ უნდა იყოს გაღმოცემული. ხსენებულ გამოცემაში ვკითხულობთ: „თუ მთხრობლით სწამობდეს და დამწამებდეს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს, ხმალში გაატანოს“. სინამდევილეში ტექსტი ასე უნდა გამართულიყო: „თუ მთხრობლით სწამობდეს და დამწამებულს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს, ხმალში კავანოს“ ამ მუხლის ასე წაკითხვის მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფო მუნიციპალიტეტი № 164 ნომრით დაცული ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს ვახტანგის სამართლის შევალინებას და რომელიც თ. ენუქიძეს გამოცემებულიც აქვს. იმ სახით კი, როგორც 38-ე მუხლის პირველი წინადადება თ. ენუქიძის გამოცემაშია დამცემილი, ვფიქრობთ, სწორი არა.

დ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემულ სამართლის წიგნის თარგმანში ეს წინადადება სწორადაა წარმოდგენილი.

თავისთვალი გაუგებარი იქნებოდა თუ რად უნდა გამოცემა ხმალში დაზარალებულ მხარეს მკვლელის მამხილებელი-მთხრობელი? მთხრობელი ხომ ამ შემთხვევაში დაწამებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და არა დამწამებლისა.

თუ ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს გვიზიარებთ ვახტანგის სამართლის წიგნის 38-ე მუხლის პირველი წინადადების შესახებ, მაშინ მთელი მუხლი გასაგები ხდება ჩვენთვის.

მუხლის შენაარსი კი შემდეგში მდგომარეობს: თუ ვინმე ვისტე მკვლელობას „მთხრობელის“ მეშვეობით დასწამებს და თუ ბრალდებულს ამ „მთხრობლის“ ტოლი ყმა ყავს, მას (ბრალდებულს) აქვთ უფლება ყმა გაიყვანოს „მთხრობელის“ წინააღმდეგ ორთაბრძოლაში და ამით დაამტკიცოს თავისი სიმართლე. თუ ამ ორთაბრძოლაში (ხმალში) მთხრობელი გაიმარჯვებს, მაშინ მკვლელობაში ბრალდება.

80 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. თბილისი 1955, ტექსტი გამოსაცემაში მოამზადა და ტერმინთა საძირებელი დაურთო თინა ენუქიძემ.

ბული იხდის, როგორც მოკლულის სისხლის ფასს, ისე „სამთხოვან-ლუსაც“. იმ შემთხვევაში თუ „მთხრობელი“ დამარცხდება, უნგრეკული ხელშეკრული გადაეცემა ბრალდებულს და იმ უკანასკნელს მიჩნავით თუ ლის ფასის მოთხოვნის უფლებაც აქვს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დიდებულ თავადს დიდებული თავადის მკვლელობა ბრალდება და მთხრობელი შეა თავადი არის, მაშინ „დიდებული ღიფებულს საქ-მეზედ შეა თავადს ხმა არ გამყვების და შეა თავადის ტოლი ყმა ლომ არ ეყოლების, რომ გაატანის“—ო მშპბს კანონმდებელი. მაშა-სადამე, დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაშიც ისე ძლიერ იყო გა-ტარებული წილებრიობის პრინციპი, რომ ორთაბრძოლაში, რომე-ლიც მტკიცების საშუალებას წარმოადგენდა, დიდებული თავადი შეა თავადს არ გამყვებოდა. დიდებულ თავადს შეეძლო „მთხრობე-ლისთვის“ თავისი ყმა გაეტანებინა ხმალში, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეც შეუძლებელი იყო დმიტომ, რომ „მთხრობელი“ შეა თავადი იყო და დიდებულ თავადს შეა თავადის ტოლი ყმა არ შეიძლებოდა კოლოდა. ყოველივე ზემოთქმულის გამო, მხარეები იძულებული იყვნენ ისევ ფიცია და მოწმეებით ემართლებიათ თავი.

დასასრულ, 38-ე მუხლის შესახებ ჩეკინ მიერ გამოთქმული აზ-რის დასამტკიცებლად შეგვიძლია მივუთითოთ XVII საუკუნის თბი-ლისში მომხდარ ერთ-ერთ სასამართლო დუელზე, რომელიც მოხდა „მთხრობელ“ ბარათაშვილსა და ბრალდებულ თემანიშვილს შორის, რაც მოთხრობილი აქვს ისტორიუს ფარსადან გორგიჯანიძეს⁸¹. უკვე დასტურდება, ვახტანგის სამართლის წიგნის მე-40 მუხლით, რომელზედაც ჩეკინ ქვემოთ შეეჩერდებით.

ახლა შევეხოთ ვახტანგის სამართლის წიგნის 39-ე მუხლს, რო-ნელიც მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ფიცის დამამტკიცე-ბელ საბუთად გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა.

სენენდულ მუხლში ნათქვამია: „თუ დიდებულის სისხლი შეას თავადს შეეთქვას, გასინჯეთ. თუ ცილის წამებით არის, უნდა ან მოწმით, ან ფიცით, ან შანთით გამართლდეს. და თუ ეს შეწამება მთხრობელით არის, ასრუ უნდა იქნას: თუ მოთხრობელის დარი ყმა უვანდეს, ხმალში გამყვეს, თუ არა და თვითონ გამყვეს. თუ რომ დაუმარცხდეს, სისხლი მისცეს, თუ არა და მთხრობელს დაუმარცხ-ეს, მთხრობელი ხელშეკრული უნდა მიეცეს, და მთხრობელმან

⁸¹ ს. კაკაბაძე, ფ. გორგაჯანიძის ისტორია, ტფ., 1926. გვ. 56—57.

შოთა სისხლი გადაუხადოს გარდამგდებსა. თუ, ვინ იყოს, მოცილელს გარდამგდებლის სისხლის მიცემა ან შეეძლოს „მოწინულებულის უნდა მიეცეს“.

როგორც ჩანს, კანონმდებელი ანსხვავებს მკლელობაში ეპვ-მიტანილის მხრით თავის მართლების საშუალებას იმსდა მხედვით, თუ როგორი ხერხით, რა საშუალებით ორის მასზე (ბრალდებულზე) ეჭვი მიტანილი. თუ ეს ეჭვი „ცილის წამებით ორის“, მაშინ კინონ-მდებლის მითითებით შეა თავადს, რომელსაც დიდებულის სისტემა „შეეღვა“; ტფლება იქნა თავი იმართლოს ან მოწმით, ან ფიციო, ან შანთით.

ამ შემთხვევაში უურადლებას იპყრობს ის გარემოება, რომ კანონმდებელი იძლევა თავის მართლების ალტერნატიულ საშუალებებს და რომ ამ საშუალებათა შორის ისახელებს როგორც არქაულ შანთს, ასევე ფიცია და მოწმეს. ერთი მხრით მოწმის ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის არსებობა, როგორც მაღალ სამართლებრივი კულტურის გამოხატულება, და მეორეს მხრივ დამსმენ-სა და დასმენილს შორის ბრალებულობის საყითხის ხმლით გადა წყვეტა, აგრეთვე ის გარემოება, რომ „თუ, ვინ იყოს, მთხრობელს გარდამგდებლის სისხლის მიცემა ან შეეძლოს, მთხრობელი ცილ-შივილით უნდა მიეცეს“ — უთუოდ ქართული დეოდალური სახოვა-დოების სინამდვილეში დუალისტური საწყისების ისეთ თანაბრიჯ-ბობაზე მიეთითებს, სადაც პრიმიტიული მხარე მეტად რელიეფურადაა წარმოდგენილი.

ამ უკანასკნელის გამოხატულებაა იგრეოვე ვახტანგის სამართლის წინვის მე-40 მუხლის დანაწესი: „თუ უმცროსს თავადო, ან აზ-ნაური, ან შახურით შეეთქვას დიდებულის სისხლი, თავად ცალი ან შეეწამების, რომე დიდი კაცი ან იყადრებს და ორც საქნელი არის, რომე შესწამონ. და თუ შეეწამოს, ვით დაგვიწერია, ისრე უსამა-თლეო, და თუ მთხრობლით შეეწამოს, მთხრობელი და იგი კაცი ხმალმან გაასამართლოს. მთხრობელი გამტყუნდეს, მთხრობელი და სისხლი ორივ მიეცეს; და თუ დაწამებული კაცი გამტყუნდეს, მკვდარს სისხლი უნდა მიეცეს“.

მუხლის „შინაარსის უკეთ გაქცების მიზნით ჩვენ აქ მის ჩუსულ თარგმანსაც მოვიტანთ: «Когда на младшаго князя, или дворянину, или служителя падает кровь первостепенного князя, то надобно князям остерегаться, чтобы ни на кого не взводить напрасно

клеветы, ибо она неприлична им; но если при всем том будут в том обвинять кого то надлежит поступить как выше предписано⁸² а именно: если кто будет в том обвиняем чрез доносчика единок решит дело между обвиняемым и доносчиком, а когда сей последний будет побежден, то обвиняемому сделать удовлетворение за кровь, а вместе с тем отдать ему самаго доносчика; когда же обвиняемый побежден, то обязан удовлетворить за кровь убитаго⁸².

М-40 მუსლის შინაარსი სწორად აქვთ ვაგებული მის მთარგმნელსა და რედაქტორს. ამ მუხლში უფრო ნათლად, ვიდრე წინა მუხლებში ჩანს, რომ სასამართლო ორთაბრძოლა უნდა მომხდარო სწორედ ბრალდებულსა და მთხოობელს შორის და არა ბრალდებულსა და მთხრობელს შორის. სწორედ ამაზე მიუთითებს კანონმდებლის სიტყვები, რომელიც ორთაბრძოლის შედეგებზე ლაპარაკისას აწესებს: „მთხრობელი გამტყუნდეს, მთხოობელი და სისხლი ორივ მიეცეს; და თუ დაწამებული კაცი გამტყუნდეს, მკვდარს სისხლი უნდა მისცეს“. აქედან ჩანს, რომ მებრძოლი შხარები „მთხოობელი“ და „დაწამებული“ (ბრალდებული) იყვნენ და ამ „მთხოობელი“ და ბრალდებელი.

ერთი სიტყვით, „მთხოობელობა“ აღვილი საქმე არ იყო. იგი მუდამ მზად უნდა ყოფილიყო „მმლით გასამართლებისაოვის“. და მართლაც რა პატივში იყო ნმალი ფეოდალურ საზოგადოებაში ხმლით იმართლებდენ თავს და ხმლით ექებდენ კეშმარიტებას მოწერე და ბრალდებული, „მთხოობელი“ და ბრალდებული, ბრალდებული და მოსამართლე და. ასე გასინჯეთ, ზოგჯერ ძმები და ახლო ნათესავებიც კი ერთმანეთს შორის დავს ხმლით წყვეტდნენ. ეს ნამდვილად ხმლის სამართლი იყო.

XV—XVIII საუკუნეებში საერთო დაცემულობისა და კულტურულ-ეკონომიკური დაჩიხულობის შედეგად შეიცვალა კანონმდებლის შეხედულებაც მტკიცებულებაზე. ხსენებულ საკითხში უკანსვლის ნიშნები აღინიშნება ვახტანგის სამართლის წიგნში.

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლით „მოწმით სამართლის ქნა ასრე არის, რომე მოწამე ღიალ სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა, და წმინდა სახარებაც ბრძანებს,

⁸² Сборник законов грузинского царя Вахтанга VI. Под ред. Д. З. Бакрадзе. Тифлис, 1887.

მაგრამ აქ, ქართლში, უფრო არ განუწესებიათ. ასრე იციდნ: კაცმან, თუ ჩასაც საქმეზე ასეთი მოწამე მოიყვანა, რომე იმ მოწმეების დაუცუაში არ გვინდეს, სული იცოდეს, ჰკუა ქონდეს, ან სამშოთ ჭტექ-ჭიშმიშებენ სიმართლის ხმა ქონდეს დავარდნილი და კაცისაგან სანდრ იყოს, უნდა დაუკერონ, თუ არა — ერთისა და ორის ამ რიგის კაცის და-კერება არ დაუწესებიათ. და ესომ მოგვინენებია: ამისთანა კაცს დაუკერების. და სხვა რიგი კაცი თუ არის ათსა და ოცა. ან ერთბის სოფელსა, მოწმობას დაუკერებენ, თორემ ნაკლებს ძეირად გაუკო-ნებენ. ზემორ რომ მოწმეების ქება დაგვიწერია, იმგვარი კაცი ორიც რომ მოიყვანოს, მოსამართლემ უნდა დაუკეროს, და აღარ აფიცონ, მაგრამ მოსამართლემ თუ ტუუილი მოწმობა და მთხოობლობა შეა-მნინა ვისმე, დიდი ნასალი უნდა იყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინ-დომოს“.

სენებული მუხლი აშკარად ლაპარაკობს ვახტანგის სამართლის წიგნზე ჩვეულებითი სამართლის ძლიერ გაელენაზე და ამავე დროს IX—XIV საუკუნეებში მიღწეული სამართლებრივი კულტურის დო-სიდან უკან დახვევაზე. რა თქმა უნდა, ადაოთობრივი სამართლის ას-თი ძლიერი, უკორექტური გავლენა საერთო დაცუმის, სახელმწიფო-ებრიობის საწყისთა შესუსტების, სუსტი სახელმწიფოებრივი ხელ-სუფლების, უკულტური დამპყრობლების და კავკასიელ მთიელთა რიმიტიული ადაოთობრივი სამართლის გავლენის შედევი იყო. მოწ-მის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, ნაკლები მნიშვნელობა, რომელზედაც ვახტანგის სამართალი ლაპარაკობს, რომ იგი „ქართ-ლში უფრო არ განუწესებიათ“-ი ზემოხსენებული მკაფიო გამოხა-რელებაა.

ლეთის მოშიში. ჰკეიან და სიმართლის ხმადავარუნილ მოწმეს მო-სამართლებ უნდა დაუკეროს. მაგრამ ჩვეულებრივ ერთი და ორი გოწმის დაგერება არაა დაწესებული. ლვის მოშიში, სამართლია-ნობის ხმადავარუნილი და ჰკეიანი მოწმე მხოლოდ არიც რომ მოიყ-ვანოს მხარემ, მოსამართლემ მის ჩვენებას უნდა დაუკეროს. მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც კანონმდებლის აზრით „საქე-პარ მოწმეთა“ რიგში ვერ მოხვდებიან, ათა, ოცა და ზოვგერ მთელი სოფელიც კია საჭირო რაოდე ფაქტის დასაღასტურებლად.

კანონმდებელი ამბობს: „ზემორ რომ მოწმეების ქება დაგი-წერია, იმგვარი კაცი ორიც რომ მოიყვანოს, მოსამართლემ უნდა დაუკეროს, და აღარ აფიცონ“... ეს ხაზგასმა იმისა, რომ საქებარ



მოწმეებს ფიცს აღარ ართმევენ, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვეულებ-
აი მოწმეებისათვის ფიცი აუცილებელი უნდა ყოფილიყო. მაგრა მოწმეები კი, რომელიც მხარემ ათი, ოცი ან მოელი სოფელი „ქართული მოწმეები“ უნდა წამოაყენოს, ალბათ თანამოფიცარინი იყვნენ.

ვახტანგის შემდეგდროინდელი XVIII საუკუნის მეორე ნახევ-
რის განჩინებათი წიგნებიდან ირკვევა, რომ ცხოვრების და სასამარ-
თლო პრაქტიკას კორექტოვი შექმნდა ვანტანგის სამართლის და-
ნაწესში და რომ მოწმე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სასამარ-
თლო პროცესში.

1797 წელს სასამართლომ გაარჩია შანშე ამილახვრისა და მისი
განაყოფის ზაალ დავითაშვილის დავა მამულის გამო.

ხსენებულ განჩინების წიგნში ნათქვამია: „ამაზე ბევრი დავა
ჰქონდათ და არც ერთი მხრის აკვენ ისეთი მოწმე არა
ნადა, რომ იმითი გაგუერჩივა. სამოცის წლის ხარაბა არის ფურა და
იქ მოსახლეობა არაერთ ახსოვს, რომ იქაურის მამულებისა იცოდეს
რამე, რომელი რომლისა არის“⁸³.

სამამულო დავის გადაწყვეტისას სასამართლომ პირველყოვ-
ლისა მოწმეები მოიძია, მაგრამ რაღვან სადაო ადგილი ფურა „სამო-
ცი წლის ხარაბა იყო“ და იქ მოსახლეობა არ იყო, რომ ახლო-მახ-
ლო მამულების შესახებ რაიმე ცოდნოდა და ამავე დროს წერილო-
ბითი მტკიცებულებაც არ არსებობდა, ამიტომ სასამართლოს მხო-
ლოდ ფიცის საშუალებით შეეძლო საქმის გადაწყვეტა. სასამართ-
ლო ასეც მოიქცა: „და ახლა ჩვენ ეს სამართლი განვაჩინეთ ამ მი-
წაზე: რაღვან ის მიწა დღეს ზაალს უჭირავს, თავისი ორი კაცი, ერ-
თი კოქოლაშვილი ბერი და მეორე კვერნიაშვილი ჯაფარა, ეს ორი ი-
შეაფიცოს ისე, რომ ხატი აასვენონ კოქოლაშვილმა ბერმა და კერ-
ნიაშვილმა ჯაფარამ და სადამდინაც ეფიცებოდესთ, იმ მიწას შემო-
უარონ და ასე თქვან: ამისმა მადლმა და განმაცხველებელმა
ლმერთმა, რომ ეს მიწა ბატონის ჩვენის ზაალ დავითაშვილის ყმის
რამაზაშვილის არის და ამაში არც მაჭავარიანსა და არც ქვრივი-
შვილს არც ერთს საქმე არა აქვს. თუ ასე იფიცეს, დარჩება ზაალს
და თუ ვერ იფიცეს და დარჩება ამილახვარის შანშეს“⁸⁴.

⁸³ ქ. თავათვისი ღ. საქართველოს სიძევენი, ტ. III, ტურისი, 1910,
გვ. 177.

⁸⁴ იქვე, გვ. 177.

ხსენებული დოკუმენტის ზემოთ მოტანილი აღვილე ჩვენს ვის
მრავალმხრივ არის საყურადღებო.

ჯერ ერთი, მრავალ სხვა დოკუმენტთან ერთად შემოიხვევა
რებს, რომ ვახტანგის სამართლის დანაწესი, რომ „დღეს ვისაც მა-
შელი უკირავს და შეეცილების ვინე, ფიცი, ვისისაც ხელ მამული
არის, მისია“, ცხოვრებაში, სასამართლო პრაქტიკაში განუხრელად
ტარდებოდა. გარდა ამისა, ჩანს, რომ სასამართლოს შეეძლო მოპა-
სუხისათვის მოპასუხისავე კაცებიდან, დასახელებით — სახელისა
და გვარის დათითებით, დაენიშნა თანამოფიცარნი ამ შემთხვევაში
ორი კაცის რაოდენობით და განჩინებაშივე აღნიშნა ზუსტად ფი-
ცის ფორმულა. ცნობილი ხდება, აგრეთვე, რომ პრაქტიკულად
სორციელდებოდა ხატით სადაც მიწისთვის შემოვლა, რაც სხვა
ნალხთა სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილი მოვლენა არის სამარ-
თლის ისტორიაში. გარდა ამისა, ისკვევა, რომ ფიცი ხდებოდა სასა-
მართლო განჩინების გამოტანის შემდეგ — კანონით დაწესებულ
ვადაში.

იმავე დოკუმენტში მოთხრობილია ზაალ დავითიშვილსა და
რომან ამირეჯიბს შორის საყდრის თაობაზე დავის შესახებ. დოკუ-
მენტში ვკითხულობთ: „საყდრისს დავითიშვილი ზაალ მბობდა:
ერთიანად სასოფლო არისო. და რამინ მიუგებდა: სასოფლო არ
არისო, საყუთრად ჩემის აზნაურშვილებისა არისო, მაჟავარიანებისა
და საყვარელიძეებისაო, რომ შიგნით არცა ვის სასაფლაო აქვთ და
არცა ვის საყდარში უდევს წილით და გარეთ სასაფლაო შენს კაც-
საცა აქვს და ჩემსაცაო. ამაზედაც დიდი დავა პქონდათ. ამაზედ ფი-
ცი რამინ ამირეჯიბს დავადევით. რამინმა წააყენოს ორი თავისი კაცი
მოძღვრიანი და ასე შეაფიცოს, რომ ამისმა მაღლმა და განმაცხო-
ვებელმა ღმერთმა, რომ ეს საყდარი ბატონის ჩემის აზნაურშვილე-
ბისა მაჟავარიანებისა და საყვარელიძეებისა არის და შენს კაცებს
რაც გარეთ სასაფლაო არა პქონიათ, იმის მეტი საქმე ამ საყდარში
არ აქვთ რა“.

განჩინების ზემოთ მოტანილი აღვილი ჩვენთვის საინტერესოა
სხვადასხვა მხრივ. ჯერ ერთი, ჩანს, რომ საყდრის შესახებ დავაზე
ვრცელდებოდა იგივე წესი ფიცისა, რაც მამულის მიმართ იყო დად-
გნილი. ამ შემთხვევაშიაც ფიცი მესაყუთრეს თუ ფაქტიურ მფლო-
ბელს ღაევისრა. რამინ ამირეჯიბს და მის აზნაურშვილებს სასოფ-
ლო საყდარი მიეთვისებინათ და მათ სრულ დასაკუთრებას ჩემუ:



ლობენ. ფიცი სასამართლომ ამიტომაც რამინ ამირეჭიბს და მის კუ-
სებს დააკისრა. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით მართლია სამართლის „ორი თავისი კაცი“ უნდა შეაფიცოს. აქ ჩვენ მოვიგონებოდეთ ესტრად-
გის სამართლის წიგნის მე-12 მუხლის დანაწესს, რომ „მამულის ცო-
ლებაში გარეშე მოფიცარი არ შევარდების, ამიტომაც მოსამართ-
ლები რამინ ამირეჭიბს „თავისი კაცებით ფიცი ივალებენ“.

ვახტანგის სამართლის მე-10 მუხლით „ხატი, ვინც აფიცებს,
იმან იშოვოსო. იმ მოფიცარმან მლდელს ხატი ხელში ჩამოართოს
და ასრე უნდა თქვას: „ამისმა მაღლმა და ამისმა გამაცხოვებელმან
ღმერთმან შენ, ამომავალო კაცო. რასაც მწამობ (სახელდობრივ ჩაი-
ტანოს), მე იმისი ოც მქნელი ვარ და ოც აზა ვიცი“. რა ეს სი-
ტყვა გაათოს, მოწმეებმან უნდა თქვან: „მართლა ფიცა მაგისმა მაღ-
ლმანო“. ეს წესი შესრულებული ჩანს, სასამართლოს განჩინების
მინაწერიდან, სადაც ფიცის წეს-ჩვეულებაზეა ლაპა-
რაი.

ამ მინაწერში ნათქვამია: „მე, გოორგი აბაშიძე სალონუცესი ამ
განაჩენის ძალით, იასაული ვიყავ, მიველ ფცას, გვეუგზავნე ზაალ
დავითიშვილს კაცი და ის კი არ ჩამოვიდა, იმისი შვილი როსტომ კი
იქ იყო. მილახვარმა შანშემ ხატიც ჩამოასვენებინა და დეკანზიც
ჩამოაყვანინა. რომელსაც კაცებს ფიცი ელოთ, იმათ არ დაიჭიდეს.
ღმერთსა ვფიცავ და ჩემს ხელშიიფესა, რომ ეს ასე იყო“.

ჩანს ფიცის ძალა საქმიანდ ძლიერი ყოფილა, რომ დაფიცების
გულისათვის მამულსაც კარგავდნენ.

როგორი იყო თანამოფიცართა რიცხვი ვახტანგის სამართლის
წიგნის მიხედვით? და ვინ შეიძლება იყოს მოფიცარი?

მე-10 მუხლი ადგენს: -ფიცი ასრე არის: ერთი ხარის შეწამება-
ზე; უმთხრობლოდ რომ შესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის;
და თუ მთხრობლით სწამობს, შევდებული მოფიცარი უნდა. აგ-
რევ, რამთენის ხარის საქმე იყოს, იმთენი მოფიცარი შევარდების.
თავისი ყადარი, უმტერ-უმოყვრო, მისი გარეშემო მისის ხეობისათ-
ვის ბატონისა და იმ მფიცებელის ბატონის ყმას გარდაისად უნდა
სხვის ყმა შევაღდოს, იმ შევდებულში ნახევარი იშოვნოს და ერთი
იმთენი შეუგდებელი თან მიიყოლიოს“.

კანონმდებლის აზრით თანამოფიცართა რიცხვი დამოკიდებუ-
ლია სადაცო ქონების ოდენობაზე. რამდენი ხარის საფასურიც შეიძ-
ლება იყოს სასარჩელო თანხა, იმდენი თანამოფიცარია საჭირო
მტკიცებისათვის. თუ ვინმე ვისმეს მთხრობლით „შესწამებს“ ერთი
ხარის საფასურს, მაშინ მტკიცების საშუალებად „ერთი შეუგდებე-

ლი მოწამე“ გამოდგება, ხოლო თუ უმთხრობლოდ „შესწამა“, მაგინ „შეგდებული მოფიცარი უნდა“. 

ყურადღებას იყრობს ის გარემოება, რომ მე-10 შესწამი კანონმდებელი ერთ შემთხვევაში „მოწამეს“ თანამოფიცრის მინშვნელობით ხმარობს. ეს შეიძლება კანონშომიერი მოვლენა არ იყოს და აქ შემთხვევებითობასთან გვექონდეს საქმე.

თავის სამართლის წიგნში, როგორც ამაზე ჩავა გვმონდა საებარი, ვახტანგი ერთ ადგილას (მუხლი 13) მიუთითებს, რომ ქართლში მოწმეთა ჩვენებას არ ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი სასამართლო წარმოებაშით. რა ოქმა უნდა, ამ შემთხვევაში კანონმდებელი დათობრივ სამართლს გულისხმობს და ამ თვალსაზრისით შესაძლოა, რომ ეს აზრი რამდენადმე ისტორიულ სინამდვილეს გამოხატავდეს. ადათობრივი სამართლისათვის საერთოდ მოწმეთა ჩვენების საპროცესო ღირებულება მცირე იყო.

ვახტანგის სამართლის წიგნშე უხსოვარი ეპოქებიდან შემორჩენილი ტრადიციული დათობრივი სამართლის ნორმების გავლენა საქმაოდ დიდია; მიუხედავად ამისა, კანონმდებელი, რომელიც არ-სებული წარმოებრივი ერთიერთობის ნიაღავზე იდგა, ძლევს ადათობრივი სამართლის შეხედულებას მოწმის ჩვენების პროცესუალური მნიშვნელობის შესახებ.

თუ ავიღებთ ვახტანგის სამართლის წიგნს მის მთლიანობაში და განვიხილავთ, დავინახავთ, რომ კანონმდებელი საქმაოდ, რომ არა კოქვათ ხშირად, ითვალისწინებს მოწმის ჩვენებას, როგორც საპროცესო მტკიცების საშუალებას.

სამართლის წიგნის მე-3 მუხლში კანონმდებელი ჩამოთვლის რა მოსამართლისათვის დამხასიათებელ აუკილებელ თვისებებს, იგი ამბობს, რომ მოსამართლემ „მოწმით, კითხვით და გამოძიებით“ უნდა გაიგოს საქმის ნამდვილი გარემოება, რომ იგი „მოწმით მარებარი უნდა იყოს“. .

მოწმეს იხსენიებს ვახტანგის სამართლის წიგნი 3, 10, 12, 13, 38, 39, 77, 143, 147, 157, 158, 161, 179, 207, 212, 227, 235, 254, 260, 262, და 263 მუხლებში.

მარტო ჩამოთვლა ხსენებული მუხლებისა ისეთ შთაბეჭდილებას იხდებს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი მოწმის ჩვენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

განჩინების წიგნებშიც ნათლად ჩანს საქმაოდ დიდი მნიშვნელობა მოწმის ჩერებისათვის.

„მამის გალახვასა და სიკედილს რომ ედავებოდა, ის კაშკაში მოწმებით უნდა გაისინებოს და იმისი სამართლი ესრე იქნას“.

უმრავლეს შემთხვევაში ვახტანგის სამართლის წიგნი, მოწმესა და თანამოფიცარს, რომელსაც იგი „მოფიცარს“ უწოდებს, საქმაოდ ნათლად არჩევს.

თანამოფიცარი უნდა ყოფილიყო მოფიცარის „ყადარი“ — სა-კადრისი, ტოლი, მისი „უმტერ-უმოყვრო“ და ტერიტორიულადაც ახლობელი „მისი გარეშემო მისის ხეობისა“. ფიცის წესი მოითხოვდა, რომ დასახელებული თანამოფიცარის გვერდით დაუსახელებელიც ყოფილიყო გამოყენებული სასამართლო მტკიცების დროს. მოფიცარს დაუსახელებდენ საჭიროზე ორჯერ მეტ შეგდებულ თანამოფიცარს და მათში „ნახევარი“ უნდა „ეშოვნა“ მას. თანამოფიცართა მეორე ნახევარს მოფიცარი თითონ მონახავდა, ანუ როგორც კანონმდებელი ამბობს, მოფიცარი ვალდებულია „ერთი იმთენი შეუვდებელი თან მიიყოლიოს“.

თანამოფიცართა რიცხვის დადგენის თვალსაზრისით საინტერესოა ვახტანგის სამართლის წიგნის მე-12 მუხლის დანაწესი, სადაც ნათქვამია: „...მამულის ცილუბაში გარეშე მოფიცარი არ შევარდების; თუ დიდი რამ მამული არის, თვითონ ის საბატიოს კაციშვილი უნდა აფიცონ; თუ უდაბლე რამ არის, აზნაურშვილი უფიცონ; კიდევ მის უდაბლეზე — მსახური, და მის ქვეითზე — გლეხი. იქნების, ერთპირ სოფელიცა აფიცონ, და იქნების, ის საბატიოს კაციშვილი თავის მსახურ-აზნაურშვილით და ყმითაც აფიცონ, მაგრამე მოსამართლისაგან კარგად გასინჯვა უნდა. თუ როგორს ადგილს შესცილებია, რამთენი დღიური არის, ან რამთენი საკომლო არის, ისრე ასწონოს. იქნების დღიურზე ერთი მოწმე შევარდეს; იქნების ორის დღისაზე ერთი შევარდეს; იქნების ოთხის დღისაზე ერთი აფიცონ, — კარგ-ავობაზე ჟეიდია. ვენახი არის თუ ფუზე, ან საწისქვილე ან საბალე, გამონახვა უნდა, ჯერ ფასი უნდა დადვან და მერე ისრე მოფიცარი შეაგდონ“.

რა თქმა უნდა, ცდებოდა ვახტანგის სამართლის წიგნის რუსულად მთარგმნელი, როდესაც იგი მე-12 და სხვა მუხლებში მოხსე-

ნიებულ „მოფიცარს“ მოწმედ თარგმნისში. რა თქმა უნდა, ფერა-
ლურ სამართლში მოწმესა და თანამოფიცარს ზოგიერთი წერტილი ნიშნები გააჩნდათ, მაგრამ მათ შორის იგივეობითი ნიშნები ჭრის შეიძლება.

მოწმესა და თანამოფიცარს შორის საერთოა ის, რომ ორივე
მათგანი სასამართლოსათვის საკელევ ფაქტს ან უარყოფს ან აღას-
ტურებს; მაგრამ თანამოფიცარისათვის სავალდებულო არ არის, რომ
მან კონკრეტულად იმ ფაქტის შესახებ იცოდეს რამე გარევევით,
რისი დადგენა-უარყოფაც სასამართლოს ინტერესებს. თანამოფი-
ცარი მოფიცარის პატიოსნებისა და სინდისისადმი ნდობის საფუძ-
ველზე ფიცით ადასტურებს მის ჩვენებას. თანამოფიცარმა პირველ-
ყოვლისა იყის, რომ მოფიცარის პიროვნება, მისი რელიგიური სინ-
დისი ნდობის ლირია, მაგრამ მან უმეტეს შემთხვევაში სრულიად
არაფერი ან იცის სასამართლოს მიერ საკელევი კონკრეტული ფაქ-
ტის შესახებ. იგი შეიძლება ფაქტის თვითმხილველი ან იყოს, მაგ-
რამ მას სწომს მოფიცარის კეთილი ნება და შესაძლოა, გაუგონია,
რომ მოფიცარი მართალია, ან თითონ მოფიცარისაგან ასეთი პასუ-
ხი მოულია. მოწმე კი საკელევი ფაქტის თვითმხილველი იყო უმე-
ტეს შემთხვევებში.

როგორც მე-12 მუხლიდან ირკვევა, მამულის შესახებ სადაც
საქმეებში გარეშე თანამოფიცარი ან დაიშვებოლა. ისეთი უმნიშვ-
ნელოვანები ხასიათის დავაში, როცა საკითხი მიწის საკუთრების თუ
მფლობელობას შეეხებოდა, გარეშე — უცხო თანამოფიცარის დაშ-
ვება კანონმდებელს მიზანშეუწონელ საქმედ მიაჩნდა. მიწა ფეოდა-
ლურ საზოგადოებაში აღამიანის ის არაორგანული სხეული იყო,
ურომლისოდაც ცხოვრება ასე ძნელი და უტანელი იყო შეა საუ-
კუნებში. ამიტომაც კანონმდებელი დიდი სიფრთხილის გრძნობით
უკუაგდებს ასეთ საქმეებში უცხო თანამოფიცარს.

დიდი მამულის შესახებ დავის დროს იფიცებდა თვით მამულის
შფლობელი — თავადი, ხოლო თანამოფიცარებად შეიძლებოდა გა-
მოსულიყვნენ. მისი აზნაურები, მსახურები და გლეხები. მათი რი-
ცხვი, რა თქმა უნდა, მიწის ოდენობასა და ხარისხზე იყო დამოკი-
დებული. შეიძლებოდა, საჭიროების შემთხვევაში, მოელი სოფელიც
კი დაეფიცებინათ.

86 ახ. Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, Под ред. Д. З.
Бакрадзе, Тифлис, 1887.

კანონმდებელი მიუთითებს, რომ ჯერ უნდა შეაფასონ ადგილ-
მამული და მხოლოდ მის შემდეგ განსაზღვრონ თანამოფიცართა
რიცხვით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში თანამოფიცართა
უართა რიცხვი, აღმათ, იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რამ-
დენი ხარის საფასური იყო სადაც მიწათმფლობელობა.

აკად. მარი ბროსეს თავის დროზე დადგენილი ჰქონია, რომ
ვახტანგ VI-ის დროს ხარი დაახლოებით 2 მანეთი ღირებულა⁸⁷.

ვაშავადამე, სამოქალაქო საქმეებში, როცა დავა მიწას ეხებოდა,
თანამოფიცართა რიცხვი დამოკიდებული იყო დავის ობიექტის ლი-
რებულებაზე.

თავისებურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც იგი სა-
ვალო ურთიერთობას შეეხებოდა. თუ ისეთ შემთხვევაში კეშმარი-
ტების გამორკვევის სხვა საშუალება (თამასუქი, მოწმე) არ ასე-
ბობდა, მაშინ ფიცისთვის უნდა მიემართათ.

ამასთან დაკავშირებით კანონმდებელი ადგენს: „თეორი თუ
ასი თუმანი არის, ხუთს თუმანზედ ორი კაცი შეუგდოს, ორისაგან
ერთი იშოვნოს და ისრე შეაფიცოს. ეს ას თუმანზე ოცი მოფიცარი
რომ გვითქვამს, იქნების ას თუმანზე თხუთმეტი მოფიცარიც კარო-
დეს, იქნების თორმეტი, ათსაც დაეჭრების. ესეც უნდა გასინჯოთ,
თუ მოფიცარი უფრო დიდგვარია, უფრო ცოტა ხამს, და თუ გვარ-
დაბალია, უფრო ბევრი ხამს“. (მუხლი 143).

კანონმდებელი ხსენებულ შემთხვევაში თანამოფიცართა
რიცხვს მკაცრად არ განსაზღვრავს, მაგრამ მათ საორიენტაციო ნორ-
მას იძლევა. როგორც ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში, სადაც
ფორმალურ დამამტკიცებელ საბუთთა თეორია ბატონობდა, საქარ-
თველოშიაც დიდგვარიანი მოწმე და თანამოფიცარის სასამართლო
პროცესზე გაცილებით მეტი ნიდობის ღირს პირებად ითვლებოდნენ,
ვიდრე, მაგალითად, გვარდაბალი მოწმე და თანამოფიცარი. ასევე
იყო ხსენებული საკითხი გადაწყვეტილი ფეოდალურ დასავლეთ
ევროპაში, რუსეთში, ბიზანტიასა და აღმოსავლეთში. საქართველოს
მეზობელ ბიზანტიაში უკვე კონსტანტინე დიდის ეპოქიდან მოყო-
ლებული დიდგვარიანი მოწმის ჩვენებას სასამართლოსათვის გაცი-
ლებით მეტი ღირებულება ჰქონდა, ვიდრე მდაბიოთა ასეთსავე მოქ-

⁸⁷ M. Brosset. Histoire de la Géorgie, Introduction St. Peterburg, 1858, p. C III.

მედებას. იგივე თვალსაზრისი ნათლად და აშკარადაა გატარებული
ალექსი მიხეილისძის დებულებაში.

ვახტანგის სამართლის წიგნის მუხლები არ იძლევა მნიშვნელოვანი
ტულ დანაწესს იმის შესახებ თუ თავადის ან აზნაურის ჩვენი დრო
ფიცი რამდენი გლეხის ფოცა და ჩვენებას უდრიდა, მაგრამ კანონ-
მდებელი ნათლად ატარებს თვალსაზრისს, რომ აზნაურის ჩვენებას
პეტი ფასი აქვს გლეხის ჩვენებასთან შედარებით, ხოლო თავადისას
აზნაურთან შედარებით.

უფრო გვიან, XIX საუკუნის ოციან წლებში, როგორც ამას
ღ. ბაქრაძე მოგვითხრობს, 10 მარჩილის ღირებულ უძრავ სადაც
ქონებაზე გურიის მდივანბეგები 1 მოწმეს თხოულობდნენს.

იყო ისეთი საქმეები, სადაც მოპასუხის ერთპიროვნული ფი-
ციონ შეიძლებოდა საქმე გადაწყვეტილიყო. ამ შემთხვევაში მოხა-
მართლეს კანონმდებელი დარიგებას აძლევს, რომ ინდივიდუალუ-
რად მიუდგეს ფიცის საკითხს. „მოსამართლემ გასინჯეთ უნდა ფი-
ცის საქმე გაარიგოს. თუ კაცს ხედავდე, რომ ლოის მოშიში არ არის
და სჯულისაც არა იცის რა, იმას ფიცს ნე დასრებ, ბრძენ მოსამარ-
თლევ, ცდავ, რომ არას ინალელის“ (მუხლი 237).

ფიცი წარმოადგენდა კანონმდებლის მხრით სასამართლო პრო-
ცესის მონაწილეთა რელიგიური ცრურწმენის ექსპლოატაციას ჰეშ-
ნარიტების დადგენის მიზნით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მო-
ფიცარს ასეთი რელიგიური ცრურწმენა არ გააჩნდა და ამავე დროს
თითონ სინიდისთან მწყრალადაც იყო იგი, მაშინ მას არაფერი უშ-
ლიდა ხელს გამხდარიყო ცრუ მოფიცაზი. მოსამართლოთაგან ჯერ
გამოუცნობ ცრუმოფიცრისთვის კი ფიცი წარმოადგენდა იმ თქმის
ქათამს, რომელსაც მისი პატრონისათვის არა ზოპარში, არამედ
რეალურ სინამდვილეშიც შეეძლო ოქროს კვერცხების დადგება. ამი-
ტომაც კანონმდებელი მოსამართლეს ფრთხილად აძლევდა განაწესს:
თუ ხედავდე რომ კაცი ლვოის მოშიშარი არ არის, მას ფიცს ნე
დააკისრებო.

ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობს ფიცისა და თანამოფიც-
რების იმსტიტუტს მის უკანასკნელ სტადიაში. კანონმდებელი, მარ-
თალია ფიცის აღიარებს დამამტკიცებელ საბუთად და ამისათვის თა-
ნამოფიცრთა საორიენტაციო სავალდებულო რიცხვსაც საზღვრავს

²² Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, 1878, Спб, гл. 342.



დავის ობიექტის ლირებულებისდა მიხედვით, მაგრამ მოსამართლეს ყოველთვის უტოვებს უკანდასახევ გზას, შეამციროს 1 გი. როგორიცაა რა და რა ჩანს ფიცის ავტორიტეტი, როგორც საპროცესო მტკიცების საშუალებისა, შერჩეულია. არა აგრეთვე თავის ღონიშვილისა ავტორიტეტიც.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ვახტანგის სამართლის წიგნის 237-ე მუხლი. სადაც კანონმდებელი მოსამართლეს უწევეს: -დიდი საქმეც რომ იყოს, ბევრს მოფიცარს ნუ შეაგდებ, ოთვე ორი ცოდვა ურჩევია: უკორ. ამად რომ ევების მართალი იყოს და ბევრის კაცის შოვნა ვერ შეიძლოს: მეორე ესე, რომ თუ ბევრნი შეგროვდენ, დაიფიცებ, ამ შეირცხებებს. მოფიცარი დროული, ღრთის მცნობელი, სჭულის მექანიზმი და ცოტა უნდა იყოს“.

ეს ტენდენცია, რაც ჭართველ კანონმდებელს 237-ე მუხლის მიხედვით ახასიათებს თანამოფიცართა რიცხვის მაქსიმალურად შენცირებისაერთ, მოსამართლეთა მისამართით უბრალო რჩევა-დარიგება არ ყოფილა. ვახტანგის სამართლის წიგნის შედეგნის მომდევნო პერიოდში, რამდენადაც მასზე დოკუმენტებით შეიძლება მსჯელობა, კანონმდებლის ეს რჩევა ფართოდ არის გათვალისწინებული.

დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდგომარეობა, მისი კლასობრივი ხასიათი და კულტურულ-ეკონომიკური ღონისება.

ვახტანგის სამართლის ეპოქისათვის, როდესაც საქართველო რამელსაყრელი საგარეო და სამინაო პირობების გამო დაჩიხულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც ჟულტურულ-ეკონომიკური განვითარების საფეხური საქართველოში გაცილებით ჩამოუვარდებოდა ოდესაც საქართველოსაგან ჩამორჩენილ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ღონეს, დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაც იმავე დონით ჩამორჩებოდა ევროპულს, ჩამდენადაც საქართველო ევროპის მოწინავე ერებს. მაგრამ საქართველოში იწყებოდა ძვრები კაპიტალისტურ, მოწინავე ერების გზით სელის სასარგებლოდ — უკულტურო გარემოცვიდან თავის დაღწევის, მსოფლიო ცივილიზაციის ფართე შარაგზაშე გამოსვლისათვის. საბა იჩენილიანი და ვახტანგ შეფერხულ-ირანულ ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ ევროპის გამოყენებაზე ოცნებობდნენ.

დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაშიაც მეტად მკრთალად, მაგრამ მაინც გამოჩენდა კონსერვატული სამართლებრივი ტრადიციე-

ბისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რაც გარევაულ შინაგან მისა ფიცას, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, გამოცემის მიზანი არა და თანამოფიცართა რიცხვის მაქსიმალურად შემცირების ტე-ლენტიასა და ამ საყითხში მოსამართლეთა მიხელულებისათვის ფარ-თ ასპარეზის დამობაში გამოიხატა.

ფეოდალური საპროცესო სამართლის პრინციპების მიხედვით, თანამოფიცარი ეს ის პირია, რომელიც მოფიცარის პროცენტის კე-თოლხარისხოვნებას, მის კეთილ სახელს ადასტურებს. რაც უფრო მეტი იქნებოდა თანამოფიცართა რიცხვი, სასამართლოც მით უფ-რო უზრუნველ და ნათლად ადგენდა კეშმარიტებას. რაც უფრო მეტი ციფრი თანამოფიცართა რიცხვი, მით უფრო ადგილი იყო სასამართ-ლოსათვის განაჩენის (გადაწყვეტილების) გამოტანა.

ვახტანგის სამართლის წიგნში მეტალად მოსჩანს იმ კანონ-მჭებლის ანტილი, რომელსაც ტრადიციის ფარგლებში ტრადიციის განადვერების დაწყება სურდა.

როდესაც ვინოდოლის სტატუტით კანონმდებელი მკვლელობა-ში ეკვმიტანილს 49 თანამოფიცარის წამოყენებას და მათ ფიცა-თოვლა ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრივ იმავე პირს ნებას იძ-ლევდა, თუ ის თანამოფიცართა საქმათ რიცხვს ვერ შეკრებდა, თა-თოვლე დაფიციცა იმდენჯერ, რამდენი თანამოფიცარიც მას აკლდა⁸⁹. მით ტრადიციის ფარგლებში ძველი სამართლებრივი პრინციპის კრიტიკა იწყებოდა.

იმავე მიმართულებით მოქმედებდა ვახტანგის სამართლის წიგ-ნის 144-ე მუხლის დანაწესი ქალაქში თანამოფიცართა ინსტიტუტის ამოკვეთის შესახებ. ხსენებულ მუხლში ნათევამია: „ქალაქში მო-ფიცარი ამოკვეთილი არის. რაგინდ დიდ საქმეს, სისხლსა თუ ბერს ვალსა და საქონელს, ან მოქალაქე გარეშე კაცს სწამობდეს და ან გარეშე კაცი მოქალაქეთ სწამობდეს, თავკაცაო აძესთ ფიცა, მოფი-ცარს ერთმანეთს ვერ შეუგდებენ“.

„ქალაქში“, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობის ღონე უფ-რო მაღლა იდგა, ვიდრე სოფელ ადგილებში, სადაც ვაჭრობა და მრეწველობა წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების და მოწ-მეთა ჩვენების გვერდით არ შეიძლებოდა თანამოფიცართა ინსტი-ტუტს შეტიკებოდა, ფიცი სასამართლო პროცესში უკან იხევდა. აქ

* Б. Д. Греков, Избранные труды, т. I, М., 1957, с. 97.



შეოლოდ „თავკაცი“ შეიძლებოდა დაკისრებოდათ ფიცი. მაგრამ რეალურად საეჭვოა, რომ ქალაქში მათ ფიცსაც დიდი ძალა ჰქონდა. პრინციპით უკისადმი სკეპტიკურად განწყობილ ქალაქებში ჩამოეტოვიც გომ ბლომად იყვნენ.

თანამოფიცართა რიცხვის შესახებ ცეოდალურ საქართველოში საინტერესო მასალას იძლევა დ. ბაქრაძის მიერ შეკრებილი გურიის პლიკანბეგთა გადაწყვეტილების ოქმები.

ამასთან დაკავშირებით დ. ბაქრაძე წერს: «Способы доказательства в Гурии, судя по протоколам мдиванбегов, заключались в показаниях под присягой или самых тяжущихся, или же свидетелей....». «Случаи присяги самых тяжущихся довольно редки. Присяга почти всегда возлагалась на свидетелей. Число их различно: от 1 до 8 и, смотря по важности тяжбы — 12, 24 и 48. Обыкновенно свидетели ставились, по постановлению суда, в большинстве случаев ответчиком из одного с ним околодка или из посторонних лиц...». «Бывало и то, что истец обязывался указать ответчику известное число добросовестных свидетелей; из них ответчик должен был выбрать столько-то и затем остальных поставить от себя»⁹⁰.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ აკად. დ. ბაქრაძე თავისი ნაშრომის ზემოხსენებულ აღილას მოწმება და თანამოფიცარს ერთმანეთში ურჩეს, ცხადი ხდება, რომ გურიაში XIX ს. დასაწყისში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეასაუკუნეებში, თანამოფიცართა რიცხვი ყოფილი 12, 24, 48. 12 და 24 თანამოფიცარი პლიკანბეგბულია აგრეთვე ბაგრატის სამართლის წიგნის ნაწყვეტში (XI ს.) და მაშასადამე, იგი თავისი წარმოშობით ძველი მოვლენა იყო.

ერთ-ერთ განწინებაში, რომელიც XIX ს. დასაწყისსა შედგენილი, ნათქვამია: „ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოიყვანოს ლევანმა ორმოცდა რვა კაცი, ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და მე შეაფიცოს“. გადაწყვეტილების სხვა წიგნში ნათქვამია: შეაფიცოს მოპასუხებ თორმეტი გლეხი თავის ხეობისა და ანუ ამავალი

⁹⁰ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, Спб., 1878, გვ. 297 და ა. შ.

სხვა კაცი; თორმეტი კაცი და თუ დასჭირდეს ნახევარი ამავალი
უფროსია⁹¹.

გურია თავისი განვითარების დონით XVIII საუკუნეში და XIX
საუკუნის დასაწყისშიც ქართლს ჩამორჩებოდა და ეს მოვლენა ნათ-
ლად გამოვლინდა თანამოფიცართა რიცხვის შესახებ ძველი, იღრე-
ფეოდალური ეპოქიდან მომდინარე დანაწესის შენარჩუნებაში.

ქართლში მხოლოდ გამონაცლისის სახით და ისიც მეტად მკრთა-
ლად თუ მოჩანს 12, 24, 48 და ა. შ. თანამოფიცარის სისტემის ანა-
რეფელი.

XVIII საუკუნის დასარულის აღმოსავლეთ საქართველოს
ურთერთ განჩინებაში, ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ შედგეხილში,
კითხულობთ: „ამ ჩვენის მეცნიერებისათვის ფირალმშვილებს
ფიცი დავადევით. ექვსი მოფიცარი შევაგდევით. სამი სამართლება
რატივა, სამი მოუცილებლად უნდა იშნოვნოს, ერთი ფირალმშვი-
ლის გამორჩეული უნდა იყოს და ორი მღვდლისაგან შეგდებულა“⁹².

მოწმესა, მოფიცარსა და თანამოფიცარზე ვახტანგის სამართ-
ლის წიგნის დადგენილებაში, აგრეთვე სასამართლო პრეტრიკაში
სენებულ საკითხთან მიმართებით ქართული სამართლის სინამდვი-
ლეში ელინდება ფორმალურ დამამტკიცებელ საბუთთა თეორიის
ნიშნები.

დამამტკიცებელ საბუთთა თეორიის სენებული სისტემის და-
მახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლის
დასკვნა სამართლში მიერმული პირის ბრალეულობისა და არაბრა-
ლეულობის შესახებ მოსამართლის პირადი, შიხაგანი რწმენის შე-
დეგი კი არ არის, არამედ კანონის მიერ წინასწარ დაწესებული და-
კვნაა ასევე წინასწარ მითითებული პირობების ბაზაზე. «Стремясь,
таким образом, устранить по возможности личное убеждение
судьи, которое может сложиться различно, а также субъектив-
ной оценки судьей доказательств, закон должен был исчерпывающим образом указать, каковы те условия, при которых
судья обязан был прийти к определенному выводу, иначе гово-

⁹¹ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре ვვ. 298.

⁹² საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სახელმ-
წიფო ისტორიული არქივი, ფ. 2484, საბ. № 5230.



ря, закон должен был заранее перечислить те доказательства, какие необходимы для вынесения того или иного приговора⁹³.

Этот вопрос возник в ходе обсуждения в суде по делу Григория Григорьевича Якубова, который был обвинен в совершении преступления в отношении сотрудника милиции Николая Смирнова. Судебное заседание проходило в г. Краснодаре. В ходе заседания выяснилось, что Смирнов был убит в результате незадачи при попытке ограбления якобы находившегося в квартире Якубова. Вину Якубова в убийстве отрицалось, но обвинение требовало вынесения приговора в виде смертной казни.

В своем выступлении на заседании суда Якубов заявил, что он не имеет никакого отношения к убийству Смирнова и что это было сделано наемными убийцами, которых он нанял для изъятия у него взятки. Якубов также утверждал, что у него были засильные страхи, связанные с тем, что он может быть обвинен в убийстве Смирнова. Он просил судья поставить подпись на своем документе, чтобы подтвердить факт своего обвинения. Судья поставил подпись, а Якубов остался на свободе.

Якубов был доставлен в суд для вынесения приговора. Судебное заседание началось с выступления прокурора, который обвинял Якубова в убийстве Смирнова и предлагал вынести ему смертный приговор. Якубов отвечал на вопросы прокурора и отрицал свою вину. После этого судья вынес приговор Якубову в виде смертной казни. Якубов был казнен на следующий день.

Судебное заседание было проведено в соответствии с действующим в то время законом о доказательствах и его эволюции. Харьков, 1925, стр. 2.

⁹³ М. М. Гродзинский, Учение о доказательствах и его эволюции. Харьков, 1925, стр. 2.

⁹⁴ А. Ф. Кони, Нравственные начала в уголовном процессе. Избранные произведения, М., 1950, гл. 21—22.

ცებს კი შეესაბამებოდა. მაგრამ ამავე დროს არც მოსამართობის ზნავან ჩქმენას და არც მით უმეტეს საქმის ნამდვილ მდგრადი მომართებელი არ გამოხატავდა. დავუბრუნდეთ ისევ საკითხს ცრუმოლუას ზოგი მისებ.

სინტერესობა, რა სასჯელი იყო დაწესებული ცრუ მოფიციანისათვის, მაგრამ ამ საკითხის შესახებ ვაძლენგის სამართლის წევნის 238-ე მუხლი ნათელ პასუხს არ იძლევა. იქ ნათქვამია: „რომ შეიტყოთ ტყუილად კაცს დაუტიცას, მოსამართლევ, რას უჰამ იმას?— ურია არის და მასთან პური არ იჭმება. მისმა მერწულებ დიდად გარდაახდევინოს, და რაზედაც ეფიცოს, პატრონის თავი მიეცეს, ამადრომე და თისა და პატრონის რისხი ეყოფა“.

სსენაბულ მცხელში კეტნმდებელი ცრუ ფიცს განიხილავს როგორც ჩელიგიურ ასევე სამართლებრივ დარღვევას და სასჯელსაც ორნაირს ადგებს: ჩელიგიურს და საეროს. ცრუმოფიცარს „გარდა ხდევინებს“ „მერწულე“, ე. ა. დაადგებს მას ჩელიგიურ სასჯელს. არდა ამისა, ცრუმოფიცარი ვალდებულია პატრონის „თავნი“ გადაუხადოს, რაზედაც ეფიცოს.

ჩვენამდე მოლწეულია საბუთი, სადაც ალნიშნულია ცრუ ფიცის შემთხვევა. საბუთი დათარიღებულია 1767 წლით²⁷.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბუთი მეტად სინტერესოა, ჩვენ მას თითქმის მოლიანად მოვიყვანთ. „ქ. ქ. სვეტის ცნოვლის მოხელენი რომ კრწანისის ბოლოს ბაღებს ჩიოდენ, სვეტის ცნოველის მამული არისო; იმ მამულის პატრონისი მოქალაქენი ამბობდნენ სახასო არისო და ღალა კელუხს არ იძლევენ. სამართალმა სვეტის ცხოველის მოხელეთ და კრწანელთ ფიცი დააღდა, წაღვნენ და მართებული ფიცით დაიფიცეს, რომ კრწანისისაც ყოფილიყოს და სვეტისცხოველის მამულიც იყოს. ძერმე ამ ფიცს რამდენსამე რვეს უკან ბაღის პატრონები ერთმანეთს წყალს შესცილებოდნენ და ჩიუბი მოსდიოდათ. იმ ჩიუბში გზირის შეიღებმა ერთი სიველა განიაჩინეს, ყოვლად სანატრელის საქართველოს კათოლიკოზის პატრიარქის დიახამიძე ევდეგმონისაგან ბოძებული, რომ ის მიწა თავისი ყმის კრწანელი კაცისათვის ეპოდებინა სივლითა და კრწანელსა კაცს ამ მოქალაქისათვის მიეყიდნა. რაღვან ეს სიველი გამოჩნდა, ახლა ნცხეობელნი ჩივიან. თუ ეს სიველი ჰქონდათ და იცოდენ, რომ სვეტის ცხოველის მამული იყო და ყოვლად სანატრელის კათოლიკო-

26 საქართველოს სსრ ხელნაწერთა ინსტიტუტი. № 2977.

სისაგან მიცემული სიგელი პქონდათ, რატომ სიგელი არ გამოაჩინდეს? ჩვენ ფიცი რადღა დაგვედებოდა, ამდენი სული ფიცი რადგვევდა და რას გვემართლებოდენ? მართალიც არის, თუ ეს სურათი რა სამართლში გვენახა. ფიცი აღარ დავადებდით. მის სიმაღლეში შემორჩენა ფიცი და ჩვენ მათ მონათ მოსამართლეთ დიდი სასჯელი და დიდს ჩას ძრობა მოგვეცა ამაზედ; აშ რადგან ერთ აზნაური შეიღია კრწინისის მოურავმა მგალობელმა ისეგმ კრწინისის მამასახლისმა და ოქვებების მეტმა ვლეხმა დაიყიცეს, დიდებულის მეფის ერველუს განაჩენი და სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლის წევნი ასე აცხადებს. რომ ტყუილათ დამფაცებელს სამართლისაგან უნდა ვარდახდეს. ჩვენ მღვივანებებმა ასე ვინვსაჯეთ: მისი სიმაღლე მეფე და ჩვენ მათი მონანი მოსამართლენი რომ ამდენს ტყუილს ლაპარაქს მიგვცეს და დიღდანს ვაგვსაჯეს, ეს მისმა სიმაღლემ როგორც ინებოს ისე მოჰკითხოსთ, და კრწინისის მოურავის. მამასახლისის და ვლეხო ტყუილათ დაფიცებისათვის საუპატიოდ ეს გარდისადონ.

კრწინისის მოურავს თაზიშვილს ისე მგალობელს უნდა დაუურეოს ტყუილად დაფიცებისათვის ცხრა თუმანი და ნახევარი, მასასახლისს უნდა დაუურეონ ექვსი მინანთული; თექვსმეტი ვლეხი კაცი რომ მიკუთღიან ამათ თვითოს სამი მინანთული უნდა მისცენ; თექვსმეტი ვლეხისა იქნება ოთხი თუმანი და რვა მახეთი. ერთობით ჯამი შეიქმნება ოთხმეტი თუმანი და ცხრა მანეთი; ეს თეორი იმათ უნდა ვადაიხადონ. რომელთაც ის სიველი პქონდათ და არ გამოაჩინეს ან რომელთაც იცოდენ იმ სივლის ჭრა და არა თქევს და თუ რომ იმათ სხვა ბალის პატრონებიცა დაიტანონ. რომ თქვენც იცოდით ამ სივლის ყოფა და ან სხვა რამ ასეთი სამუთი უყონ ამ დაფიცებაში სწორედ ამათს მსგავსად ვარეულიყვნეს, ისინიც უნდა სამართლანად მოუდგნენ მის რეგისად და თუ არა საკუთრად სივლის დამალავებს გარდახდება ეს თეორი; ამაში ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინი გააჩივებინე ისასულო ნახურის შეილი ზერაბ, რაღანაც დაფიცებაშიც შენ იყავ და მიაბარე.

ზემოთ მოტანილი ღოკუმენტი ნათლად წარმოვვიდგენს სამართლფლობელო ხასიათის დავებში ფიცისა და წერილობითი დამატებიცებელი საბუთის მიმართებას და ოთოოული მათვანის აღვიდს სასამართლო პროცესში. როდესაც უტყუარი წერილობითი დამატებიცებელი საბუთი არსებობდა, მაშინ სასამართლო ფიცი არ მიმართავდა. ამაზე მიუთითებს ზემომოტანილ ღოკუმენტში გამოთქმუ-

ლი მოსაზრება მოსამართლეებისა „თუ ეს სიგელი სამართალში გვინახა, ფიცს აღიარ დავადებდით“ კრწანისელებსა და მცხეობლებს ასახა

როგორც ზემოთ მოტანილი განჩინებიდან ჩანს, კრწანისელები უკავშირდება და მცხეობლებმა, შესაძლოა, უნდღიერ ცრუ ფიცს მიმართეს სადაც მიწათმფლებლების დასასაკუთრებლად. წერილობითი დოკუმენტის ასებობის შესახებ მათ არ იცოდნენ. საქართველოს კათალიკოზეს ევლემონ დიასამიდეს ის მიწა, რომელიც სასამართლოზე დავის საგანს შეადგინდა, „თავისის ყმის კრწანელი კაცისათვის ებობებინა სივლითა“ და კრწანელ კაცს კი თავისი მხრით მოქალაქისათვის მიეყიდნა.

სასამართლოს მითითებით 16-მა კრწანისელმა გლეხმა აზნაურება მოურაება ისე მგალობელმა და კრწანისის მამასახლისმა დაიყიდეს, რომ საღავო აღვილ-მამული მათ ეკუთვნით.

იმის შემდეგ კი, როდესაც კრწანისელებმა და მცხეობლებმა დაიფიცეს, აღმოჩნდა წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი, როგორც ნათლად მეტყველებდა, რომ ნამდვილად სადაც მიწა ერთ ერთ მოქალაქეს ეკუთვნოდა, ე. ი. კრწანისელების და მცხეობლების ფიცი ცრუ აღმოჩნდა. ამ უნებლივ ცრუ ფიცისათვის, რომელიც იმით იყო ამოწვეული, რომ სიგელის მფლობელებმა იგი არ გამოაჩინეს, შეურაცხყოფილი დარჩა როგორც სასამართლო ისე მოფარინი. ამიტომაცაა, რომ ორივე მათგანი ამასთან დაკავშირებით სიაღლის მფლობელთ სდებენ ბრალს. და სასამართლოს გადაწყვეტილებით სწორედ მათ უნდა გადაიხადონ ჯარიმა ცრუ ფიცისათვის.

ამ შემთხვევაში უნდა ვითიქროთ, რომ კანონმდებელი სიგლის პატრიონი უთანაბრებს ცრუმოფიცართ და მათ, როგორც ცრუ ფიცებს მიხეხთ, ცრუმოფიცრად თვლის. ჯარიმა უნდა გადაიხადონ როგორც სიგლის მფლობელებმა, აგრეთვე იმათაც, რომელთაც იცოდნენ სიგლის არსებობის შესახებ და იგი სასამართლოს დაუმატეს. თუ გლეხის ცრუდ დაფუკებისათვის საუპატიო მხოლოდ სამი მინალოუნი იყო, მამასახლისისა და მოურავის ცრუ დაფიცებისათვის (თითოეულის) იგი ცხრა თუმან ნახევარი იანგარიშა სასამართლომ.

მეორე ღოკუმენტიდან ჩანს, აგრეთვე, რომ ცრუ ფიცისათვის აღვილ-მამულს ართმევდნენ და სხვას აძლევდნენ. ერთ-ერთი ღოკუმენტიდან, რომელიც 1624 წლითაა დათარიღებული, ვვებულობთ, რომ ს. ძეგვი და ციხე დიდი მოუსახეს მცხეთას ცრუ ფიცისათვის.

ზემოხსენებულიდან ჩვენ ეხედავთ, რომ 1) წერილობით ღო-

კუმენტს უპირატესობა ეძლეოდა, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, ფიცის წინაშე საადგილმამულ დავის საქმეებში. ეს ჩინს იქმინებულ რომ წერილობითმა დოკუმენტმა გააბათილა ფიცი და მისი საყუჯაო დადგინა. 2) კონკრეტული შემთხვევების მიხედვით ცრუმოფიცრის დასჭის საქმეს ზოგჯერ მეფესაც მიანდობდენ. ცრუფიცისათვის და- ნაშაულის სუბიექტი შეიძლებოდა ფულადი ჯარიმითაც დასჭილიყო.

ისტორიის დიმიტრი ბაქრაძეს თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“ მოჟყავს მასათან დაკავშირებით ერთი საინტერესო სა- ბუთი — ესაა ვინმე დავითელა კეკელიძის სარჩელი მის სახლის კაცი იესელას მიმართ. სასამართლოზე დავითელამ განაცხადა, რომ პაპის გმირლიდან იესელამ ზედმეტი ნაწილი მიიტაცა. მანამდეც კი, — განავრმობდა მოსარჩელე, საქმე სასამართლომდე მივიდა და მან, მო- სარჩელე, სასამართლოზე მოპასუხეს უფლება მისცა დაეფიცნა 12 თანამოფერართან ერთად. საბუთის ტექსტი დ. ბაქრაძეს ჩასულად მოჟყავს. ექვეთ კი და ფიცი მახსნევინა) ვა چто последний вы- დелил ему половину всего общаго их имения»⁹⁵.

ქართულ იურიდიულ საბუთებში კიდევ შეიძლება დაიძებნოს ანალოგიური დოკუმენტები. მათ მეცნიერულ მიმოქმედებში შემო- ტანა სრული სახით და კომენტირება, აგრეთვე ამის ბაზაზე ზოგადი და სრული დასკვნის გაკეთება ჯერ მომავლის საქმეა⁹⁷.

ჩვენ ვნახეთ, რომ წერილობით დამამტკიცებელ საბუთს, თუ კი მისი ნამდვილობა ეჭვს აღარ იწვევდა, უპირატესობა ეძლეოდა ფი- ცის წინაშე, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, ყოველ შემთხვევა- ში, სადაც მიწათმფლობელობის საკითხებზე.

მაგრამ თუ წარმოვიდგენთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც თვით წერილობითი დამამტკიცებელი საბუთის ნამდვილობა იწვევ- და ეჭვს, მაშინ ცხადი გახდება ის გარემოება, თუ რაოდენ დიდმნი- შენელოვანი მტკიცებულობა იყო ფიცი.

ჩვენამდე მოლწეულია რამდენიმე დოკუმენტი, საიდანაც ირკვე- ვა, რომ სასამართლომ თვით წერილობით დამამტკიცებელ საბუთს

⁹⁵ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, Спб. 1878, стр. 346.

⁹⁷ ცრუ ფიცის და ცრუმოფიცრის შესახებ საერთოდ მიიღო R. Hirzel, Der Eid. Ein Beitrag zu seiner Geschichte, Leipzig, 1902, გვ. 75 და 2. 3.

შეხედა ეპეის თვალით და მისი ნამდვილობა-ნატყუარობის გამოყენება
ცებისათვის ფიცის გარდა სხვა საშუალება ვერ იძოვა. სასამართლო-
ლომ გადაწყვეტა, რომ წერილობითი საბუთის წარმატების შემდეგ მართვის
მხარემ თანამოფიცრებთან ერთად ასვენოს ხატი და ის წერილობი-
თი დამამტკიცებელი საბუთი („წიგნი“), რომლის ნამდვილობაც სა-
დაო და საექვო გახდა, და ფიცის საშუალებით დაადასტუროს. რომ
საბუთი ნატყუარი არ არის. ერთ-ერთი ასეთი ცნობა XVII საუკუნეს
ეცულვისი.

ეს გარემოება მიუთითებს რელიგიური სინიდისის და რელი-
გიური განწყობილების ღიღ ადგილზე ქართულ სასამართლო პრი-
სესში გვიანდებოდა ლურ ეპოქაში. განსაკუთრებით იგი ითქმის და-
სავლეთ საქართველოს მისამართით, რომელიც XVII—XVIII საუ-
კუნებში ქართლის სამეფოსთან შედარებით რამოდენადმე ჩიმოჩ-
ჩენილი ჩანს.

ჩვენამდე მოღწეულია ხონის ტაძრის ერთი საბუთი, საიდანაც
ჩანს, რომ სასამართლოზე მსჯელობის საგანი შეიძლებოდა ყოფი-
ლიყო მხარის განცხადება, რომ მას მოჰასუხის შეცვლით კიცი მო-
ცკვდა⁸⁸.

XIX საუკუნის I ნახევარში სამეგრელოს სამთავროში, როცა
წერილობითი დამამტკიცებელი საბუთის ნამდვილობაში სასამართ-
ლო დაეცედებოდა, ეს უკანასკნელი დოკუმენტის წარმომდგენ მხა-
რეს ავალებდა ფიცის საშუალებით დამტკიცებინა მისი კანონიე-
რება. ადგილ-მამულის შესახებ დაობდნენ ჩიქოვანი და მხედე. ამ
უკანასკნელმა თავისი საკუთრების კანონიერების დასამტკიცებლად
სასამართლოს წარუდგინა წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი.

სასამართლომ მხედის მოწინააღმდევე მხარესთან ერთად ეპევ
შეიტანა წერილობითი დამამტკიცებელი საბუთის ნამდვილობაში და
დაადგინარადგან ჩიქოვანი ჩივა მხედის წერილის სხევებრ მოქ-
მედებას და ჩუენცა მცირე იჭუნეულ შევიძენით წერილისა ამისთვის:
უნდა მხედემ დამტკიცოს თავისი წერილის დამტკიცება და ესრედ

88 ს. კაკაბეძე ვ. ისტორიული საბუთები, წ. IV, ტფ., 1913, გვ. 22.

89 ხონის ტაძრის ერთ-ერთ საბუთში 1760 წლის თარიღით ცემოსტულობით
„წერმეთ ამ პანტურიშვილის წყველით თვისტოლი აზნაურისშვილი მომიკვდა. მის
ბატონის ამას დავდევევ და შენს ტაძრის შემოხევეშა...“ და სხვა.

(იბ. ს. კაკაბეძე ვ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II,
ტფ., 1921, გვ. 12).

უნდა იქნეს: წამოაყენოს მხეიძემ ას ოცნ კაცი ამავალი აზნურა
და ასე შეატიცოს ჩიქოვანს¹⁹⁰.. და სხვა¹⁰⁰.

ის გარემობა, რომ წერილობითი დამამტკიცებელი საბოლოო წერილობის
ნამდვილობის დასადასტურებლად 120 თანამოფიცარის გამოუყავა
დასპირდა მხეიძეს, სასამართლოს იმით აქვს გამართლებული, რომ
სადაცი მიწა დიდი ოდენობისა და ლირებულებისა იყო.

ამრიგად: ცრუ ფიცს ნამდვილი წერილობითი ლოკუმენტი აბა-
თილებდა, ხოლო საეჭვო დოკუმენტს ფიცი სჭირდებოდა. რომ ნამ-
დვილობა შეენარჩუნებინა, ისეთი საეჭვო წერილობითი დამამტკი-
ცებელი საბუთი, რომლის ნამდვილობის დამტკიცებას პატრონი თა-
ნამოფიცრებით ვერ შესძლებდა, ყალბად ჩაითვლებოდა.

ის, რასაც ვახტანგის სამართლის წიგნი თამასუქის ნამდვილო-
ბის დასამტკიცებლად მოითხოვდა, ვრცელდებოდა საერთოდ წერი-
ლობით დამამტკიცებელ საბუთებზე. ვახტანგის სამართლის წიგნის
143-ე მუხლი აწესებს, რომ „ვალი რომ კაცს კაცისა ემართოს. მო-
ვიდოდეს და იჩივლოს, უნდა მოაღიც მოიყვანონ, თამასუქი უნდა
გაუსინჯონ, ბეჭედი, ქრონიკონი, დამწერი და მოწამე, ამიტომ რომე
ბევრს ტყუილათაც მოიგონებენ, იქნების. რომ გარდაეხადოს, თამა-
სუქი შერჩმოდეს, ან ერთის მიწეზით წარმოედაოს. ესევები იქნე-
ბის, მაგრამ ამს მოსამართლემ კარგა გულისყური უნდა გაავლოს
და კარგად გამოძებნოს, თუ გამოძებნით შეიტყო, ხომ კარგი იქნე-
ბის, და თუ ვერ შეიტყო — ან მოწმით, ან ფიცით“.

ცრუ ფიცს ქვეშ იმდროინდელ სამართლში იგულისხმებოდა
ფიცის ქვეშ განვებ ცრუ ჩვენების მიცემა ეკლესიაში ან სხვა
კანონით გათვალისწინებულ ადგილას თანამდებობის პირთა და მოწ-
მეთა თანდასწრებით.

შეინიშნება, რომ განვითარების დაბალ საფუძურზე მდგომი სა-
მართლის სისტემა ცრუ ფიცს, როგორც დანაშაულს არ იყნობს.
ცრუ ფიცს მიცემა იქ წარმოუდგენელ რამედ ითვლებოდა. ცრუ-
მოფიცარის დასჭა, ან უფრო სწორად ცრუმტფიცარისა და მთელი
მისი გვარის დასჭა ლვოაების საქმედ იყო მიჩნეული. ცნობილია,
რომ რაების ადამობრივი სამართლის ნორმათა შორის, როგორც ეს

190 საქ. სახულმწიფო შეტევების ხელნაწერი A—1767 .ვ. 24. სახელო წარმო-
ადგენს ნიკოლოზ პირველი დადიანისა და შეივანევის თავად როსტომ ჩიქოვანის
განკინებას საადგილმამულო დავის საკითხში.

თავის ღროშე მ. კოვალევსკიმ შენიშნა, ცრუ ფიცი, როგორც დაა-
შაული, არც ის სენინებოდა.

ამასთან დაკავშირებით მ. კოვალევსკი წერდა:  პირველი ჩატარება
უცნობია ცრუ ფიცისათვის სასჯელი; მაგრამ არა იმიტომ, რომ ისი-
ნი მაღალ შეფასებას არ იძლევენ ამ უკანასკნელის სიწმინდეს, არა-
მედ იმიტომ რომ მის სანქციას წარმოადგენს რაღაც უფრო საშინე-
ლი, ვიდრე ყოველგვარი პირადი და ქონებრივი ზიანი, რაც კი შეიძ-
ლება მიუენებული იქნას სასჯელით. ცრუ ფიცის ოსები უკავშირებენ
წარმოდგენას მთელი გვარის ამოწყვეტის, საიქიოში წინაპრების
ტანხვის და რიგი უბედურების შესახებ, რაც უნდა მოუვიდეთ რო-
გორც თვით მოფიცარს ასევე მის ახლობლებს.¹⁰¹

რომაული სამართალი არც უძველესი პერიოდისა და არც ქრი-
სტიანული ხანისა ცრუ ფიცის, როგორც დამოუკიდებელ და-
ნაშაულს არც იცნობდა. რომაული სამართალი ცრუ ფიცისათვის
განსაკუთრებულ და გამონაკლის შემთხვევებში სჭიდა ხოლმე ადა-
მიანებს. მაგ. თუ ვინმე იმპერატორის მფარველი გვით (pergenium
princeps) ქონებრივი გამორჩენის მიხნით ტუუილად იფიცივდა, ასეთ
პირებს სჭიდნენ.

სხვ სხვა პიზიციებზე იდგა ცრუ ფიცის, როგორც დანაშაუ-
ლის, შეფასების საკითხში, კანონიკური სამართალი, კანონიკური სა-
მართლის დოქტრინის მიხედვით უმთავრეს მომენტად ცრუ ფიცი,
როგორც დანაშაულში, წინ იქნა წამოწეული რელიგიურ-სუბიექტუ-
რი მომენტი და აქტუან გამომდინარე მასში ღვთაების შეურაცხო-
ფასა და უპატივემლობას ხედავდნენ.

ცრუ ფიცისათვის გვიანფეოდალური სამართლის ისეთი ძეგლი,
როგორიც „კაროლინა“ იყო, დამნაშავისათვის თითების მოჭრასა და
პატივის ახდას ითვალისწინებდა.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის დასავლეთ ევროპის იური-
დიუს ლიტერატურაში კაცობრიობის საერთო პროგრესის ბაზაზე
შესაძლებელი გახდა რელიგიის და მორალის სამართლისაგან გამიჯ-
ვნის საკითხის რეალურად დასმა. თანდათანობით კანონმდებლობაც
დაადგა ხსნებული თვალსაზრისის განიარების გზას. ცრუ ფიცი,
როგორც დანაშაულში, კანონმდებელი ამ ეპოქიდან მოყოლებული

¹⁰¹ M. Kovalevskij, Современный обычай и древний закон, т. II.
M., 1886, გვ. 133.

ხედავს კერძო პირთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ანტირელიგიურ მომენტს ხსენებულ დანაშაულის მიმართულ უზრადლებას არ უთმობს.

ცნობილი იურისტი — მეცნიერი ა. ფოიერბახი ცრუ ფიცში ხედავს, არც მეტი არც ნაკლები, მოტყუების კვალიფიცირებულ სახეს, როგორც ვხედავთ, ცნობილი ფილოსოფოს-მატერიალისტის — ლუდვიგ ფოიერბახის მამას, ანსელმს, ცრუ ფიცის შესახებ რელიგიური თვალსაზრისი სავსებით დაძლეული აქვს.

თუ ავსტრიის კანონმდებლობა იოსებ II-ის მეფობამდე ცრუ ფიცს რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიგში ათავსებდა, ხსენებული მინარქის მეფობის დროიდან მას ამორიცხავს ანტირელიგიურ დანაშაულებათა სიიდან.

რუსული სამართალი ცრუ ფიცში როგორც დანაშაულობაში, უპირატესად რელიგიურ მომენტს აქცევდა უზრადლებას და მას სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად თვლიდა.

რუსული სამართლის ძეგლებიდან დამახასიათებელია ივანე IV სამართლის წიგნის მხრით ის თანმიმდევრულად რელიგიური თვალსაზრისი, რაც მას ახასიათებდა ცრუ ფიცის შეფასებაში. ხსენებული სამართლის წიგნისათვის დამატებულ მუხლებში დაწესებული იყო, რომ თუ ტყვე რუსმა თათარს მისცეს დაპირებითი ფიცი არ გაქცევის შესახებ და იგი დაარღვიოს, ამისათვის იგი დაისჯებოდა ათი წლით ეკლესიიდან განკვეთით და მძიმე ეპიტიმიით.

მუსულმანური სამართალი უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით უცხეროდა ცრუ ფიცს. მუსულმანს უფლება პქონდა მიემართა ცრუ ფიცისათვის, თუ კი იგი ამ საშუალებით თავისი თანამორჩმუნის დახსნას შესძლებდა¹⁰².

საერთოდ მუსულმანური სამართალი ცრუ ფიცისათვის ისე სასტიკად არ დევნიდა დამნაშავეს, როგორც შუასაუკუნეების ქრისტიანულ-ფეოდალური ქვეყნების სამართლის წიგნები. საკრისი იყო, რომ დამნაშავეს უბრალოდ მოენანიებინა ცრუ ფიცის მიცემა და მას არავითარი შიში არ ექნებოდა არც სააქაოში და არც საიქიმი რაიმე სასტიკი სასჯელისა.

მაგრამ, რამოდენჯერმე განმეორებული შეპირებითი ხასიათის ფიცის დარღვევებს მუსულმანური სამართალიც მკაცრად უყურებდა.

¹⁰² Н. Торнай, Изложение падач мусульманского законоведения, Спб., 1850, стр. 369..

შეი ზღვისპირეთის ჩერქეზებში ყურანის მოძღვრების თანახმად დაწესებული იყო (რომელიც მთელი მცსულმანური სახელმწიფო მართლის თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა), რომ ცურული საკითხე სამჯერ შეფიცავდა და თავის ფიცს არ შეასრულებდა სასტიკად უნდა დასჯილიყო. მაგ., თუ ვინმე სამჯერ ზედინედ იძლოდა ფიცს, რომ არ იქურდებდა შემდეგში, მაგრამ თავის ფიცს არღვევდა და ქურდობას ისევ განაგრძობდა, მას ტაბეზედ — გამოუსწორებულ და აშეარა ქურდად თვლიდნენ და კლავდნენ¹⁰³.

ფეოდალური სამართლის წიგნები ჩვეულებრივ არ ანსხვავებდნენ ცრუ ფიცს ცრუ მოწმეობისაგან და ცრუ მოფიცარსა და ცრუ მოწმეს ერთ სიბრტყეზე განიხილავდნენ. მაგალითად, რუსული სამართლის ისტორიაში მანლოდ 1845 წლის დებულება სასჯელთა შესახებ ანსხვავებს ცრუ ფიცს ცრუ მოწმეობისაგან. ხსენებულმა დებულებამ სასჯელთა შესახებ ცრუ ფიცი მოათავსა მეორე განკოტილებაში, რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჭგულში, ხოლო ცრუმოწმეობა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მართებულობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჭგულში მოათავსა.

ცრუმოწმეობა არის მოწმის მიერ წინასწარ განსრის არასწორად გაღმოცემა იმ გარემოებებისა, რომლის შესახებ ის მოწოდებულია ჩვენება მისცეს.

მ დანაშაულს რომის სამართალი იცნობდა უკვე XII დაფის კანონების ეპოქაში. უფრო გვიან სულას დროიდან შეიქმნა განსაზღვრებათა გთვლი სისტემა ხსენებულ საკითხეზე. ცრუ ჩვენების მიცემას რომის სამართალი მ დროს მეტად სასტიკად სჭიდა. მაგ. კორნელის კანონი (*lex Cornelia testamentaria nummaria*) განიხილავდა ცრუ ფიცს, როგორც სიყალბეს თვით დამამტკიცებელ საბუთებში და ამ დანაშაულისთვის მძიმე სასჯელს — სამშობლოდან გამევებას აწესებდა (aque et ignis interdictio).

XVIII საუკუნეში წამოყენებულ იქნა თეორია, რომ ცრუ მოწმე არღვევს უფლებას კეშმარიტებაზე (Recht auf Wahrheit), რომელმაც ჩქარა დაუთმო გზა სხვა თეორიას, რომლის მიხედვითაც ხსენებული დანაშაულის ჩადენით პირი არღვევდა საზოგადოებრივ აწმენასა და ნდობას.

¹⁰³ Ф. И. Леонтиевич, Адаты кавказских горцев, в. 1, Одесса, 1882, стр. 131.


ფიცისათვის მეტი სიმტკიცის მისაცემად ჩვეულებრივ მოფისარი ცდილობს თავის ფიცში ჩააქსოვოს რაც შეიძლება ფიცმანიარები ვის მეტად ძვირფასი ობიექტი და მითი დაიფიცოს (ლმერთი, შეკვებითი მოწვევა რგახი, შვილი, დედა და სხვა).

გოვთეს „ფაუსტში“ მეფისტოფელი მისთვის უმაღლეს ღირებულების მქონე და უძვირფასესი რამით — ჭოჭონეობით და სიყვარულით იფიცავს. მეფისტოფელი ეუბნება ფაუსტს:

„ვფიცავ სიყვარულს და თვით ჭოჭონებს!

დავიციცავდი, რომ შემეძლოს კიდევ უარეს!“¹⁰⁴

მეფისტოფელი ფაუსტს შეპარდება, რომ გრეთხენის გულს მოავებინებს, მაგრამ ამ უკანასკნელის მიღწევის გზაზე საჭირო ხდება, რომ ცრუმოშმობა მიუტანონ გრეთხენის მეზობელს მართას იშის შესახებ, რომ მისი ქმარი — შვერდლეინი გარდაიცვალა და განისვენებს პადუაში წმინდა სავანეს. ფაუსტს ეთაკილება ასეთი უსინდისო საშუალებით მიზნის მიღწევა; ამასთან დაკავშირებით მეფისტოფელი ეუბნება ფაუსტს:

„ოჟ, გულუბრუვილო და მორწმუნე ადამიანო!

ნუ თუ პირველად აწ გიხდებათ ყალბათ მოწმობა?

ნუ თუ არა დროს სრული რწმენით და ამაუ გულით

არ მიგიციათ განმარტება და ყალბი ცნობა

ლმერთის, ან იმის, რაც რომ ირგვლივ ქვეყნად მოძრაობს,

და რაც ყოველთვის ადამიანს გულ-მკერდში ზღვაობს?

თუ რომ თქვენ გულში ჩაიხედავთ, უნდა გამოტყდეთ,

რომ თქვენ იმდენი ცნობები გაქვთ ყველა ამისი,

ვით შვერდლეინის განსვენების და დაკრძალვისა.

ფაუსტი

მუდამ სოფისტი და ცრუ იყავი,
და მომავალშიც ასე დარჩები.

¹⁰⁴ ადგილები ქართულად გოვთეს „ფაუსტიდან“ აქ და შემდგომაც მოტანილი იქნება. დ. თნიაშვილის თარგმანის მიხედვით. იხ. ი. გოვერე, „ფაუსტი“, ტურისი, 1927.

მეფისტოფელი
 დიახ, მოვიყვან სხვა მაგალითსაც.
 აღმართ შენ ხვალვე პატიოსნურად
 შეჰვიცავ გრეთხენს წრფელ სიყვარულსა
 და გააბრიყვებ იმ უბედურსა!

ფაუსტი

შევჭიცავ გულით!

მეფისტოფელი

კარგი, კეთილი;
 ნუ თუ გულწრფელად პფიცავ აგრეთვე
 უკვდავ სიყვარულს და ერთგულებას,
 ყოვლად შემძლებელ და მაღალ ტრფობას!“

„ფაუსტის“ ზემოთ მოტანილი ოდვილიდან მეფისტოფელის სიტყვების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანი მართლაც ხშირად დარწმუნებული იყო რა ამაში, რომ კეშმარიტებას აჩვენებდა და ფიცავდა, სინამდვილეში შორს იყო კეშმარიტებისაგან. მართლაც, ადამიანს, მეფისტოფელის არ იყოს, მისდა უნებლიერ, დარწმუნებულს იმაში, რომ მისი პირით სრულ სიმართლეს ღალადებს, მიუტია „ყალბი მოწმობა თავისი რწმენისა და გულუბრყვილობის შედეგად“. გოთეს მეფისტოფელი სრულიად მართლია იმაში, რომ ადამიანს ხშირად „სრული რწმენით და ამაყი გულით“ მიუტია „განმარტება და ყალბი ცნობა“ შესახებ „ღმერთის ან იმის, რაც რომ ირგვლივ ქვეყნად მოძრაობს“. მაგრამ მეფისტოფელი სოფისტობს იმ შემთხვევაში, როდესაც ის ერთ სიბრტყეზე განხილავს უნებლიერ, ადამიანის ცოდნის დაბალი დონით გამოწვეულ ყალბ განმარტებას სამყაროსა და ღმერთის შესახებ და წინასწარი განზრახვით ცრუ განმარტების მიუცმას ყოველდღიური ცხოვრების რომელიმე კერძო ფაქტის შესახებ, რომლის მიმართაც ადამიანს სრული შესაძლებლობა აქვს კეშმარიტად იმსჯელოს. სულ სხვა ხასიათისაა ვთქვათ, ფაუსტის გულწრფელი და უნებლიერ მცდარ შესხედულებასთან დაკავშირებული ფიცი სამყაროს და ღმერთის შესა-



ხებ და მისი წინასწარგანზრდული ცრუ ჩვენება შვერდლერნის
სიყვდილის შესახებ.

სასამართლოში ჩვეულებრივ აინტერესებთ არომელაშვ გაქტჯირთავა
ცხოვრების ფაქტი ან საერთოდ ისეთი ფაქტი, რომლის შესახებაც
აღამიანს ცეშმარიტი ჩვენების მიცემის შესაძლებლობა აქვს. ყო-
ვალგვარი უნებლივ ცრუ ჩვენება და ცრუ ფიცი მოწმესა და მო-
ფიცარს შესაბამისად არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს.

ჩევნ მიერ ზემოთ მოტანილ 1767 წლის განჩინების შემთხვე-
ვაში მოსამართლეებმა სწორედ მოფიცარ-თანამოფიცართა მხრით
ცრუ ფიცის უნებლივთობა გაითვალისწინეს და დასაჯება არა ის პი-
რები, რომლებმაც ობიექტები და ცრუ ფიცი წარმოსოდეს,
ამედ ის სუბიექტები, რომლებიც ხსენებული ცრუ ფიცის ნამდ-
ვილი მიზეზი იყვნენ.

გამონაკლისის სახით ცრუ ფიცის შემთხვევები არა ცენტ-
რულალურ საქართველოში ნადვილად იყო. ეს დოკუმენტალურ-
დაც დასტურდება. ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ ერთ საინტე-
რესო საბუთს, რომელიც 1651 წლითაა დათარილებული და წარ-
მოადგენს მცხეთის სიგელს. პროფ. ს. კაკაბაძეს იგი გამოქვეყნებუ-
ლი აქვს თავისი ისტორიული საბუთების IV წიგნში.

ა. ჩევნ ქრისტეს ლოისა მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქარ-
თველოს დიდმან მამათ მთავარმა, ქართლისა კუმა, პატრიარქმან
პატრიონმან ქრისტეფორე, ესე უკუნისამდე ვამთა ვასთავებელი
გადაწყვეტილების წიგნი და პირი დავდევით ასრუ რომე ნინო წმი-
დელნი და თვალელნი საკოქბის ჭალაზედ ცილობდენ და ბრძანები-
თა როსტომ ნეფისათა შემოვიყარეთ ერთობილნი უფროსნი მცხე-
თის შეილნი და მოვედით თვალზედ და შემოვიყარეთ ნინო წმიდე-
ლი მაყას შეილი ზაქარია და ერთობილნი წმინდის ნინოს ყმანი და
გავასამართლეთ. და მას წინათაც მრავალი შულლი ყარყაში ყოფი-
ლიყო და შევაგდევით თვალელთ ფიცი და შემოიყარენ ერთობილ-
ნი თვალელნი და ასევენეს ხატი წმინდის ნინოს და წავვერდევნ
საქოქბის ჭალას, და ჭუებო საცილობდელი იყო კარგა გზას ქვემოთ.
და დავდევით საცილოელს ალაგზედა, სადამდისაც ცილობდენ, და
დაიფიცა გულბათის შეილმა და ერთობილთ თვალელთა, და ამოია-
რეს, და დაიფიცა დრეიძემ ბეჭედიამა. და მივედით შუაზედა და
დაიფიცა ეთიბერას შეილმა: და მოვედით ნაწისქუალევთანა და ორ-
შა ქურუსულმა; და ამოვედით თავსა ქევის პირსა და დაიფიცეს ერ-
თობილთ თვალელთა. და სულ საქოქბის ჭალა ასრე გამოიფიცეს,

რომე შევიდრათ და შეუცილებლათ სვეტის ცხოვლისა და თავის
კური იყოს, და ასრე გავისამართლეთ და გარდავსწავლის მუზეუმის
ცერენ ჩინონტენდელი და ვერა მისი ყმა ვერ შემოეცილის პლატფორმაზე
ჭიათახა, რომელიც ჩვენ გაგვესამართლებინოს. აწე ვინცა და რამან-
ცა კაცმან ანუ მეფემან ანუ დედოფალმან ანუ მღლდელთ მოივარმან
ეს ჩვენგან გასამძლრული და გაფიცული საქმე მოშალოს, რისხავ-
ბსცა ღაი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისა და ქუეყნისანი, კორ-
ციელნი და უსირცონი¹⁰⁵ და სხ. საბუთის ბოლოს, ჩვეულებრივი
წესისშებრ მოცემულია წეველის რთული და გრძელი ფორმულა
იმ პირთა მისამართით, ვინც სასამართლოს მიერ მიღებული გაღიცა-
ვატილების დარღვევას შეეცდებოდა და აგრეთვე მოწმეები.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი — მცხეთის 1651 წლის საბუთი —
„გარდაწყვეტილობის წიგნი“ მრავალინრივ არის საყურადღებო. აქ
მასხულია მოსახლეობისა და ეკლესიის ინტერესთა შეჯიხება აგრა-
რულ საკითხებში, სასტიკი ბრძოლა მიწათმფლობელობისათვის,
აღგილ-მამულისათვის, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომად-
გეხელთა შორის. ფეოდალური საზოგადოების სინამდვილეში მიწა
უმოაცემები საწარმოო საშეალებაა; იგი წარმომადგენს, კ. მარქისის
სიტყვებით რომ ვთქვათ, აღამიანის „არაორგანულ სხეულს“. გა-
საცემა, რომ ძნელი იყო საშუალების მონახვა, რომელსაც შეიძლე-
ბოდა მხარეები შეეჩერებინა მიწისათვის ბრძოლის გზაზე. ზოგჯერ
რელიგიური განწყობილება და საიქიონი სასჯელის შიში მოფიცარ
შხარეს აკვებდა ცრუ ფიცისაგან, მაგრამ არც ისე იმუიათი ყოფილ
შემთხვევები, როცა ცრუ ფიცს მიმართავენ აღგილ-მამულის ხელში
ნავდებისათვის.

ზემოთ მოტანილი საბუთი მის ერთ-ერთ საინტერესო იღუსატრა-
ციას წარმოადგენს. ფიცი, რომელიც 1651 წლის „გადაწყვეტილო-
ბის“ წიგნშია აღწერილი, სინამდვილეში, როგორც ეს სხვა დამატე-
ბითი საბუთებიდან იქვევა, ცრუ ფიცს წარმოადგენდა. თავის დრო-
ზე ამ ფიცს სავსებით დაურწმუნებია მოსამართლები და მათ ჭალა
ცრუმოფიცარ თვალელთაოვის მიუკუთვნებით და კათალიკოსი
ქრისტეფორე საშინელ ყწევლა-კრულვას უთვლის გადაწყვეტილე-
ბის დამრღვევთ.

მას შემდეგ, რაც მხარემ ფიცით დაინარჩუნა სადაც აღგილ-მა-
მული, შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ისეთი ნამდვილი წერილობითი

105 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები. წ. IV, ტფილის, 1913, გვ. 33—34.

დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ფიცს არარად ხდიდა. ამ შემთხვევაში ტყუილი ფიცის მამხილებლად ვამოღიოდა წერილობრივი დამამტკიცებელი საბუთი და ამ უკანასკნელის შინაარსის თანამდებობა გადაწყდებოდა სამიწაომფლობელო დავა.

რა თქმა უნდა, ფიცის წინაშე უპირატესობა ეძლეოდა წერილობით შტეკიცებას, მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელი არ არსებობდა, მაშინ საადგილმამულო დავის გადაწყვეტის უკელაზე გავრცელებული საშუალება იყო ფიცი და ამ უკანასკნელის მიხედვით წყდებოდა დავაც. ჩვენამდე საქმაოდ მრავალრიცხოვეანი საბუთებია მოღწეული, საიდანაც ჩანს, რომ საადგილმამულო მფლობელობის ორგვლივ დავის შემთხვევებში, როდესაც სახეზე აზ იყო წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი, ფიცი ხშირ შემთხვევებში ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი და მაშასადამე, სასამართლო გადაწყვეტილების სურავატიც კი იყო.

1701 წლით დათარილებულ გარესჯის ნათლისმცემლის მონასტრის სიგველში ვკითხულობთ: „გარიბშვილმან ფიცი დაიდა და თუ კურ დაიფიცა იმანაც უნდა კელი აღის საცილობელს მიწვდედა“¹⁰⁶. ანალოგიური დოკუმენტების მოტანა მრავლად შეიძლება.

მავალითი იმისა, როცა სოფლების ინტერესები აღვილ-მამულის მფლობელობის საყითხოა ირგვლივ ეჭახებოდა ეკლესიის ინტერესებს და სოფლელები ტყუილი ფიცით ცდილობენ მიწის შენარჩუნებას, საბუთებში უფრო გვიანაც არის აღნიშნული. მაგ. XVIII საუკუნეში, საბა ნინოწმინდელის დროს სოფელი ედავება ფალესიას გამო: „კდ მრავალმთის, ბერთ უბნისაოვის შეწირულ იყო ჩითუხას ქვეი და ყაზანიანი, თავისის სახისოს ნაზრევითა, ხოდაბუნებითა და საკნაებითა ძუელთა მეფეთაგან. და ამ შემოწირულობის გუგარი მის მონასტრისა უოვლად ღირსსა წმიდასა გამასა ითანე მანგლელს რუსეთს გაპყოლოდა, და ბერთუბანს სოჭელში მდგომინი მონასტრებს ამ მამულებს ეცილებოდნენ. იგი ძველი შემოწირულობის გუგარი რუსეთით მე მომივიდა, მეფესთან ვილაბარავეთ, ბერთუბნი გაცრუვდნენ, და ეს მამულები მონასტერს დარჩა“¹⁰⁷.

106 ს. კავაბაძე გ. ისტორიელი საბუთები, წ. V, ტუ., 1913, გვ. 4.

107 ს. ბარნაველი, საბა ტუსისშეიღის „ანდერძისებრი ლუწანი“, ქართული ხელაკების ისტორიის ინსტრუტის შრომები, ტ. 3, 1950, გვ. 223.

სოფლელები, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, რომ ანტიტელი-
გიურად არ უნდა ყოფილიყვნენ საერთოდ განწყობილი არაუ-
მე მათ მარტინიალურ ინტერესებს შეეხებოდა ზოგჯერ ჰუთიანიასა
ბობდნენ ტრუ პრეტენზიასა და ცრუ ფიცხე.

ჩვენამდე მოღწეულია ერთი საინტერესო სიგელი მე-17 საუკუ-
ნიდან, დათარიღებული 1654 წლით.

საბუთებში ვერთხულობთ: „ადიდნეს ლთნ უძლეველი მეფეთ
ბეჭე ჩეუნი პატრიონი როსტომ. ბრძანებითა შათოთა ჩეუნ დავითიშვი-
ლი ბოქაულთ უხუცესი ელიზბარ მოვედით, ნაქიდურელნი და სვე-
ტის ცხოველის ყმანი თავ მგურგალენი მიწებზედ ცილობდენ. მოვე-
დით და მოვასხით კეობის ძახსოვარნი, გავსინჯეთ სამძლურები, რა-
ზედაც ცილობდენ. მახსოვრის საქმითა მოგუარებულის საქმითა გა-
დაუწყვიტეთ. სვეტის ცხოვლის ყმანი — გედაონიშვილი პაპუნა,
ძმის წული მისი ქაიხოსრო, მაღალაშვილი გედაონ, დეკანოზი ქაი-
ხოსრო, სხეანი აზნაურშვილი და მსახურნი მოვიდნენ, ჯვარი და
ხატი მოიტანეს და ფუტზედ იდგნენ. ჩვენ არც სუეტის ცხოვლისა
ყმანი ვაფიცეთ და არც ნაქიდურელნი. და მოგუარებულის საქმით
გადაუწყვიტეთ თავს კურიცხოველის ბოლოს რომ აბაშის შვილის ნა-
ზურევი რომ არის, იმის ბოლოს რასაც ქუაყრილი გაიტანს, ქვემ
ქალაქის შარა რომ გაივლის იქამდი. იმის იქით ღოლოვნის სამძლე-
რამდი, იმას ქათი კვირაცხოვლისკენ ნაქიდურელთ დარჩა და თამ-
გურგუალელთ ქელი ნუ აქუსთ და იმას იქით სვეტს ცხოველს დარ-
ჩა და ნაკრდურელთ ქელი ნუ აქუსთ და არც რას ემართლებიან, ჩად-
გან მახსოვარები იმავ ძეელს სამძლუაზედ გაგუაძლუნენ და სამ-
ძლუარი გუიჩვენეს. ჩეუნც ასრე შევატვევით, რომ ძეელი სამძლუა-
რიც ის იყო და ჩეუნც იმაზედ გარდაუწყვიტეთ“¹⁰⁸.

პირველყოველისა უნდა შევნიშნოთ, რომ სენებული სიგელი
ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენამდე მთელი ხუთი ათეული
წლით ადრე დაწერილი და ამდენად საინტერესოა, თუ როგორ
წყდებოდა სამიწათმფლობელო დავა იმ შემთხვევაში, როდესაც მხა-
რე საქმის ფიცით გადაწყვეტას მოითხოვდა იმ ღრის, როდესაც სა-
ხეზე არ იყო სადაც ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი და-
მამტკიცებელი საბუთი. ტყუილი ფიცის შიში და გულვება, როგორც
ჩანს, საქმით ძლიერი ყოფილა და სასამართლოც საქმეს ფიცის
გარეშე წყვეტს.

108 ს. კაკაბაძე, ისტორიული სამუთები, წ. IV, თბ., 1913, გვ. 35.



დოკუმენტის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ჩვენ არც სულიერ უნდა ცხოვლის ყმანი ვაფიცეთ და არც ნაკიდურელნი-ო“ თითქმის გრამატიკული უნდა მიუთითებდეს, რომ სასამართლოს საქმის გარემოებისდა მიხედვით როგორც მოსარჩლის ისე მოპასუხის დაფიცება უნდა შესძლებოდა, რაც სამიწათმფლობელო დავისთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის წიგნში არა ჩანს.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ სასამართლო ფიცის როგორც დამამტკიცებელი საბუთის, წინაშე უპირატესობის აძლევს მოწმეთა ჩვენებას, „მახსოვარების“ ჩვენებას. ცრუ ფიცის პრაქტიკაში შემოსვლასთან უშუალო მიზეზობრივ კავშირშია ფიცის. როგორც დამამტკიცებელი საბუთის, სახელის გატეხა და ამასთან დაკავშირებით მოწმისა და წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების როლის ზრდა სასამართლო პროცესში.

* * *

როგორც სათანადო ადგილას საუბარი გვქონდა. უკვე XII საუკუნის დოკუმენტი, ბაგრატ IV-ის დროს შედგენილი ოპიზის სიგველი მიუთითებს ხსენებული ეპოქის საქართველოში წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების დიდ მნიშვნელობასა და გავრცელებულობაზე. ოვით ოპიზის სიგველიდან ირკვევა, რომ წერილობითი მტკიცებულებანი ყოველ შემთხვევაში სამიწათმფლობელო საკითხებზე, გაცილებით აღრე ყოფილა ცნობილი საქართველოში.

უფრო გვიან XII—XIII საუკუნეებში წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები დიდ როლს ასრულებდნენ სამიწათმფლობელო და სხვა დავების მოწესრიგებისას. XIV—XVIII საუკუნეების მანძილზე, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული დაცემის ეპოქაში, როცა უკულტურო დამპყრობლები მოსვერნებას არ აძლევდნენ საქართველოს, წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების როლი შესუსტდა, მაგრამ სავსებით არ გამქრალა და უმნიშვნელო არ ყოფილა. გვიან-უკოდალური ეპოქის საქართველოდან ჩვენამდე საკმაოდ არის მოღწეული დოკუმენტები, რომლითაც შეიძლება ზემოხსენებული დებულების დამტკიცება.

პირებულოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-6 მუხლი, დამამტკიცებელ საბუთთა შორის, რომლითაც „თავი იმართლების“, წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს არ

ის სენიებს. ქართულა სინამდვილისათვის ან ვახტანგ VI-ის გარემოები ან ამ ეპოქაში, ან ცოტა უფრო გვიან წერილობითი დამძღვანებელი საბუთები რომ უცხო ყოფილიყო, მაშინ დამამტკიცებელ საბუთია შორის წერილობითი მტკიცებულების მოუხსნებლობა ჩვენთვის სავსებით გასაგები იქნებოდა. თვით ვახტანგის სამართლის მოელი წიგნის ყურადღებით გადათვალიერებისას ირკვევა, რომ კანონმდებელი იცნობს წერილობით დამძმტკიცებელ საბუთებს და გარკვეულ მნიშვნელობასაც ანიჭებს მათ. ამიტომ უთუოდ მართალია ის ასრი, რომ ვახტანგის სამართლის დებულების „... ნორმათა შესწავლის საფუძველზე ჟევიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ წერილობითი საბუთებიც სასამართლო წარმოების დროს გარკვეულ როლს თამაშობდენ“¹⁰⁹. ეს გარემოება სრულიად ბუნებრივად უძლია ჩაითვალოს. საგარეო ურთიერთობის განვითარება, სახელმწიფოებრიობის განვითარების დონე, ვალდებულებითი ურთიერთობის ხელში მოქმედი რთული სამართლებრივი ინსტიტუტები წერილობითი საბუთების მნიშვნელობაზე მიუთითებენ. ხმარებაში იყო თამასუქი, რომელიც სამოქალაქო ზასიათის დავებში, სარჩელის წარდგნის დროს, პროცესუალურ აქტებში პოულობდა გამოხატულებას. ჩვენამდე შემონახულია ვახტანგის სამართლის წიგნის თანამდებობი საქმაოდ მრავალრიცხვანი იურიდიული აქტები. თეთო ვახტანგის სამართლის წიგნის 143, 213, 260, 262, 263 მუხლები წერილობით საბუთებზე ლაპარაკობენ¹¹⁰. ვახტანგის სამართლის წიგნის 143 პული ამბობს: „ვალი რომ კაცის კაცისა ემართოს, მოვიდოდეს და იჩივლოს, უნდა მოადიც მოიყვანონ, თამას უქი უნდა გაუსინებელი და გარემოები არ არის 1948 წელს გამოიციანი სამართლის საქმიანობის შესრულებაზე, წ. II. თბ., 1948, გვ. 88.

109 აღ. ვახტანგის სამართლის საქმიანობის შესრულებაზე, წ. II. თბ., 1948, გვ. 88.

110 ისტორიის მეცნიერებათა კანცილატი მ. ჭიქოვა წერს: „დამამტკიცებელ საბუთთა შორის ვახტანგი არ იცნობს წერილობით საბუთებს. შავინ როვაც მეტად ვაკრცილებული ყოფილა და თავის მხრივ ქართული იურილობი არ არინების წინსელას ნიშნავდა (საბჭოთა სამართლა, № 2, 1959). ეს შტატება არ შეესაბამება სინამდვილეს. ვახტანგის სამართლის წიგნის ჩივი მუხლები აშენება ლაპარაკობენ წერილობით დამამტკიცებელ საბუთებზე, როგორც მტკიცებულების მეტად მნიშვნელოვან სახეებზე (შეს. 143, 213, 260, 262, 263). სხვანარაულ შეუძლებელი იყო. ქართული დაწერილობა და წერილობითი საბუთები V სატერიტო უფრო დროებით ასებობდნენ. შეუძლებელია, რომ XVIII ს. სამართლის წიგნი უარი ვთქვა წერილობით დამამტკიცებელ საბუთებზე.“



კონტაციის განვითარების, დამწერლი და მოწამე, ამიტომ რომე ბევრს ტუშილათაც მოივონებენ“.

213 მუხლში კანონმდებელი იძლევა მითითებას, თუ მიმდინარეობა უნდა მოიქცნენ, თუ წერილობითი დოკუმენტები გაუცემართა.

„მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხედვეს, თუ იმაში დაწერილზე რომ ისარჩლიდენ. თუ უცილებლად იმ დღემდინ, სიკელიც მართლად ჩაიგდების და შიგ წერილიცა, უცილობელი ყოფილა, არას ემართლების, თუ სიგლისა არა შეიტყობა რა და ხდიასაც ახლა ედავების, ნუ ალაპარაკებ, დაკარგვა“.

ვახტანგის სამართლის წიგნის 260-ე მუხლიდან ირკვევა, რომ ბატონისაგან თავდასხილ ყმას წერილობითი დოკუმენტი ეძლეოდა თავდასხილობის საბუთად. ეს დოკუმენტი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანეს დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა სამართლოში. ამისთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის წიგნის 260-ე მუხლი აღვნის: „პატრიონმან რომ თავის მკიოდრს ყმას ან ნასყიდსა თავი და ას ნერვის და მართლის მოწმეებით წიგნი მისცეს და იმ კაცს წიგნი ხელთ ეჭიროს, ის ყმა აზარტი არის და აზატ-ნაქმნისაგან ეიდევ უფრო აზარტი იქმნების და აღარა ხელი აქვს მის პირველს პატრიონს მასთან“.

262-ე მუხლი ითვალისწინებს წიგნით ყმობას. 263-ე მუხლი აგრეთვე ითვალისწინებს წერილობით საბუთს: „თუ სხვას ქვეყანას ერთმან კაცმან მეორისაგან ვალი აიღოს, თამასუქი თავის შვილსა თუ სახლისყაცს გამოუგზავნოს, აქ ვინც მიმცემია, სამართლიანად მისცეს, თუ, ვინ იცის, იქვე ვადაუწყვიტოს და იმ მოვალისაგან ვადაწყვეტის წიგნი აიღოს მოწმით და გადაუწყვიტოს, თამასუქი ვაცულდება, და თუ რამ გამოერთმიოს, ისევ უკლებლად მისცეს“..

წერილობით საბუთებს იცნობს, რა თქმა უნდა, ბექა-აღბულალას სამართლის წიგნი, აგრეთვე ბაგრატ კუროპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტიც (მუხლები: 60, 69, 76, 157, 158).

ყველა ზემოხსნებული მუხლები თავისთვალ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წერილობით დოკუმენტებს. ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის მიხედვით წერილობით დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩასიძებული პირის უფლებრივი მდგომარეობის გასარკვევად: თუ სიძე „შვილებული“ იყო „წიგნით“, — წერილობითი დოკუმენტით, მაშინ იგი ოჯახის უძრავი ქონების მემკვიდრეობით ითვლებოდა და გაყოფის დროს ლეპულობდა თავის წილს. თუ სიძე

წერილობით შეიღებული არ იყო, მაშინ მას მხოლოდ მის შეკრულ
ტანილ და შეძენილ ქონებაზე გააჩნდა უფლება. ცხადია მართვის მიზანი
შემთხვევაში, რაც ხსნებული ურთიერთობიდან შეიძლება მოშობილიყო,
გადამწყვეტი მნიშვნელობა სასამართლოს წინაშე
წერილობით დამამტკიცებელ საბუთს ექნებოდა.

ამრიგად, ცხადი ხდება წერილობითი დამამტკიცებელი საბუთე-
ბის მნიშვნელობა ქართულ სამართლში.

XVIII საუკუნეში რომ საქართველოში წერილობითი დამამტ-
კიცებელ საბუთებს მნიშვნელობა არ ქონდათ, ეს შეუძლებელი
რამაა. და თუ კანონმდებელი დამამტკიცებელ საბუთთა სხვა სახეო-
ბათა შორის სამართლის წიგნის მე-6 მუხლში წერილობით მტკიცე-
ბას არ ისენიებს, შესაძლებელია ამისი მიხეში ისიც იყოს, რომ
ვახტანგის სამართლის ხსნებული მუხლის წყარო დათობრივი სა-
მართალი იყო. რომელიც ალბათ ნაკლებ ყურადღებას აქცივდა წე-
რილობით დამამტკიცებელ საბუთებს.

ცნობილია, რომ ჩირდილოეთ ფავკასიის მთიელების დათობ-
რივი სამართალი XIX საუკუნეშიაც კი ან არ იცნობდა წერილობით
დამამტკიცებელ საბუთს და ან, თუ მას ცნობდა, მხოლოდ მოწმე-
თა დალასტურებით გამაგრების შემდეგ¹¹¹.

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით თუ მოწმეებით ან
წერილობითი დამამტკიცებელი საბუთებით შეიძლებოდა საქმის გა-
დაწყვეტა, მაშინ ფიცს აღარ მიმართავდნენ.

1797 წელს ბატონიშვილმა იულონმა ერეკლე 11 ბრძანებით
გაარჩია შანშე ამილახვარისა და მისი განკუთფის ზაალ დავითიშვილ-
ის დავა და ხსნებულ საქმეზე სათანადო „განჩინება“ გამოიტანა.
ზაალ დავითიშვილი არ დამორჩილებდა სასამართლოს გადაწყვეტი-
ლებას და საქმე ხელახლა გაურჩევიათ.

სასამართლოს მსჯელობა მიწერილი აქვს ხსნებულ განჩინებას.
ეს ნათქვამია: „ქ. ამ განჩინებულ კიდევ ლაპარაკი ჰქონდათ ზაალ
უავითოსშეილს და შანშეს შეიღებს და მათს უმაღლესობას. ბატონს
დედოფალს, ჩვენ მათის შვილის ვახტანგისათვის ებრძანა, მოსამარ-
თლეებიც გვერთ იახელო და ამათი საქმე გარდაწყვეტეთ. ჩვენ
ბრძანებისამებრ, კახეთის მოსამართლეებიც თან დაუისწარით და ვა-

111 А. М. Ладыженский. Адаты горцев Северного Кавказа. М., 1946. საუკრძალო დისკრიცია, ხელნაშეტი, გვ. 571.

ლაპარაკეთ ესენი. ზაალ დავითისშვილს ისეთი საბუთი დაწევ-
რილი არა პქონდა რა, რომ ეს ჩეენის ძმის განაჩენი დაეტენდერა რა და
ბინა¹¹².

ზაალ დავითისშვილს „განჩინების“ წინააღმდეგ „ისეთი დაწე-
რილი საბუთი“ რომ ქონდა, რომელიც წინანდელ „განაჩენს დაყე-
ნებდა“, შეიძლებოდა საქმე სულ სხვანაირად გადაწყვეტილიყო.

სასამართლოში წერილობითი დამამტკიცებული საბუთების შე-
ფასების თვალსაზრისით საინტერესოა 1798 წლის 18 სექტემბრის
განჩინება დავითისშვილის ზაალისა და შანშე რამაზისშვილის დავის
გამო.

აი ეს განჩინებაც: „ქ. მათის მეფობის უმაღლესობის ბრძანე-
ბით, ჩეენ მდივან-ბეგებმა, მოკისიმინეთ საჩივარი დავითისშვილის
ზაალისა და რამაზისშვილის შანშე მიღავრისა. ზაალ ამბობდა: შან-
შეს ჩემთან წილი არა აქვს, ჩემი სახლის კაცი არ არისო. მე გარდავ-
სულვარ ქართველ ბატონთან და ჩემთვის მამული უბოძებიათ. მას
უკან ეგენი გარდმოსულან და ჩემს მამულში მაგათვის წილი არა-
ვის დაუდვიათ. შანშემ პირველის მეფის ერვყლეს წიგნი მოიტანა,
რომელიც რამაზისშვილებს უწერს დავითაშვილების სახლისკაცობა-
ნა, რომ რამაზაშვილმა ელისბარმა ყევნის რაყამი მოიტანათ.
ელისბარიშვილს ელაპარაკა და თავისის სამქვიდროს მამულის წილი
გაიტანათ. მერმე ეს განაყოფებიც გაიყარნენ და ის დავითაშვილე-
ბიდამ გამოტანილი მამული გაიყვესო. ლევანს ამ რაყმის გამოტანა-
ში ყევნის კარხედ თეთრი დაეხარჯათ, ამის სამუქფოდ და საჭინახუ-
ლოდ, ლევანს მივეცით რიყაძე დათუნა თავის მამულითათ, აბანოს
ქვათარაშვილი ბერუჟა, ლიპაშვილი გიორგი, ლიპარტიშვილი გიორ-
გი და კიკოლაშვილის გლეხის სანაცვლოდ ხახანაშვილი გურგენათ.
წეენ ეს წიგნი რომ გაეშინეთ, აქიდან დავინახეთ, რომ რამაზაშვი-
ლები დავითაშვილებისა სწორეთ სახლის-კაცები ყოფილან. რომე-
ლიც ან ზაალს და ან შანშეს სანატრელის მეფის ირაკლი მეორის
წიგნები აქვსთ, თუმცა ჩეენ მდივან-ბეგებს იმათი ხელის შეხება არ
შეგვიძლიან, მაგრამ ის წიგნები იძულებულ მექამედ გვეჩვენე-
ბიან — და ამისათვის ჩეენ ასე განვსაჯეთ: რაღაც თვალ-დამწვარი
დავით გარდასულა და მამულის შოვნისა პირველად მიზეზი ის შექ-
ნილა, ამისთვის სამი წილი სადავითაშვილოს მამულისა, თვალ-
დამწვრის შვილებს ზაალსა, იმის შვილებსა და ელისბარიშვილებს

112 საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 178.

უნდა ჰქონდესთ და მეოთხედი ამ სადავითაშვილოს მამულიდან მაზიშვილებს შილახერს შანშეს, ამის შვილს როსტომს ჭრიანა მონს დაანებონ“¹¹³.

ამ ღოკუმენტიდან ცხადად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჸონდა წერილობით დამამტკიცებელ საბუთს. წერილობითი მტკიცებელება ოჯახის უძრავი საქოთრების—აღგილ-ძამულის მფლობელობის კანონიერების უმთავრესი სამუთია. სასამართლო ცდილობს, როცა წერილობითი ღოკუმენტი სახეზეა, ამ უკანასკნელის შიხედვით გაერკვეს საქმის ნამდვილ მდგრმარეობაში. ოჯახში ამ საბუთს დიდი გულმოდგინებით ინახავენ და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენ სისამართლოს. 1798 წელს შანშე ჩამანისშვილი სისამართლოს ურაგვენ — ერეკლე I დროს აღებულ წერილობით ღოკუმენტს.

წერილობითი საბუთი მეტწილ შემთხვევებში სადათ საკოთის შესახებ უძეველეს და უკეთოლსინდისიერეს მოწმეს წარმოადგინდა. კეშმარიტების მაძებელი მოსამართლეც ამ მოწმეს ხალისით მიმართავდა.

1788 წელს გამოტანილი „განაჩენის“ შიხედვით, თუ წერილობითი საბუთის წინააღმდევ მხარე სხვა თანაბარი ძალის მქონე წერილობით დამამტკიცებელ ღოკუმენტს წარმოადგენდა, და კეშმარიტების გამორკვევა სიგელგურებით არ მოხერხდებოდა, მაშინ საქმე ფიცით უნდა გადაწყვეტილიყო.

აა ეს „განაჩენიც“: „ქ. ხიმშიაშვილი სულხან თავის სალის კაცებს, რამაზს, ბერუეს, ლონენას და დავითს ბულაჩაურზედ ედა-ცებოდა: სანატრელს მეფეს თემურაზს ბულაჩაური საქუთრად ჩე-მის ოჯახისათვის უბოძებია და თქვენ მძღვრებით დაგიჭრითთ და ჩემთვის წილი აღარ დავიდვითოთ. ეს ხსენებული სიგელი სულხანმა სამართლში წარმოაყენა, რომელშიც სწერს: „გიბოძეთ ხიმშიაშვილს შერმაზანს და თამაზს თქვენი სამკვიდრო ორი კუამლი და ბულაჩაური და ბიბიანიო“. მეორეს სახლისკაცს დავითსაც მოქმედი სანატრელის მეფის თემურაზ პირელისაგან ბოძებული სიგელი, რომელშიც ბიბიანს უცხადებდა. ოდგან ორსავ მხარეს სიგელი მის ცემოდათ, და თავის სახლის კაცნი სულხანს მიუგებდენ: ბულაჩაურს შენის წილის ფარდი, როდესაც გაცყრილვართ, სხეავან ვრგებია და დღესაც ხელთ ვიჭირავსო. ამის გამო ჩვენ მოსამართლეთ ხიმშიაშვილებს ბერუეს, ლონენას და დავითს ფიცი დავადევით. წადგნენ,

113 საქართველოს სისველენი, ტ. 111, გვ. 180—181.

ერთმა ხატი ჩაისუენოს და ასე შეჰვიცონ: ამისმა განმაცხოველებულმა ღმერთმა, როდესაც ეს წყალობის სიგელი მიშოვნია, ბეჭდებით რი უწინაც საერთო ყოფილა, წიგნს შემდგომადაც საერთოდ გაგვიყვია და შენის წილის ბულახისურის ფარდად, უჩვენონ ეს მამული, გიკირავსო”¹¹⁴.

ამ შემთხვევაშიაც მამულის მფლობელს უნდა დაეფიცა.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა „განჩინება“ ბერძნიშვილების მამულზე დავის გამო 1769 წლის თარიღით.

„ქ. ნინია ჩილა: მამა ჩემი ბერძნიშვილის ვაზრადას შვილი იყონ და მამა ჩემი რომ ყიზილბაშში დაიყარგა, მისი მამული მირზაშვილებმა იშოვეს ბარძიმ ერისთავისაგონ და ჩემს განაყოფებს ბერძნიშვილებს ნასყიდობის წიგნი მიუციათ და ასე დაცემტეკიცებიათ: თუ გედაოს ვინმე, პასუხი ჩვენ გვაცეთო. ჩვენ ამათი საჩივარი დიდს ხანს მოვისმინეთ და მრავალჯერ მოციქულით და ცალკევითხეთ ბერძნიშვილებს და მათ ასე იფიცეს მრავალჯერ, რომ როცა მაგასი ბერძნიშვილებმა ვთქვით, მირზაშვილის მტრობით ვთქვით, თორებ ევ მის უწმინდესობას, ბატონიშვილს, ყოვლისა საჭართველოს კათალიკოზ-პატრიარქსაც მოახსენეს ბერძნიშვილებმა და შეჩვენებაში თავი შეიგდეს, რომ ნინია ბერძნიშვილი არ არისო. აგრევე სხვაგან მრავალგან იფიცეს ამ გვარად, შერჩე სამართლიდამ ამგვარი განაჩენი მცველით, რომ ყოვლის ეჭვისაგან გამოვიდნენ და რომელიც კეშმარიტებით იცოდენ, ის იფიცონ, რომ ეს ნინია ზავრადის შეილი არის, თუ არ არის? და თუ არც ყოფა იცოდენ და არც უმყოფობა, ეს იფიცონ, რომ არც ვიცით არის, არც ვიცით, არ არის. ამაში წადგენ ამ განაჩენით ბერძნიშვილები და დაიფიცეს, რომ სწორედ ბერძნიშვილი ზავრიდას შეილი არისო. აწ რადგან იფიცეს, ეს ნინია შეიქნა სწორედ ბერძნიშვილის ზავრიდას შეილი, მაგრამ რადგან ამდენი სიცრუე შეაჩნდათ ბერძნიშვილებსა, რომ სამართალში მრავალი რიგი ტუშილი რქვეს და ბოლოს ფიცმა გვაჩრემუნა. ამ ზემო წერილის ძალით, ჩენ ქართლისა და კახეთის მსაჯულთ, ამის სამართალი ასე განვაწესეთ: პირველ რადგანაც მეპატრონეს ბარძიმ ერისთავს სიგელით მიუცია მირზაშვილისათვის ის მამული და მისი შეილებისგანაც დამტკიცებული აქვს და ბერძნიშვილებსაც ნასყიდობის სიგელი მიუციათ მირზაშვილისათვის, სრული ფასი ავრევით, სიგელი ასე აკადებს და მირზაშვილს იმ მამულში კირნახუ-

114 საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 200—201.



ლიც ბევრი აქვს, ამ საქმეებით მირზაშვილებს ის მამულუ სიმტკინ
ლით ვეღარ გამოვართვით¹¹⁵.

როგორც ჩანს სიგელი, წერილობითი დოკუმენტი, ყველაზე
სამეტო დამამტკიცებელი საბუთი იყო.

რელიგიური შინაარსის დამამტკიცებელი საბუთების წინაშე
საერთო მტკიცებულობანი დებულობენ უპირატესობას, როდესაც სა-
ხეზე წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი იყო, მაშინ მას უპირა-
ტესობა ეძლეოდა ფიცის წინაშე.

მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია კახთა მეფის კონსტანტინეს
განჩინების წიგნი 1728 წლის თარიღით. ნაცვლისშვილი მამუჯა წის-
ქვილზე ელავებოდა თარასშვილ გვის. მასთან დაკავშირებით გან-
ჩინების წიგნში ნათქვამია: „ქ. ნაცვლისშვილს მამუჯას თარასშვილი
ვივი წაედავა წისქვილზედ და ჩვენგანაც გვის წიგნი ქონდა, ახლა
ნაცვლისშვილმან იჩიელა წისქვილზე და რადგან გვისაც ჩვენგან წიგ-
ნი ქონდა, აღარ დავაუიცეთ გვის¹¹⁶...“

სამართლის წიგნის მიხედვით ასეთ შემთხვევაში მოპასუხე იყო
ვალდებული მიელო ფიცი, მაგრამ რადგანაც წერილობითი დამამტ-
კიცებელი საბუთი არსებობდა საღავო მფლობელობის შესახებ, მო-
პასუხე ფრისაგან გათავისუფლდა.

1777 წელს ერეკლე მეორემ, რომელმაც თითონ გაარჩია სეი-
მონიშვილი ბეჭანისა და მისი ყმის ზაზა ყაზანაშვილის დავა, განჩი-
ნება გამოიტანა მხოლოდ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთე-
ბის მეშვეობით¹¹⁷.

ფიცისა და წერილობითი დამამტკიცებელი საბუთის შეფარდე-
ბის ოვალსაზრისით საინტერესოა ვახტანგის სამართლის წიგნის
შედგენის წინა ეპოქაში. XVII საუკუნის შუაშეს, შედგენილი
პატუა სახლოუჩეცესის (მაღალაძის) განაჩენი ისე მურვანიშვილისა
და გრძელაშვილების საწისქვილოზე დაეის გამო. ისე მურვანი-
შვილს მოლიანად ეპირა საწისქვილო დაგილი. „ნახევარი გრძელი-
შვილებს გამოეუიცა და ისეს მოლივ ეპირა... და რადგან გამოფი-
ცული იყო ამათი ნახევარი ისეგმ და.. ფქვეს და ნახევარი გრძელი-

115 საქართველოს სიცელები, ტ. III, გვ. 212—213.

116 იქვე, საბ. № 217, გვ. 205.

117 იქვე, ტ. III საბ. № 229, გვ. 216—217.



შეილებმა. ჩვენ, ბატონს სახლთუხუცეს პაპუას ასე გაგვირიგებია, ნახევარი იასეს და, ნახევარი გრძელიშვილებს საერთოთ“¹¹⁸. უკრაინული ამრიგად, XVIII საუკუნეში ქართლის სამეფოს სინამდვილეზე მორის იყო წასული ფიცის წინააღმდეგ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების ბრძოლა. ფიცი თუმცა ისევ შენაბრძუნებული იყო, პეტრე ტრადიციის ფარგლებში ტრადიციის განადვერება მეოთხეულად წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების სასაჩვებლოდ დაპარაკობდა.

* * *

ვახტანგის სამართლის წიგნი, მართალია, ფიცს მნიშვნელოვან დამამტკიცებელ საბუთად თვლის, მაგრამ სწორედ ამიტომ, გამოდის რა რელიგიური მოსაზრებებიდან, რომ ცრუ მოფიცარნი არ მომრავლდნენ და ფიცს ფასი არ დაუკარგოს, აწესებს: „ყოველი მოსამართლე ფიცის მოხდენას ეკრძალოს და სხვაგვარად მოჩიტის გარიგებას ეცადოს“ (მუხლი 10). კანონმდებელი სხვა ადგილის იმეორებს: „მოსამართლემ გასინჯვით უნდა ფიცის საქმე გაარიგოს. თუ კაცს ხედევდე, რომ ხატის მოშიში არ არის და სჯულისაც არ იცის რა, იმას ფიცს ნუ დასდებ, ბრძენო მოსამართლევ, ხედავ, რომ ათასინაღვლის“ (მუხლი 236).

ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობს ერთ მეტად თავისებურ დამამტკიცებელ საბუთს, რომელსაც ცოდვის მოყიდება ეწოდება. ეს საპროცესო მტკიცების ხერხი მიღებული ყოფილა მეტად მცირე-მნიშვნელოვანი საქმეების, დაახლოებით ისეთი ხასიათის სამოქალაჭო საქმის გადასაწყვეტად, სადაც დავა ერთ მარჩილს ან ცოტა მეტი ოდენობის ლირებულებას შეეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის წიგნის მე-14 მუხლი აწესებს: „ცოდვის მოყიდებისა ასრე არის: დიდი საქმე ცოდვით არ გარდაწყდების. ერთის მარჩილისა (ან ცოტა უფროსი, გინდა უმცროსი) საქმე უნდა იყოს. მაგრამ იქნების ასეთი კაცი, რომ იმისგან ცოდვის მოყიდება და სულზე შევარდნა ძროხაზედაც დაეჭერებოდეს. და ცოდვის მოყიდება ასრე არის, რომე ვისაც ამგვარი რამ შეეწამოს, იმ კაცმან ის შემწამებელი კაცი ზურვთ აიკიდოს და ას-

¹¹⁸ ლეიტენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 12.

ჩე უნდა თქვის: „შენიმც ცოდვა მაღ, მეორედ მოსცლას შეტყაზე
და შენდა ნაცვლადამც მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას: ურთიშობი
რიგად ეს შეიძლო, აღარავინ რას ემართლების: და თუ პატარების უნდა
და, რასაც სწამობენ, უნდა პასუხი გაიცეს“.

მართალია, ცოდვის მოქიდება მეტად მცირე ლიტებულების სა-
დაცო საქმეებისათვის იყო მტკაცების საშუალებად გაოვალის-
წინებული, მაგრამ როგორც კანონმდებელი ამბობს, „ზოგიერთ ვინ-
შეს „ცოდვის მოქიდება და სულშე შევარღნა“ ძროხაზედაც დაეწე-
რება.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ცოდვის მოქიდება მო-
პასუხეს ეკისრება.

ცოდვის მოქიდებას, როგორც მტკაცების საშუალებას, იცნობ-
და ქართველი მთიელების სამართალიც. ხელსურებში „ცოდვის მო-
კიდება“, ფიცი და მოწმის ჩვენება შეადგინდა დამამტკიცებელ სა-
ჭუთებს.

„ცოდვის მოქიდება“ იმ სახით, როგორადაც ის ქართველ მთიე-
ლებში ასევბობდა, შეიძლებოდა დაკისრებოდა როგორც მოპასუ-
ხეს, ასე მოსარჩილესაც. როგორც ნ. ხიზანიშვილი წერდა: „....აქ დავა
იაფი ფასისაა, და თავისუფლებაც ღილია“¹¹⁹.

ქართველი მთიელები განსხვავებდნენ ორი სახის სამართალ-
წარმოებას: საბჭო სამართალს და ჩვეულებით სამართალს.

როგორც სამართლის მცოდნე და ეთნოგრაფი ნ. ხიზანიშვილი
მოვითხრობს, საბჭო სამართალმა ზურგს აკიდება არ იყოდა და მის
ნაცვლად მიწის კისერზე დაყრის მიმართავდა. „როცა მოდავე დაბე-
ჭითებით ამბობს, რომ მამული ნამდვილად ჩემიაო, მაშინ სადაც
მამულიდამ ერთს მუქა მიწის აიღებს; ბჟევების წინ კისერზედ დაიყ-
რის და იტყვის ხმამაღლა: „დედა-მიწის ცოდვა მქონდეს, თუ ტუა-
ლი ვთქვა: ეს მიწა ჩემია“. ამის შემდეგ მიწაც იმის საკუთრება
ხდება“¹²⁰.

„ცოდვის მოქიდება“ მთაში კვლისა და მიჯნის დავაზედაც შეი-
ძლებოდა. განსხვავებით ვახტანგის სამართლის წიგნის დანაწესისა-
გან მთიელთა ადათობრივი სამართალი მამულის დავასაც „ცოდვის
მოქიდებით“ სწორებდა¹²¹. მაშასადამე, მთიელებში „ცოდვის მოქი-

119 ნ. ხიზანიშვილი (ტრნელი). ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940,
გვ. 59.

120 იქენ.



დება", როგორც დამამტკიცებელი საბუთი, თავისი მნიშვნელობით უფრო მეტი იყო, ვიდრე ბარში ვახტანგის სამართლის წიგნის ტიტულის ექვემდებარებულის გამოქვეყნის გარეშე.

რადგანაც XIX საუკუნის უკანასკნელ ოცეულშიაც კი ქართველ მთიელებში ცოდვის მოქიდება უფრო მნიშვნელოვან დამამტკიცებელ საბუთად მოსჩანს, ვიდრე ვახტანგის სამართლის წიგნში XVIII საუკუნის დასაწყისში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველმა მთიელებმა კი არ ისესხეს ვახტანგის სამართლის წიგნიდან „ცოდვის მოქიდება", როგორც დამამტკიცებელი საბუთი, არამედ, პირიქით, თითონ კანონმდებელმა ილო იგი აღათობრივი სამართლის ნორმებიდან და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მთიელთა წვეულებით სამართლის არსენალიდან. ცხადია, ქართველმა კანონმდებელმა, რომელიც უფრო მაღალ კულტურულ გარემოში მოქმედებდა, ვიდრე მთიულეთ-ხევსურეთი იყო, დაამცრო ამ დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა და შეუფარდა იგი ბარის საქართველოს პირობებს.

პროფ. ალ. ვაჩერიშვილი, აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ „ცოდვის მოქიდება" ორიგინალური დამამტკიცებელი საბუთია, წერს:

„საინტერესო ის, რომ დამამტკიცებელ საბუთთა ეს მეტად თავისებური ფორმა სპეციფიკურია ქართული პროცესისათვის, ვინაიდან სხვა ხალხთა სასამართლო წარმოებაში მას ვერ ვნახულობთ. იგი ძეველისძეველ ინსტიტუტად უნდა ჩაითვალოს და მის პირვანდელ წყაროს უსათუოდ აღათობრივი სამართალი უნდა წარმოადგენდეს. იგი მთელი თავისი წყობით და გარეგანი ნიშნებით ხალხის საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა ნიაზაგზე წარმოშობილი ნორმაა, რომელიც ვახტანგმა სწორედ ძევდან ისესხა და თავის დებულებაში მოათვასა. ცხადია, რომ მტკიცების ეს ხერხიც რელიგიურ წარმოდგენათა საფუძველზეა აღმოცენებული¹²¹.

ხალხის საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა ნიაზაგზე წარმოშობილი საპროცესო მტკიცების ეს ხერხი, რომელიც, აღბათ, უხსოვარ ღრმას არის წარმოშობილი, კლასობრივი ურთიერთობის გარე-

121 ნ. ხიჭანიშვილი, (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 59.

121 ნ. ხიჭანიშვილი (ურბნელი), იქვე.

122 ალ. ვაჩერიშვილი, ნარკევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1948, გვ. 85—86.

რაუზე, ჭერ ადათობრივმა და შემდეგ დაწერილმა სამართალმა. XIX
საუკუნის დასაწყისისამდე მოიტანა.

ვფიქრობთ, არ იყო მართალი აյად. დ. ბაქრაძე, ^{პირველი მუხლი} ეცნა, რომ გურიის მდივანბეგების ოქმებში საპროცესო მტკიცების საშუალებები იყო მხოლოდ ფიცი და მოწმეთა ჩევნება. თვით დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გურიაში „ცოდვის მოკიდების“ ანალოგიური საპროცესო მტკიცების საშუალება უნდა ყოფილიყო.


ერთ-ერთი განჩინება, რომლის ხაწყვეტიც დ. ბაქრაძეს¹²³ მოჰყავს თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“, შეეხება ლობიოს ქურდობას. განჩინებაში ნათქვამია: „ჩვენ ასე გავაჩინეთ: თოხაძემ ცოდვის ხელი ჩამოართვის ხუსუნაიშვილს — შენ რომ ლობიოს მეწამები, მე არ მომეპაროს; თუმცა ასე გაუმართლდეს, არა უმართლება და თუმცა ვერ გაუმართლდეს, რაც წაელოს გარდაუხადოს ხუსუნაიშვილს“.

დასტვა

1. ფეოდალური აღმოსავლეთი საქართველო XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც ვახტანგის სამართლის წიგნი შეიქმნა, დიდი წნის დაცემულობის შემდეგ ერთგვარ აღმავლობას განიცდიდა: კოთარდებოდა სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება. შეინიშნებოდა ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, კულტურული მშენებლობა. ვახტანგის სამართლის წიგნში აისახა საზოგადოება, რომელმაც განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურის გავლის შემდეგ გარეშე ძალის შეშვებით განიცადა ნგრევის, უკანდახევის და ქვეყნის დამაქუცეველი შინა და საგარეო ძალების თარეში; ეს მრავალსაუკუნოვანი რეგრესი შეიცვალა დინამიურობის და წინსვლის ნიშნებით, მაგრამ ამ უკანასკნელს თან ახლავს საზოგადოებრივ და სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში უკულტურობა დამპყრობლების მიერ დანერგილი ნახევრად პატრიარქალური და ნახევრად ფეოდალური წყობის ზოგიერთი ნიშანი.

დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა შესაბამისად ამისა ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს, აქ ერთმანეთის გვერდით ვხვდებით ერ-

¹²³ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие, гл. 342.



თი მხრით მოწმის ჩეკნებას, წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს, ხოლო მეორე მხრივ ფიცს, შანთს, მდუღარეს, ორთაბრძოლებულებით ნამოფიცართა ინსტიტუტს; თითქოს და სამართლის წიგნის მიხედვით სხვადასხვა განვითარების საფეხურზე მდგომი საზოგადოება ერთსადაიმავე ღროს ერთ ქვეყანაში ცხოვრობდეს.

2. ისევე როგორც ფეოდალური საზოგადოების მრავალი კოდექსი, ვახტანგის სამართლის წიგნიც უპირატესად კაზუისტურია (და არა თეორიული). ამასთან დაკავშირებით ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, მნიშვნელობისა და აღვილის შესახებ სასამართლო პროცესში ვახტანგის სამართლის წიგნის რომელიმ თავში ან მუხლში ამომწურავ პასუხს ვერ ვიპოვით. ხსენებულ საკითხზე პასუხი უნდა ვეძებოთ როგორც ვახტანგის სამართლის წიგნის სხვადასხვა მუხლებში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში და ზოგიერთი კერძო საკითხის შესახებ უმთავრესად სასამართლო პრაქტიკაში.

3. სასამართლო პროცესი ვახტანგის სამართლის წიგნის და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით თვითმყოფი განვითარების ისეთ საფეხურს აღწევს, როდესაც მოწმის ჩვენება სხვა დამამტკიცებელი საბუთების გვერდით თანაბარუფლებიან მტკიცებულებად ითვლება. სასამართლო პრაქტიკაში სინგულარულად ვლინდება ფიცის წინაშე მოწმეთა ჩვენებისათვის უპირატესობის მინიჭების საწყისები.

4. ვახტანგის სამართლის წიგნისათვის დამახასიათებელია დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში გარკვეული ექლექტიზმი. ეს ერთ-მანეთის გვერდით ვხვდებით როგორც განვითარებული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებებს (წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი, მოწმის ჩვენება), ასევე პრიმიტიული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებებს (შანთი, მდუღარე, სასამართლო დუღლი, ცოდვის მოყიდება).

5. ფიცი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით მნიშვნელოვან როლს თმაშობს სასამართლო პროცესში. ამავე ღროს მას შენარჩუნებული ჰქონდა არქაული სასამართლო პროცესიდან შემორჩენილი რიგი ნიშნები. ამაზევი მიუთითებს თანამოფიცართა ინსტიტუტის არსებობაც. ამასთანვე თავს იჩენს განვითარებული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი თვისებებიც: ფიცის წინაშე უპირატესობა ეძლევა წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს. თუ კი ასეთი არსებობს, კანონმდებელი ჩეკებს იძლევა მოერიდონ ფიცით საქმის გადაწყვეტას, ქალაქში თანამოფიცართა ინსტიტუტი ამოკვეთილია და სხვ. სასა-

მართლო პრაქტიკაში თავს იჩენს აგრეთვე ფიცის წინაშე მოწმეულა
ჩვენებისათვის უპირატესობის მინიჭების საწყისები. უკრაინული

ფიცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, ადგილი სასამართ-
ლო პროცესში ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ნათლად
წარმოადგენს ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიკური,
აულტურული და სამართლებრივი ჩამორჩენის ნათელ სურათს და-
სავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ამავე დროს თვით სამარ-
თლის წიგნიდანვე ვლინდება ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრე-
ბაში ზოგიერთი პროგრესული ძერის ნიშნები და ცდა ტრადიციის
ფარგლებშივე სენინგული ჩამორჩენილობის დაძლევისა.

6. ფიცს ვახტანგის სამართლის მიხედვით არა აქვს განდევნილი
სასამართლო დუელი, შანთი და მდუღარე. მაგრამ სასამართლო პრა-
ქტიკის შესწავლით ვლინდება, რომ ორდალიებს, როგორც წესი,
იღარ მიმართავენ XVIII საუკუნეში. სენინგული წესიდან გამონაკ-
ლისის მოძებნა ქართული იურიდიული დოკუმენტების მიხედვით
ჰქის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ცხოვრებამ უარპყო სამართლის
წიგნით დაწესებული ზოგიერთი პრიმიტიული სახის დამამტკიცებე-
ლი საბუთები. სასამართლო პრაქტიკაში აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მიხედვით ფიცით თითქმის განიდევნა ორდალიების პრიმიტი-
ული სახეები: სასამართლო დუელი, შანთი და მდუღარე.

7. ფიცთან შედარებით ნაკლებად ავტორიტეტული მტკიცებუ-
ლების „ცოდვის მოკიდების“ შემოსვლა შეირჩევა მნიშვნელობის საქ-
შეებზე დამამტკიცებელ საბუთად და აგრეთვე ქალაქში თანამოფი-
ცართა ინსტიტუტის დაუშვებლობა, მოწმეების და წერილობითი
დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობის ზრდა, მიუთითებს ფა-
ცის, როგორც დამამტკიცებელი საბუთის, სერიოზულ კრიზისზე.

Георгий Несторович Надарейшвили

ПРИСЯГА, КАК ДОКАЗАТЕЛЬСТВО, ПО ГРУЗИНСКОМУ
ПРАВУ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამოშტკ. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. ღ ე გ ვ ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ა ვ ა ძ ვ
ტერედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ვ
კორექტორი რ. ფ ა რ ვ ს ი შ ვ ი ლ ი

გადაიცა წარმოებას 25.9.1962; ანტუპის ზომა $6 \times 9\frac{1}{2}$; ხელმოწერილია
დას. ბეჭდად 29.12.1962; ქაღალდის ზომა $60 \times 84\frac{1}{16}$;
ქაღალდის ფურცელი 3,6; საბეჭდი ფურცელი 7,2; საავტორო
ფურცელი 5,0; სააღრიცხვოს გამოცემლო ფურცელი 6,0;
შეკვეთა 1127; ფ 0 0 0 4 0; ტირაჟი 1000
ფასი 40 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

26106606
2023-09-04